

თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ. თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ.



ნიღბიანი კაცი უნიღბოლ



J. Zingg



ნიღბიანი კაცი უნიღბოდ

ავტორი და რედაქტორი ნინო კვაჭანტირაძე

კონსულტანტები: მანანა კარტოზია,
მარა ქარაბაკი

მხატვარი თენგიზ კიკალიშვილი
დიზაინერი მაკა ცომაია
კორექტორი თამარ ღონლაძე

ფოტოები გელა მუხაშავრიას საოჯახო ალბომიდან
და ოური მეჩითოვის პორტრეტები

2011 წელი
თბილისი



ISBN 978-9941-0-3731-3

წინათქმა

რატომ იყურება გელა ტყისვენ

მასთან შემთხვევით შეხვედრილი ადამიანებიც კი მის მეგობრობას იჩემებენ და ეს არც არის გასაკვირი – გელა მუხაშავრიასთან ნებისმიერი ურთიერთობა უშუალო, ძალდაუტინებელი დამოკიდებულებაა. პირველივე შეხვედრისას გრჩება შთაბეჭდილება, რომ შენ მას დიდი ხანია იცნობ. ამას გარდა, უსათუოდ გიტოვებს ახალი შეხვედრის საბაბს, რადგან ჩვენ მას ყველანი – „არასიაფანდები“ მაგრად „ვევასებით“. თავს ფრაზითაც დაგამახსოვრებს – ხან უარგონს იშველიებს და ხანაც სიტყვებს ეთამაშება. მაგალითად, თუ არის სიტყვა ქვეყანა, ზეცაში ცხოვრებას ზეყანა უნდა ერქვასო.

გაცნობისთანევე, ხელს რომ ჩამოგარომევს, ნარგიდგებათ – გამარჯობა, მე ტრაკის ექიმი ვარ, გელა მუხაშავრია და ამ უხერხულ სიტყვას (და კიდევ ბევრ სხვასაც) გამოიტაქმით ამბობს, რადგან ორგანოს, რომელსაც ის მკურნალობს, სულნან-საბას ლექსიკონითაც ზუსტად ასე ჰქეია და უარყოფს ყველა მის სინონიმს – საჯდომი, გვამისთავი, უკანალი.

ახალგაზრდობაში „ნერას ჰეყოლია ატანილი“ და ახლაც დროს პოულობს იმისთვისაც, რომ დაჯდეს და დაწეროს, ზოგი აფორიზმად, ზოგი მოგონებად და ლექსადაც კი. ამბობს, რომ ღმერთს არასოდეს მიუტოვებია და დაიფარა ყველა განსაცდელისგან. იცის მისი თაობის ბევრი თავგადასავალი და მოყოლასაც არ დაგზარდებათ. კარგი მოსმენაც იცის და ყველა შემთხვევაში ემოციურად იხარჯება. თუკი შეგატყოთ რაიმე გიჭირთ, აუცილებლად გვითხავთ: მე რა შემიძლია?

მასზე ბევრი დაწერილა, თითქმის არ დარჩენილა არცერთი ქართული უურნალი, გაზეთი, სადაც მასთან ინტერვიუ არ გამოქვეყნებულა. იგი ხალისიანი მოსაუბრეა, გულწრფელობითა და არტისტულობით გამორჩეული. ზედმეტი თავპატიუს გარეშე თანხმდება უურნალისტებთან საუბარს და ამბობს, დასამალი რა მაქს, რაც გინდათ მეითხეთო.

ერთხელ, სუფრაზე ტყის სადლეგრძელო უნდა დავლიოთ, უთქვამს და ყველას უფიქრია, როგორც მეტყევე ენტომოლოგის შვილი, ტყის გადარჩენისას იტყოდა. ვერ მოუხვდნენ, გელა სრულიად ახალ სადლეგრძელოს ამბობდა – გაუმარჯოს ტყეს, სადაც მგელი მგელია, ირემი – ირემი, დათვიც დათვობს და ტურაც ტურა. იცი, რომელი რაზეა ნამსვლელი, მგელი ჩაგისაფრდება, დათვი დაგტორავს, ტურა მოგეპარება,

იცი და შენც შესაბამისად მოერიდები. ადამიანებს კი სმოკინგები აცვიათ, მჭევრმეტყველებენ და ზოგში მგელია, ზოგში ტურა, ზოგში ვინ და ზოგში რა, მიდი და გამოიცანი... ტყე ნალდია, გაუმარჯოს ტყეს, სადაც არავინ თამაშობს, ყველა ისაა, რაც არის. მგონი, ამ სადლეგრძელოს გაგრძელებაა გელას ერთი საყვარელი გამოთქმაც – მე ვიყო ტყის მეგობარი. გელა უნილბო ცხოვრებისკენ გვიწვევს.

ამ ნიგნს უკვე დაბეჭდილი ერთი საგაზეთო ინტერვიუს სათაურს ვარებევთ – „ნიღბიანი კაცი უნილბოდ“, რადგან გელა მუხაშავრია გვარენმუნებს, რომ ნიღბი მისი პროფესიის ატრიბუტია და მას მხოლოდ საოპერაციო ბლოკში იკვეთებს. ყველა სხვა შემთხვევაში ამბობს: თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ!

ნიგნზე მუშაობისას საგანგებოდ შერჩეულ რესპონდენტთაგან ერთ-ერთს დავურეკე და ვთხოვე, გაეხსენებინა გელა მუხაშავრია, პაუზის შემდეგ გაკვირვებული ხმა მეკითხება, ქალბატონო, რა გახსენება, გელა ცოცხალი ხომ არისო? კი, ცოცხალიცაა და ცოცხალი მაგალითიც არის იმისა, რომ გახსენება ცოცხლებსაც უნდა-მეთქი. მეორე რესპონდენტმა მითხრა – გელა მუხაშავრიამ დაიპყრო ექიმისთვის საოცნებო ყველა სიმაღლე, აღზარდა ექიმები, შექმნა და დღემდეხელმძღვანელობს საქართველოს პროექტოლოგიის ცენტრს, აქვს ორი საავტორო ოპერაციული მეთოდი, რომლის შესახებაც ახლახან ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ამერიკულ უურნალში და, რაც მთავარია, მისი მადლიერია ასობით გადარჩენილი თუ ტკივილებდამცხრალი პაციენტი.

ნიგნში წაიკითხავთ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ საგაზეთო პუბლიკაციებსა და თავად ამ ნიგნის გმირის წერილებს, გამონათქვამებს, გელა მუხაშავრიას მეგობრებისა და ახლობლების მოგონებებს. ვფიქრობთ, არ გაგიჭირდებათ სტრიქონებს შორისაც დაინახოთ გელა მუხაშავრია თავისი გამორჩეულობით, ადამიანური, შეუნილბავი ურთიერთობებითა და გულწრფელობით!

რა თქმა უნდა, ამ ნიგნის მთავარი გმირიცა და მთავარი მთხრობელიც გელა მუხაშავრიაა, მაგრამ მან არჩია ჩვენს თვალებში არეკლილ მის პორტრეტსაც გაუსწოროს თვალი, ამიტომ ძირითადი სათქმელი მესამე პირში აღმოჩნდა გადატანილი.

ნაციონალური პარტია

FAMILIA



საგვარეულო სიგელი
მუხაშავრიათა



გვარის სააკვნე აღაგის, შემობეჭდი სოფლის სახელი ძევს უკმერხა შინა გვარსახელსა, რომელ
არს მუხაშავრია.

“მუხა-ძევი” – სოფელი უოფილა ისტორიულ მესხეთში.

დახურუ: მესხინი არიან წარმომავლობით მუხაშავრიები და მათი გვარსახელის თავდაპირველი
ფორმა არის - მუხამავარი.

გვარი ეს წარმოქმნილია საგვარეულოს სამშობლოს სახელზე - (“მუხამავი”), სადაურობის
განმსაზღვრელ-მწარმოებელი სუფიქს-ფორმანტის (“არ”) დართვით.

სუფიქს-ფორმანტი ეს ـ “არ” შეესაბამება მეორენაირ, ანალოგიური ფუნქციის მქონე სუფიქს
- “ევ”.


მუხაშავარი ანუ მუხაშაველი.

მოგვიანებით გვარსახელის ფუძიდან ამოვარდა რიგით მუხამე ხმოვანი ანი („ა“).

უფრო ჟესტად, მან გადაინაცვლა გვარსახეილს ბოლოში, ხმოვანი „ინ“-ის („ი“) შემდგომ,
რას შედეგადაც მივიღეთ ამებინდებლი ფორმს გვარსახელისა - მუხაშავრია.

ამდენად, გვარსახელის წარმოქმნის სქემა ამგვარად გამოიყენება:

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ანალოგიური გვარსახელები ერთობ მრავლად იქმ
გავრცელებული ისტორიულ მესხეთს.



საზოგადოებრივი ხე

შეეღლი წარჩინებული მეხსერი გვარებია: სახელარი (ანუ სახელები), სერთფისარი (ანუ სერთფისები), სამმიგარი (ანუ სამმიგები), ცლექარი (ანუ ცლექები), ღობიარი (ანუ ღობიები).

შესაძერიათა ანუ მუხამავართა გვარსახელის ტრანსფორმაციის დინამიკის ისტორიული ანალიზი ბადებს კითხვას: რომ არ განეკუთვნება მუხამავარიათა ან მუხამავართა გვარი მეტ წარჩინებულ, მეხსერ უკოდალურ გვართა საკრებულოს?

შესაბამისი საისტორიო ღოკუმენის ტუ სიგელ-გუვართა არქონა-არარსებობის გამო ჩვენ არ მაღლების ამის მტკიცება, თუმცა ჩვენ უფრო ამა ვერსიისაკენ ვიხსრებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად გურიას სახლობენ ანალოგიურად წარმოქმნილი გვარები - ლომჭარია და მაღლარია, რომელიც ასევე ისტორიული მეხსეთიდან არიან წარმომავლობით.

გურას ბუღდობენ ასევე, ე.წ. „კოლხურულომანტიანი“ გვარები:

ბასილია, გოგელია, დარჩია, ბზეპალავა, მოქია, ქილითაძა.

ველა ზემორე - სხენებული გვარი მხოლოდ გურიას სახლობს და მათ სამეგრელოსთან არანაირი კაფშირი არა აქვთ.

ცნობისათვის: მუხამავარიათა მშობელი სოფლის სახელი - „მუხა-მავი“.

„მუხა“ მეგრულად არის „გეონი“.

„მავი“ მეგრულადაა „უჩა“

ვ.ი. „მუხამავი“ მეგრულად ქდერს, როგორც „უჩა-ზეონი“.

ამდენად ჩვენ სახეზე გვაქვს კიდევ კრთი არგუმენტი (ამჯორად დაინტენტური) იმის გასტრად, რომ მუხამავარიათა გვარს არანაირი კაფშირი არა აქვს ოდიშთან ანუ სამეგრელოსთან.

დავუძრუნდეთ ისტორიულ მეხსეთს.

თდითგან საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ერთ-ურთი უძლიერები ისტორიულ გეოგრაფიული პროექცია იქთ სამსრეთ-დასავლეთ საქართველო, ანუ ზემო ქართლი, ანუ სამცხე-საათაბაგო, ანუ მეხსეთი.

მეხსეთი საკუთრივ პატარა ქვეყნებისაგან, კუთხეებისაგან შედგებოდა: სამცხე, კავახეთი, საქეთი, ერუშეთი, ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, თორი, აჭარა, ისპირი, ლიგანი...

XVI საუკუნის II ნახევრიდან იწევბა თბმალთა ურიცხვი მოქმიდი ისტორიული მეხსეთის ხელში ჩასაგებად. ბოლო აღარ უჩანდა მათ შემთხვევებს.

„და გატება ბოლოს საქართველო, კითარცა ლომი სისხლისგან დაცლილი“...

XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან თბმალთა ხელში გადადის მთელი მეხსეთი. ისტორიული მეხსეთის მიწა-წეალზე თურქი ქმნიან ახალციხის საფაშოს. იდევნება ქრისტეს ნათელი, ქართველთ კუისრებათ გაუხაძლისი სარე და ბეგარა. მძღავრობს მუხამედის ბნელი რჯული, მავი საღრი და უერანი...

მირმეგლი, მკვიდრი ქართველობა მახიურად იურება მამა-ჲაპათა სამეგირებლიდან და მიდის საქართველოს სიღრმეში: გურიას, იმერეთს, შიდა ქართლს...

მუხამავარიები XVI საუკუნის „დამდევსა და XVII საუკუნის დამდევს უნდა იუნენ მეხსეთიდან

გურიას მონებლი, საგარაუდოდ მდინარე წეფსის ხეობით და კომპაქტურად სოფელ მიმითხასახლებულნი.

იმჟამად ძიმითი აკეთის სამოურავოში შედიოდა. საერთოდ კი აკეთის სამოურავოში შედიოდა რეა სოფელი: აკეთი, ჭანჭათი, აცანა, ვანი, სამება, ზომლევთი, ნაკომარი და ძიმითი.

რესტმართველობის ფამს კი სოფ. ძიმითს შემდგენ აღმინისტრაციული სტატუსი:

Кутаисская Губерния

Озургетский уездъ

Ланчхутской полицейской участокъ

Дзимитская сельская община

С. Земо Дзимити

იმჟამად ძიმითს სახლობდა 780 სული მოხახლე, 130 კომლად, 400 მამაკაცი და 380 ქალი.

ქრისტესათვის, საქართველოსა და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერების სახელით გადატანილ თმებში მუხაშავრიათა გვარის მეომარნი კომლზე კაცად გამოდიოდნენ საქართველოს გაერთიანებული სამეფო ლაშერის წინამბრმოლ სადროოში, სარდალთა-ახალციხელთა და კავკაციური დროშებს ქვემ, ასევე იმერეთის სამეფო ლაშერის გურია-ოდიშის სადროოში, სარდალთა დადიანთა და გურიულთა ღროშებს ქვემ.

დღეს-დღეობით მუხაშავრიათა გვარის შეიღთა, უმრწეს-უხცესთა, საქმო-სადიაცოს ერთობლივი ხიმრავლე თრ-ნახევარ ასევე სულამდევა.

ღმერთმან ამრავლოს გუარი ესე, რომელ არს მუხაშავრია

ო მ ლ ი რ ი ს მ ი რ ე ლ ი

ა მ ე რ ი ს მ ი რ ე ლ ი

გიორგი მიხირული
პროექტის დირექტორი



საგარეულო სიგელი ესე მუხაშავრიათა დაიწერა ქრისტეშობიდგან 2008 წელსა, ოქტომბერის 10-ით, რიცხვისა იღ, სელითა გიორგისა მიხირულისათა, ქართველი დახტაქრის, ბატონის, გელა მუხაშავრიათუსის, მღვნად და საჩუქრად.



მარიამ ები

...ოთხწლიანი სიცვარულის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაქორნინდნენ. თამარ კაბიძე თერჯოლის რაიონიდან იყო, აკაკი მუხაშვირია – ოზურგეთიდან. 1937 წლის 10 დეკემბერს ბიჭი შეეძინათ და გელა დაარქვეს. მიმმე წლები იყო. დედაქალაქში დამკვიდრება ჭირდა, ორივე მუშაობდა და შვიდი თვის ჩვილი მიმითში ბებია-ბაბუას ჩაუყვანეს გასაზრდელად. გელა ოთხი წლის იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. აკაკი მუხაშვირიას, როგორც პერსპექტიულ და განსაკუთრებული სპეციალობის ახალგაზრდას, ჯავშანი ჰქონდა და არავინ გაინვევდა ფრონტზე, მაგრამ ომის დაწყებიდან მეორე დღესვე საკუთარი სურვილით კომისარიატში გამოცხადდა – დაჯავშნული და შემინებული მტერს სახლში რაფერ დავხვდეო და ნასულა. მაშინ მუხაშვირიების ოჯახი ბელინსკისა და ბარნოვის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა. პატარა გელა ზაფხულს გურიაში, ბებიასთან, თებრონე დოლიძესთან ატარებდა, თბილისში კი დედის დედა, იმერელი ანა ასათიანი მზრუნველობდა. იყო კიდევ სონია ვაშაძე, აკაკის დედა. შეძლებული და კეთილშობილი ქალბატონი, რომელიც პატრონობდა უმამოდ დარჩენილ ბიჭს და დისმევილის ოჯახს ყველანაირად ეხმარებოდა. „მისი წყალობით სულ კარგად ჩაცმულ-დახურულები ვიყავით მე და დედა. ყოველ შაბათ-კვირას სურსათით, ტკბილეულით და საჩუქრებით გვანებივრებდა. აი, ეს სახლიც, სადაც ახლა ვცხოვრობ, სონია დეიდამ გვიყიდა. სიკეთის და გულისხმიერების პირველი გავეთილები მისგან მივიღე და მთელი ცხოვრება მომყვება ის სითბო“, – იხსენებს გელა.

წლები გადიოდა. მამის არცერთი წერილი არ მოსულა ფრონტიდან და არც ვინმე ამბის მომტანი ყოფილა. 1945 წლის აპრილის ერთ დღეს დედამ სკოლაში გელას მიაკითხა და მიახარა, უნყება მოვიდა, მამა ცოცხალია და დაბრუნდებაო. მერე იქვე უახლოეს ფოტოატელიეში შევიდნენ და ამ დღის აღსანიშნავად სურათი გადაიღეს.

1946 წლის 16 იანვრის გაყინულ დამეს ერთი პატარა ჩანთით, ხუთწლიანი გაუჩინარების მერე მამამ ცოლ-შვილს კარებზე დაუკაკუნა. კაკო დაბრუნდა. მერე შიშნარევი სიფრთხილით მოყვა 1941 წლის სექტემბერში ფაშისტებმა რომ დაატყვევეს და ხუთი წელი საკონცენტრაციო ბანაკებში როგორ გაატარებინეს. ბუნტის მოწყობის ორგანიზებისთვის დასახვრეტადაც გაუყვანიათ, მაგრამ... ღვთის სასწაული იყო, აბა, რა, გერმანიაში მოგვარემ იხსნა. 1924 წელს საქართველოდან გურიის აჯანყების მერე პარიზში გაქცეულმა თეოფილე მუხაშვირიამ მომქებნა და იმან გადამარჩინაო, – იხსენებდა აკაკი, მაგრამ დეტალებზე საუბარს ყოველთვის ერიდებოდა. მალე მუშაობა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში დაიწყო და თანდათან მამასთან ცხოვრებას გელაც შეეჩვია, თუმცა ფაშისტების ტყვეობისგან თავდახსნილი კაკო 1948 წლის ივნისში უკვე



1939 წელი. მშობლებთან და ბებიასთან ერთად

სტალინის საბჭოთა ბიძებმა წაიყვანეს, გაასამართლეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დაიწყო ისევ მარტოობა, მოწყენილი და დარღიანი დღეები. 11 წლის ბიჭს არ გამოპარვია, დედამ როგორ შეკრა ბარგი, კედლის კარადაში შეაწყო და ყოველი ფეხის ხმა როგორ აფორიაქებდა, მოგონილი სიმშეიდით კარებს როგორ ამტკრდებოდა. გელა ჯერ გუმანით ხედებოდა, რაღაც ცუდი რომ ხდებოდა, მერე გაიგო, დედა ახლობელს ეჩურჩულებოდა, ალბათ, მეც წამიყვანებო... გელა თურმე მთელი ღამეები ფიქრობდა ახალ დილემაზე, თუ დედასაც წაიყვანდნენ, მას გაპყოლოდა თუ წენასთან (ბებიას ასე ეძახდა) დარჩენილიყო. როდის-როდის დედამ რომ ბარგი ამოალაგა, მიხვდა, გადარჩა, ამ არჩევანის გაკეთება აღარ დასჭირდებოდა. უფრო მეტიც, მეუღლის ავტორიტეტის და მოხერხების წყალიბით აკაკი შუხაშვარია შუა აზის ნაცვლად რუსთავის ციხეში გამწერეს, საიდანაც მალე წერილი მიიღეს, მამა თავის თავგადასავალს ლექსად წერდა:

„საით მიდიან ქუჩები
გავუძლებ გულის ძგერასა?
როდისდა გადავურჩები.
მავთულებიდან ცქერასა!“

თამარ კახიძე მავთულებს იქით დარჩენილი ქმრისთვის პროდუქტს თვიდან თვემდე აგროვებდა და „პერედაჩებზე“ დადიოდა. ერთხელაც აკაკი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. უკვე გამოჯვანმრთელებული გელას წერდა რა ჩაიდინა და როგორ უპატრონა მას ახალგაზრდა ექიმმა რაჟდენ ციხისელმა. შვილს ურჩევდა, ექიმი გამოსულიყო, ისეთი პროფესია, ყველას ყოველთვის რომ სჭირდება და ადამიანებს გამოადგებიო. გელას ექიმობაზე ფიქრი ამ წერილიდან დაიწყო, მუხაშავრიებისა და ციხისელების ოჯახების მეგობრობა და ნათელმირონობა კი – ამ შემთხვევის წყალიბით.

1955 წელს აკაკი მუხაშავრია ციხიდან გაათავისუფლეს. 1958 წელს მოსკოვში გამოიძახეს საკავშირო უშიშროების კომიტეტში, ახლა უკვე სხვა მიზნით დაკითხეს და სამამულო ომის დროს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ხელმძღვანელის ოპერლენდერის ნინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ბერლინში გადააფრინეს. ბერლინში გერმანულ ენაზე მისცა საბოლოო ჩვენება აკაკი მუხაშავრიამ. 1960 წელს რვაწლიანი პატიმრობისთვის მხოლოდ მოუბოდიშეს და რეაბილიტაციის საბუთი მიართვეს.

ერთ დღესაც, გელა შესულა მამის საძინებელში და კედელზე სტალინის სურათი დაუნახავს, გაკვირვებით და სიბრაზით უკითხავს: ეს რამ ჩამოგაკიდებინა, რომ არ მომკედარიყო, კარგა ხანს მზის სინათლეს



1956 წელი. დედ-მამასთან ერთად

ვინ დაგანახებდაო? – ჩუუუუუ. აფერი არ თქვა, მამა! – განაწყენებულა
კაკო და ბელადი გაუმართლებია: როცა ტყეს ჭრიან, მაშინ ნაფოტებიც
ცვივა, კაცი ქვეყანას აშენებდა და მეც ერთი ნაფოტი ვიყავიო. თუმცა,
მერე და მერე, ღვინომოკიდებული შინ რომ ბრუნდებოდა, მეუღლის
საყვედურებს ომახიანად შეეპასუხებოდა ხოლმე: თამარ, შენ საქართვე-
ლოს დედოფალოოოო! ღმერთისგან ასჯერ ნაჩუქარი სიცოცხლე მაქვს
და რაფერც მინდა ისე დავხარჯავო!





մամա

სამეგობროდ გამოწვდილი ხელი

...პირველი შეხვედრისთანავე პატივისცემითა და მოკრძალებით განვაწყობდა, ხელს რომ ჩამოგართმევდა, რა ასაკისაც უნდა ყოფილი-ყავი, გრძნობდი, ეს მარტო გამარჯობის სათქმელად კი არა, სამეგო-ბროდ გამოწვდილი ხელი იყო. პირველად გვარს გეითხავდა და მერე სულ დაწვრილებით გეტყოდა, თუ რომელი კუთხიდან იყავი, სად და რომელ სოფლებში სახლობდნენ შენებურები. მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი.

საშუალო ტანის, სახასიათო თეთრი ულვაშები, მუდამ მოწესრიგე-ბული და ესთეტიკური – ასეთი მახსოვს იგი, აკაკი მუხაშავრია. ის მა-მაჩემის, შალვა სუპატაშვილის კოლეგა და უახლოესი მეგობარი იყო. მამა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სატყეო განცოფილებას ხელმძ-ლვნელობდა, ბატონი აკაკი – აგრონომ-ენტომოლოგად მუშაობდა. 1956 წელს საქართველოს ფლორას – ნიწვივან ტყეებს განადგურე-ბით დაემუქრა რუსეთიდან გაუქრქავ მორებს შემოყოლილი ლაფინი-ჭამია. ეს მავნებელი ისეთი სისწრაფით გამრავლდა, რომ განადგურე-ბის ზღვარზე იდგა მთელი ბორჯომის ხეობა, საქართველოს ნაძვნარი. სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით წალვერში აშენდა სპუციალ-ური დაწესებულება, სადაც ლაფინიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის ლაბ-ორატორიის ხელმძღვანელობა ბატონ აკაკის დაავალეს. დაიწყო ტყის ინტენსიური დამუშავება ქიმიური საშუალებებით, მაგრამ 7-8 წლის შრომამ შედეგი არ გამოიღო ვერა და ვერ განადგურდა მავნებელი. მერე სასარგებლო მწერს – რიზოფაგუსს მიაგნეს, რომელიც ლაფინი-ჭამით იკვებდოდა. წალვერის ექსპერიმენტულ ბაზაზე ხელოვნუ-რად გაამრავლეს რიზოფაგუსი და რეგიონებში გაავრცელეს. ტყეებს სიცოცხლე დაუბრუნდა. ეს პროცესი 18-20 წელი გრძელდებოდა და ამ წნის მანილზე ბატონმა აკაკიმ თითქმის ფეხით მოიარა საქართველოს მთა-ბარი. მხარზე ჩანთაგადაკიდული, თავზე ქუდით, ჩქარი ნაბიჯე-ბით მავალი ტყის მასივებში – ასეთი ჩამრჩა გონებაში. მეც ხშირად ჩავდიოდი მამასთან და მახსოვს კარვებში თუ მონადირის ქოხებში გატარებული ლამეები. კოცონთან სახელდახელო თუ ტრადიციულ სუ-ფრას ყოველთვის პატივცემული აკაკი (ასე ვეძახდით მას სიყვარუ-ლით) ხელმძღვანელობდა. სამამულო ომის დროს ტყვეობაში იყო ნა-მყოფი და მაშინ ჯერ კიდევ გაუზუნარ ამბებს საათობით ვუსმენდით...

ალბათ, დღეს ბევრმა არ იცის, რომ აფხაზეთში, ბიჭვინთის შემოგ-

არენის ჯანმრთელი მწვანე საფარი აკაკი მუხაშავრიას ნაამაგარიც არის. ვერ კიდევ ორმოცდაათიანი წლებიდან იგი ინტენსიურად მუშაობდა ბიჭვინთის ფიქვნარის მავნე ენტომოფაუნის შესწავლაზე და გამოვლენაზე. გამოიკვლია ძირითად მავნე სახეობათა ბიოლოგია და ეკოლოგია, რაც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას.

იყო შესანიშნავი მეცნიერი და მკვლევარი, ბუნების ღვიძლი და ქომაგი. მან სამოცდაათზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ენაზე და ორი საავტორო უფლებაც ჰქონდა მინიჭებული. აკაკი მუხაშავრიას გარეშე ტყის დაცვის თემაზე რაიმე შეხვედრა ან კონფერენცია არ ჩაივლიდა, უშუალოდ მისი მონანილეობით ადგენდნენ რეკომენდაციებსა და მეთოდურ მითითებებს. გამორჩეულად ყურადღებიანი იყო, სიხარულით ხედებოდა ყოველი დაინტერესებული ახალგაზრდის გამოჩენას და გვერდში ედგა მათ სადიპლომო ნაშრომისა თუ პროექტის დაცვისას. დღეს ბევრს შეუძლია გაიხსენოს ბატონი აკაკი, როგორც გულისხმიერი მასწავლებელი, ხელმძღვანელი და უაღრესად კეთილშობილი პიროვნება. მან სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც თავის საქმეზე შეყვარებულმა ადამიანმა, კიდევ ერთი კარგი სამსახური გაუწია საქართველოში მეტყველეობის განვითარებას – სრულიად უსასყიდლოდ სამთო მეტყველეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილებას გადასცა 50 წლის მანძილზე შეგროვებული უნიკალური წიგნების ფონდი. რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. დღეს მე ვხელმძღვანელობ ამ განყოფილებას და ვხედავ, აკაკი მუხაშავრიას სახელი ამ ბიბლიოთეკასთან ერთად როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას. მისი დანატოვარი ყოველი წიგნიც ხომ ისევ სამეგობროდ გამოწვდილი ხელია. ასეა, სიყვარულით და გულითადობით გაკეთებული საქმე არასოდეს მთავრდება.

არჩილ სუპატაშვილი

* * *

1970 წლს მ. ნემიროვასა და ე. კალანდაძის ავტორობით ასი ათასიანი ტირაჟით წიგნი „ვერმახტის საიდუმლო საქმე“ დაიბეჭდა. რომელიც 1941-45 წლებში ქართველ მეომართა ჯგუფის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებულ დღეებზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკაკი მუხაშავრია იყო და იგი ამ წიგნის ფურცლებზე აკაკი შევრიადაა მოხსენიებული.

ნაწყვეტი ნიგნიდან

„დოურთან ყოველდღიურ იდეოლოგიურ ბრძოლაში ასევე ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა აკაკი შავრია. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო იატაკევეშელთა შორის. მან ზუსტად ომის წინ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მისი ერუდიცია ზოგიერთ პროფესორსაც შეშურდებოდა. ამასთანავე ენამოსწრებული, ოხუნჯი და მოხერხებულიც იყო. დიურს ევჯავრებოდა იგი! კაკოს რამდენჯერ ჩაუგდია დიურისთვის კოვზი ნაცარში.

ჩვეულებრივ დიურის ლექციებზე კაკო პირველ რიგში ჯდებოდა, თითქოსდა განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მას, დაუინებით მისჩერებოდა ლექტორს ირონიული გამომეტყველებით, თუმცა თავს გაღიმზის ნებას არ აძლევდა მაშინაც კი, როცა სიცილით ლამის იგუდებოდა. მაგრამ როდესაც ლექტორი ლაპარაკს მოათავებდა, სერიოზული სახით ისეთ რამეს ჰყითხავდა, რომ მთელი დარბაზი ახარხარდებოდა, თვითონ კი ვითომდა გაკვირვებული სახით გადახედავდა ხოლმე გამხიარულებულ მსმენელებს. პირდაპირ შავ დღეში აგდებდა დიურს.

უკაცრავად, ბატონო დოქტორო, მე კარგად ვერ გავიგე, – მეტ-ისმეტად თავაზიანად ეკითხებოდა შავრია დიურს მორიგი ლექციის დამთავრებისას, – ეს-ეს არის თქვით, რომ ებრაელები უნდა განადგურდნენ მთელ მსოფლიოში, რადგანაც მათ ძარღვებში არაადამიანური სისხლი ჩქეფსო. მაგრამ მე ვხედავ, რომ გერმანელ ჯარისკაცებს მეერდზე ჯვარი ჰქიდიათ, ეკლესიაში დადიან, იქსო ქრისტეზე ლოცულობენ, ხატებს ჰკოცნიან. როგორ გავიგოთ ეს? იქსო ქრისტე ებრაელი იყო, მაშასადამე, მის ძარღვებშიც არაადამიანური სისხლი ჩქეფდა. გამოდის, რომ ქრისტიანები ეშმაქს ეთაყვანებიან?

დიური განრისხდა, სიძულვილით მიაშტერდა დამცინავს. იმ წუთას იგი სიამოვნებით გააწინიდა სილას ამ ლანირაკს, მაგრამ თავი შეიკავა და გაპრაზებით უპასუხა:

– ჩვენ, გერმანელებს, არ გვიყვარს ორაზროვნება და არავის ნებას არ მივცემთ ეჭვი შეეპაროს ჩვენს რწმენაში!

დიურმა თავზე ქუდი ჩამოიფარა და აჩქარებით გავიდა დარბაზიდან.

მთელი დღე მსჯელობდნენ გერმანელები ამ ინციდენტზე. ემიგრანტები აღმფოთებული იყვნენ შავრიას უტაქტობით. აკაკი გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩდა – უსამართლოდ რა ვთქვიო.

– ყოჩალ, კაკო! – შეაქო იგი წიელაურმა, – შენს შეკითხვას დიური კი არა, ათასი გებელისიც ვერ უპასუხებდა.

დიურმა ობერლენდერთან იჩივლა, მან კი წიელაური გამოიძახა.

– ჯარისკაც შავრიას მოქმედება ყოველგვარ საზღვარს სცილდება!

ჩასვით ათი დღით ჰაუპტვახტში! იქნებ ცოტა ჭურა ისწავლოს“.





დედა

ცხოვრება სამაგალითოდ

დიდი პატივი მხედარი წილად, გაფიხსენო ჩემი მასწავლებელი და შემდეგ კოლეგა, იმუამინდელი ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგი, მეცნიერი, ერთ-ერთი პირველი დეკანი ქალბატონი საქართველოში, მრავალი საუკეთესო თვისებით დაჯილდოებული პიროვნება – თამარ კახიძე. ის იმ თაობის წარმომადგენელია, ვის სახელსაც საქართველოში დამოუკიდებელი ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსება უკავშირდება. 1938 წლიდან იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ ინსტიტუტის ცხოვრებით ცხოვრობდა და გამორჩეული მშობლიური მზრუნველობით თავი დაამახსოვრა თაობებს, ყველას, ვინც ამ კედლებში სტუდენტობა გაატარა.

ქალბატონი თამარი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას ეწოდა კვლევით ინსტიტუტებში, სპორტისა და ოლიმპიურ კომიტეტებში, სპორტის სახეობების ფედერაციებში, სპორტულ სკოლებში და ყველგან ერთგულებით, პროფესიონალიზმითა და სიყვარულით აკეთებდა იმ საქმეს, რაც საქართველოში სპორტის განვითარებასა და წინსვლას წაადგებოდა. მან გამოაქვეყნა ოცხე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სპორტსმენის ორგანიზმში ფიზიკური აქტივობის გაუმჯობესების ბიოქიმიურ რეგულაციებზე და საკავშირო სპორტკუმიტეტის გადაწყვეტილებით ერთ-ერთი ნაშრომისათვის ოქროს მედლითაც დაჯილდოვდა. მისი აქტიური მონაწილეობით 1970 წელს შეიქმნა სტუდენტთა სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც ასობით კვლევა განხორციელდა, წლების მანძილზე იყო დეკანი და დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა ახალგაზრდებს. ალბათ, ამიტომაც იყო, ქალბატონი თამარი ყველაზე გვიან მიდიოდა ინსტიტუტიდან და დილით კი ისევ მოწესრიგებული, ლიმილიანი გვზვდებოდა დერეფნებში.

ასე გრძელდებოდა ორმოცდაათი წელი და ამ ხნის მანძილზე ქალბატონმა თამარ კახიძემ ბევრი ჯილდო და სიგელი მიიღო, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო და სიხარული ის იყო ხოლმე, წლების შემდეგ ყოფილი სტუდენტები, უკვე სახელოვანი სპორტსმენები, ჩემპიონები თუ რიგითი ფიზკულტურის მასწავლებლები კაბინეტის კარს რომ შეუდებდნენ და საგანგებოდ მოიკითხავდნენ – როგორ ბრძანდებით ქალბატონი თამარ?

ახლა მე იმ ათასობით სტუდენტისა და კოლეგის სახელით მადლობას კუხდი ქალბატონ თამარ კახიძეს, რომელიც ჩემს საუკეთესო მოგონებებში დარჩა თავისი უშუალობითა და სიყვარულით.

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დურმიშან ჩიტაშვილი



ნელი

1954 წლის გაზაფხული იყო. ავლაბარში, სომხურ თეატრთან უბნელი ბიჭები აპრილის მზეს ეფიცხებოდნენ და ზამთრიდან გამოლეიძებული ქალაქის გამვლელებს ათვალიერებდნენ. ჩქარი ნაბიჯით შილიფად ჩაც-მულმა გოგომ ჩაიარა, ცისფეროთვალებამ, ქერა თმით, სპორტული აღნა-გობით და თვრამეტ ნომერ ტრამვაში ავიდა. — ეეეე, ვინაა? უკითხავს გელას, მაგრამ ყველამ მხრები აიჩეჩა და ამიტომ თითქმის დაძრულ ვაგონს შეახტა. ტრამვა ბარათაშვილის დაღმართზე დაეშვა, რახრახ-ით გადაირა მუხრანის ხიდი და კოლმეურნეობის მოედანზე გაჩერდა. გოგონა ვაჩაძის ქუჩით ზემოთ წავიდა და გელაც უჩუმრად გაყვა, რუსთაველის პროსპექტი გადაქრა და პიონერთა სასახლის დერეფნებში გაუჩინარდა, მაგრამ რამდენიმე წუთში ტანმოვარჯიშის ხასხასა წითელ „კუპალნიკში“ გამოწყობილი კვლავ გამობრძნდა. უკვე, მთლად ახლოს, ცნობისმოყვარე ბიჭის თვალინი ისე გაიარა, როგორც არენაზე დიდი ასპარეზობის წინ და სარკებიანი დარბაზისაკენ წავიდა. გელა მთელი ორი საათი იდგა კარებთან და ესმოდა ხმები, ბაგშვები მეცადინეობდნენ. ამ ლოდინში ერთი კოლოფი პრიმაც მონია და სასახლიდან გამოსულ გოგოს, რომელსაც უკვე ორი ქალბატონი ახლდა, ისევ აედევნა. ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, ვინ იყო ეს გოგო და სად ცხოვრობდა, მაგრამ ტრამვაში ველარ აყვა, — ჯიბეში შაურიანი არ მედო, რომ მათვის ბილეთი ამეღო და გამოვლაპარაკებოდი. ამიტომ იქვე, „პალ-ტარატონკას“ შევახტი, ბარათაშვილის აღმართზე ტრამვაისაც ავასნარი და ავლაბარში გაჩერებაზე დავხვდიო — იხსენებს გელა. იმ დღეს უქმად არ ჩაუვლია, ბიჭმა მიაგნო, გოგონა ელიაზე, ნიაბის ქუჩაზე ცხოვრობდა და ნელი ერქვა... ვიდრე სასიმაროსთან, კოლია სხირტლაძესთან გაარკევდა საქმეს, უძნის ბიჭებთან დაჭირდა პოზიციების განმტკიცება. ნელისთან ყველაფერი ბუნებრივად, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე აეწყო — კოლია სხირტლაძე გამორჩეული აღნაგობის კაცი იყო, სპორტსმენი, მარჯების ბრძოლების მონაწილე, მის სიტყვას პატივს სცემდნენ. ნელის დედა — ქალბატონი ლილი ჯიშკარიანი კი ერთ-ერთი პირველი ტანმოვარჯიშე ქართველი ქალი გახლდათ. — მივედი ოჯახში და გამოვაცხადე, რომ მათი ქალიშვილი მიყვარდა და ამით ლეგალური ნებართვა მოვიპოვე ნელის მზრუნველობაზეო, — იგონებს გელა და ისე ყვება, თითქოს ეს ყველაფერი სულ ახლახან იყო. 1959 წლის პირველ აგვისტოს ხელი მოაწერეს (აბა, ვერისლერას ვინ გაგაბედინებდაო), სახ-ლში პატარა სუფრაზე დალოცეს და საღამოს მახარაძის მწვანე მატარებლით გურიაში, სოფელ ძიმითში წავიდნენ. ნელის მერე საქორნილო მოგზაურობების რუკაზე ანტალია რომ გაჩინდა, გელა ხშირად ხუმრობით ეუბნებოდა ნელის — რა მექნა, ჩვენ დროს მარტო „ძიმტალია“ იყო და ხომ წაგიყვანეუ?..

ყველაზე ხშირად მერეც ძიმითში დადიოდნენ. ნელი „ანტალიებით“ არასოდეს ყოფილა განებივრებული, თუმცა მოგზაურობები და შთა-



ბეჭდილებები თავიდან იზიდავდა, განსაკუთრებით სტუდენტობისას ჰქონდა საზაფხულო პრაქტიკები სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ რამდენ-ჯერმე უარი რომ მიიღო წასვლაზე, მეუღლეს ანგარიში გაუნია, ბოლომდე მის ნებას დაჲყვა და ასე იყო მთელი ცხოვრება. ოჯახი მისთვის სიმშვიდის, სიყვარულის გალავანშემორტყმული ციხე-სიმაგრე იყო, სა-დაც ოთხი თაობა ერთჯერქვემ ურთიერთპატივისცემით ცხოვრობდა და ნელისაც არასოდეს დასცდენია ვინმეზე საყვედური, არავის უნახავს კოპებშეკრული და განრისხებული. არც მაშინ, როცა გელა ხანგრძლივი სუფრების შემდეგ შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა. მხოლოდ თავშეკავებული გულისტკივილით ეტყყოდა: სად გაგიწვიმდა? – „ყველაფერი ეგ ყოფილა, ეგ იყო დედა და დედაბოძი, ყველაფრის მომელელი და პატრონი, მეუღლე დაბადებული. მის სიმაღლეს, სულის სიმაღლეს ჩემთვის ვერცერთი ქალი ვერ შეწვდება, აბა, მე ვინ ვარ უმაგისოდ, აქაურობა მისით სუნთქავდა... ზუსტად ისე წავიდა, როგორც ნატრობდა, არავინ შეანუხა, ერთხელაც დაღამდა და ნელისთვის აღარ გათენდა, ორი ნელია აღარაა და ყოველ დილით ვფიქრობ, ნეტავი მისი ხმა გამაგონა“, – გელას თვალები ცრემლით ევსება ...მერე მახსენდება საფლავის მომვლელი ქალის ნათქვაში – „გელა რომ მოდის, აი, დაბლიდან ისე იძახის – ნელი, ნელიიი, – თითქოს მის გამოპასუხებას ელოდებაო. იცი, რამდენი ხანია ამ სასაფლაოზე დამკვრელები არავის მოუყვანია?



ნელი და გია



ბებია და შვილიშვილი ნიკა

ადრე კი იცოდნენ, მგონი, ტრადიციაც იყო მიცვალებულის პატივსაცე-
მად დუდუკები. ახლა მარტო გელას მოყავს ხოლმე. აი, იმას მღერან
„ბინდისფერია სოფელი“... კიდევ იცით, სულ ყვავილები მოაქვს, მაგრამ
აუცილებლად საფლავიდანაც აყვავებულ ერთ ტოტს წაილებს ხოლმე –
ეს სახლში უნდა მივუტანოთ“.

ორი წელი საკმარისი აღმოჩნდა, რომ გელას სიტყვებში გადაეტანა
თავისი განცდები და ზოგი ლექსად ეთქვა, ზოგი არაკად:

არსებობს ერთი ასეთი თქმულება – თავდაპირველად ქალი და კაცი
ზურგებით ყოფილან მიკრულები, მერე ღმერთს დანანებია, ერთმანეთს
ვერ ხედავენო და გაუყვია, დაუცალკევებია, მას მერეა კაცი ქალს რომ
ეძებს და ქალი კაცსო და თუკი ერთმანეთს გაუგეს, იტყვიან, დაკარ-
გული ნახევარი იპოვესო. წელი ჩემი ზუსტად ნაპოენი მეორე ნახევარი
იყო, მაგრამ ყოველთვის მეგონა, რომ ეს იყო ჯილდო, რომელიც მე-
კუთვნოდა. ახლა უმაგისოდ გასავლელი წლები, ჩემთვის სასჯელია,
მაგრამ შეგნებული დროა მოსაბოდიშებლად, რაც მას სიხარული და-
ვაკელი, რაც შემეძლო და ვერ გავუკეთე.

* * *

ქალღმერთი თვითონ გარქმევდა ქალღმერთს,
დაგინახე და გული გაჩერდა,
მზე არ გვტოვებდა გულგრილად არცერთს,
ჩვენ ერთმანეთზე ფიქრი დაგვჩემდა.

დრო სუნთქვასავით უცებ გავიდა,
შენ ერთგულების გამოგყვა ნიჭი,
ეს სად წახვედი, მარტოს რა მინდა?
ჩემში დაბერდა პატარა ბიჭი.

საფლავის ქვასთან აყვავდა ია,
ჩემმა ცრემლებმა მორწყა ეული.
ჩემთვის შენ ისევ ქალღმერთი გქვია,
თუმც მოგონებად გადაქცეული.

2011 წელი, 8 აგვისტო –
ნელის მარადიული დაბადების 2 წელი.
გელა





ნელისთან



1938 წელი. ოზურგეთი. ბებია-ბაბუასთან ერთად.

სოფელი

პირველად უურნალ „ცისკარში“ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რომ წავიკითხე, ასე მეგონა, ჩემს სოფელზე წერდა, მაგრამ ასე ჰეროინი თურმე ყველა გურულს, რადგან ეს წიგნი მთელ გურიაზეა, ყველა სოფელს ჰყავს თითო-თითო მაინც, ილიკო, ილარიონი და ოლღა ბებია და ვიცი, გურულები სტრიქონებს შორის დატოვებულ ჰაერსაც კითხულობენო, – ამბობს გელა და თავის ძიმითში გვეპატივება. აი, აქ კი უკვე გელას მოგონებების კორიანტელი უნდა დავალაგო და დასაწყისში ნოდარ დუმბაძე უნდა მომეხმაროს:

სოფელს მარჯვნივ სუფსა ჩაუდის, მარცხნივ აცაურა, რომელიც სავსეა კიბორჩალებით, ღორვეობით და შარვალაკაპინებული ბიჭებით. მდინარის ქვიან ნაპირებს – მერეს, ხოლო სუფსაზე გადებულ ხიდს ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიქონდა ხიდი და რჩებოდა ხიდისთავი. მიუხედავად ამისა, გელასთვის ძიმითი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია გურიაში. მას ის ყველა სოფელზე მეტად უყვარს, რადგან არ შეიძლება იყოს სხვა სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა ის, ბებია თებრონე, ბაბუა ლავრენტი, ჯაინოზი, ქეთო მამიდა და მთელი მუხაშავრიები. ზურიკელა-სავით მასაც ჰყავდა ძალი, ოღონდ კეულა და ძროხა – კეკანა. შვიდი თვის იყო ბებია-ბაბუას რომ მიაბარეს და მას მერე მისი ცხოვრების ყველა არტერია იქიდან იკვებება. დღემდე არ ხუნდება სოფლის ფერები. გათენებას აქ მამლების ყვითლი და ძალების ყეფა მოაცილებდა, დილა შემოიპარებოდა, საკვამურებიდან რძისფერი ბოლი ავარდებოდა, გადანათდებოდა „სიხარულიძნების“ ვორი და ჩიტიას მთას უიკივით შეესეოდა ფრინველი. რამდენჯერ აურბენია ეს მთა, ზემოთ, სულ წვერზე, ზღვის დონიდან 600 მეტრზე ციხე-გალავნის ნანგრევებია, თამარის ციხეს ეძახიან. იქიდან ხელისგულივით მოჩანს შავი ზღვა და აჭარა-გურიის სოფლები. წარსულში აქ ანთებული ცეცხლი განსაცდელის მანიშნებელი ყოფილა დაბლობში დარჩენილ-თავის და ისინიც მთებში იხიზნებოდნენ.

– ძიმითი რატომ ჰქევია ჩვენს სოფელს? – უკითხავს ერთხელ გელას ბაბუასთვის.

– ჯარი გადმოსულა, ბაბუა, ნასაკირელზე და დაღლილებს აქანე კარგად გამოუძინიათ და იმიზა, მარა იმასაც ჩივიენ, „ჯიმა“ ძმებს ნიშნავს მეგრულად და ვითამ ძმების სამყოფი ადგილი იყოო, რა ვიცი, შენ რაფერც გირჩინია, ისე იყოსო.

გელას თურმე მეორე ერჩივნა იმიტომ, რომ ხედავდა ძმებივით ცხოვრობდნენ უფროსები. ალფესი ყველაზე ასაკოვანი იყო და ჭკუა-

საკითხავ კაცად მიაჩნდათ, ლავრენტი, ბათლომე, ისაკი, გერონტი, ილია მუხაშავრიები, ავთანდილ ანდლულაძე – ამ კუთხის დიდი კაცები. გიზო, შოთა, ჯუმბერი მუხაშავრიები, გილა ანდლულაძე – გელას ბავშვობის მეგობრები და სოფლის მეგზურები. ერთად გაზრდილებს ისეთი სიყვარული ჰქონიათ, რომ ერთხელ, დიდობაში, ძიმითში ჯუმბერს დეპეშა მიუღია: „მჭირდები. სასწრაფოდ ჩამოდი თბილისში, გელოდები. გელა“. არაა კაი ამბავიო, უფიქრია და ჯუმბერი თბილისისკენ პირველივე გამვლელ მანქანას გამოყოლია. თბილისში გახარებული გელა რომ დაუნახავს, გაკვირვებია და უკითხავს:

- რა გჭირს, ბიჯო, მშვიდობა ხომაა?
- მშვიდობა კია, მარა ნამეტანი მომენატრეო.

ასეთი გადარეული მონატრებით გარბოდა გელა თბილისიდან, როგორც კი სკოლის არდადეგები იწყებოდა და სჯეროდა, რომ მთელი ქვეყანა ზაფხულობით მარტო სოფელში დადიოდა.

14 წლის იყო, უფროსებს არ დაელოდა, მატარებლიდან ლანწმუთის სადგურში დილის 5 საათზე ჩამოხტა და მარტო ფეხით დაადგა გზას. ძიმითამდე 10-12 კილომეტრი მაინც უნდა გაევლო, ლაშისლელებს ბოგასთან სიბნელემ შეაშინა, ჩემოდანზე დაჯდა და გათენებას მოუცადა. ასეთი ხალისით მხოლოდ სოფელში მიდიოდა. მთელი ბავშვობა ბებიას კალთაში გაატარა და დღემდე უჭირს თქვას, რომელი უფრო მეტად უყვარდა – ნენა თუ დედა. ჩავიდოდა სოფელში და თებრონეს და ლავრენტის სასთუმალი აიშლებოდა, ხის დიდ „ქუშეტკაზე“ უკე თავბოლოშექცეული ბებია-ბაბუას ლოგინში გელას ნენას სასთუმალზე ეძინა.

თებრონე დოლიძის ქალი იყო, ნაგომარიდან. პირიდან სიტყბო ელვრებოდა და ხელებიდან საქმე ცვიოდა. მის ეზო-კარში კარგი რაც რამე იყო, ყველაფერი მისი ჩაკუნას (დღემდე ასე მოიხსენიებენ გელას მამის სოფელში) და ვასოს შვილებისთვის ემეტებოდა. ვასო ომიდან აღარ დაბრუნებულა და მისი ცარი ბებია – ბაბუას ამარა დარჩა. გელა იგონებს: – სულ მიკვირდა, ქათამს რომ დაკლავდა, მისთვის კისერს, თავს და ფეხებს გადაიწყობდა და დამაჯერებლად იტყოდა, მე აგი მიყვარს, ნენა. დიდი ქვის კეციდან მთვარესავით მჭადს გადმოაგორებდა, დერგიდან ჭყინტ ყველს ამოაცურებდა, მჭადის ნატეხთან ერთად მოფშვნიდა, მერე საგულდაგულოდ მუჭით შეკრავდა და „ბალნებს“ ხელში მიაწოდებდა, აი, კუკუტა დააყოლეთ, ნენა, თუ გიყვართ... ქადი ახლაცაა და ყველიც, მაგრამ გელამ თურმე რამდენჯერაც სცადა, ისეთი გემრიელი კუკუტა არასოდეს გამოუვიდა.

— სოფელში, ქიშკარში რომ შევიდოდი, იქიდან ვხვდებოდი, ბებიას რა საჭმელი ჰქონდა გაკეთებული. აბა, ბოსტანში კიტრის ბუსუსებ-საც კი სურნელი უდიოდა. დღემდე მახსოვს „ქუხნაზე“ თეთრ ტილოში გამოკიდულ ნადულარას მზე რომ აშრობდა, რძის რა არომატი დაყვებოდა, — გელა თვალებს მოხუჭავს, ცხვირით ჰაერს შეისუნთქავს და რაღაცის გახსნებას ცდილობს. იყო კიდევ რაღაც სურნელი, რაც ბავშვობის მერე აღარსად შეხვედრია, ეს სურნელი ზაფხულობით ბებიასაც დაჰჰყვებოდა და ოდაშიც იდგა. მოაგონდა, ეს დაკრეფილი ჩაის ფოთლების სუნი იყო, მძაფრი, ტანინიანი... ასეა, ახლა, სულ იმ ფერებს, სურნელს და ხმებს ეძებს, რითიც ბავშვობა დაამახსოვრდა და გრძნობ, როგორ ენატრება ყველაფერი იმდროინდელი. ახლა იგონებს ჭრიჭინობელებით აკლებულ მთვარიან ლამებს, ციცინათელებით განათებულ შარას და ცეცხლის პირას ბაბუას მოყოლილ ამბებს. „იცი, რაია სიცოცხლე? — კოჭია ძაფით სავსე. ირლოვა, ირლოვა აი კოჭის ძაფი და ბოლოს — ფშუუუუკ, გათავდება ძაფი და გაგორდება კოჭი ცარიელ მინაზე, გეიგონე ბაბუა? ასეა აი და სანამ სავსეა მაი კოჭი, მანამდე ქვეყანა საქმე უნდა მოასწრო, თუ წახთი და სხვაი აფერი არ შეგილია, ხეი დარგე ეზოში გაზაფხულის მოსვლას გეიგებო... მერე ბუხართან მკლავით შეშას თვითონ შემოიტანდა და დაიბარებდა, ცეცხლი შეინახე, ბაბუა, ნაკვერჩხალს ნაცარი ნააყარე და დილას კარგად დეინთებაო“, — გელას ახსოვს დიდი ბაბუა, ჯაინოზი. სხვა არავინ უნახავს ეს სახელი რომ ერქვას და ისე მოსწონს, მისი ნება რომ იყოს, თურმე სიამოვნებით დაირქმევდა. ამ სახელში არის რაღაც ხასიათიც და სწორედ ასეთი ყოფილა იგი — მყაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ისეთ „ნადურს“ იმდერებდა, იტყოდი, სხვა არაფერი უნდა გააკეთებინო. ტრადიციების დამცველი იყო და ვაგლახად ვერ გაუშინაურდებოდი. რძალს „მამავ, ბატონოს“ გარდა არასოდეს მოუმართავს მისთვის. ლავრენტი ბაბუა კი უფრო რბილი, თბილი და მოკრძალებული ახსოვს გელას — მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, თუ რამე უნდოდა, აუცილებლად თხოვნით გეტყოდა და არა მოთხოვნით, წესიერი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდაო. ერთხელ პატარა გელას ნენასთვის თავსაფარი უჩუქებია, ჭრელი, ლამაზი ყვავილებით მოჩითული, ანდლულაძნების უბანში ვიპოვე შარაზე დაგდებული და შენ ნამოგილეო. ბაბუა გაბრაზებულა — წეილე მაგი და იქინე დაკიდე, საიდანაც ნამოილე და პატრონი გამოუჩინდება, რაც დაგდებულია, ყოლიფერი შენი კი არაა! შენი რაც არაა, ხელი არაფერს მოკიდო, არ მომჯაყო ბაბუაო, — უთქვამს ლავრენტის და ეს შეგონება



1950 წელი. თანასოფლელებთან

დღემდე ახსოვს გელას. ბაბუას დიდი, თეთრი ულვაშები ჰქონდა, საგულდაგულოდ მოვლილი. ერთხელ სამართებლით პირს იპარსავდა და გელას უთქვამს – მოდი, ბაბუა, ნუ წვალობ, მე გაგპარსავ, რა იყო, შენს კისერს არ მანდობო? – შენ, ბაბუა, კისერს კი არა მთელ ცხოვრებას განდობო, – შეუგულიანებია შეთამამებული შვილიშვილი ლავრენტი ბაბუას. სანამ პატარა ჰყავდა შვილიშვილი, გვერდიდან არ იშორებდა, ჩაის პლანტაციაშიც დაჰყავდა და შრომას აჩვევდა. ბაბუა, რამდენ კილო ჩაისაც მოქრეფ, იმდენ 20 კაპიკს მოგცემო, მაგრამ გელას ჩაის პლანტაციისთვის სადღა ეცალა. სოფელ ლიხაურში მარტო შეეძლო წასვლა აჭისწყალზე საბანაოდ, გოგორიკიძის ტბაში მუხიდან ხტომაში ვარჯვიშობდა. ლანჩხუთში სიარულს რომ მოუხშირა, მარტო მამიდის და მამიდაშვილების მონატრება არ იყო მიზეზი. იმ წელს თბილისში დაბრუნებულმა, ლანჩხუთში ასეთი წერილი აფრინა:

„წამნამთ ჩეროში, ჩემთ შავთვალავ,
ნაზი ხოხობი შეგფარებია,
გულმა მალამო შემოგითვალა,
შენდამი ტრფობა შეპპარებია“.

ასე გადააბრალა და გულს ათქმევინა მისი პირველი ელეთ-მელე-
თის ამბავი და ამ სტროფში დატოვა.

ძიმითში ჩემი მასპინძელი გელაა, ჩაუნას ბიჭის – გელას – მასპინძელი კი მუხაშავრიების მთელი უბანი. უზარმაზარ მწვანე ეზოში ისევ დგას მსხმიოარე ხეები, ზოგი ლავრენტის დარგულია, უფრო ბევრი კაკოს დამყნობილი. ბადუნია, ცუცუია, ელგუჯა, რაული, ცაცა, კაკო, ნატო, გოჩა, დიდები და პატარები სალამოს ყველა ერთად იყრის თავს და ისევ ხმაურობს ეზო. თითო ამბავი ყველას აქვს მოსაყოლი, ისესენებენ გელას ბავშვობას, როგორ ცეკვავდა სოფლის კლუბში ბებურ გოგუაძის ანსამბლში მაქსი ხინთიბიძესთან, ოთარ პატიეშვილთან, ანზორ სამსონიასთან, როგორ იწვევდა და ჯაბნიდა თანატოლ ბიჭებს სიმძიმეების ანევაში, როგორ აიძულა უფროსები თბილისის ნაცვლად პირველ კლასში ძიმითში შეეყვანათ, მაგრამ მერე დედ-მამას წინააღმდეგობა ველარ გაუწია და ქალაქში გადაიყვანეს, ბებია და ბაბუა გელას არდადეგების მოლოდინში ყველაფერს მისთვის „ქუ-

ქკავდნენ” – „ჯანჯუხას“ და ჩირს, გემრიელს და ლამაზს „ბაღანას“ უნახავდნენ. ლავრენტი მშრომელი კაცი იყო და მისი საქმარი ლვი-ნოც სულ ჰქონდა და დასაყოლებელიც, მონუმენტური კაცს რომ ნახავდა, იტყოდა, აგენს ქკუა მისი მოსწონარიენ, ქონება სხვისით. ენამოსწრებული კაცი იყო და ერთხელ მეზობლის გოგოსთვის უთქვამს, საპნების კერვას თუ ისწავლი, საჩუქარი ჩემზე იყოსო. ამით შეგულიანებულ გოგოს მაღე მისი ნახელავი ლავრენტი ბაბუასთან მიუტანია და დანაპირები შეუხსენებია.

– ბაბუა, ჩემს სიტყვაზე კაი ხელობა გისწავლია და მეტი საჩუქარი რა გინდაო... ხან ბავშვებს შემოიკრებდა, სკოლის ამბებს ჰქითხავდა და უცებ ამოცანას დაუსვამდა: ხუთჯერ ხუთი – ოცდახუთი, თორმეთი და კიდომ ხუთი – აბა, მაღე ვინ მეტყვის რამდენიაო და იწყებოდა თურმე თვლა ანგარიში ხელ-ფეხზე, ზოგი მიწაზე ჯოხით წერდა და ანგარიშობდა.

ახლა სახლის გვერდით ლავრენტი ბაბუას, თებრონე ნენას და ქეთო მამიდას საფლავებია, მოვლილი, ბზის მწვანე ბუჩქებით შემოფარგლული. ეს გელას დაუინებული სურვილი ყოფილა, საკუთარ ეზოში დაესაფლავებინა საყვარელი ადამიანები – თუ ვერ ჩამოვლენ ჩემი შვილები და შვილიშვილები, თუ ამ ეზო-კარს არ მიხედავენ, გაყიდვით ხომ მაინც ვეღარ გაყიდიან აქაურობასო, მიმხელს გელა და პირველად ვხედავ, როგორ შეიძლება გარდაცვლილები ცოცხლებს დარაჯად დაუყენო. იქნებ ამ ყველაფერს ბაბუას ბუზრისპირას დაბარებული: „ცეცხლი შეინახე“ ჰქვია.


გაზაფხული ამ ეზოში ჯერ ისევ ნინაპართა დარგულ ხეებს მოყავს. გელა, გია და კახა თავის დასარგავს ჯერჯერობით დედაქალაქში რგავენ. მომდევნო თაობიდან ნიკა და პატარა გელაც მოდიან მუხაშავრიების ფუძეზე.

ბადუნიამ თქვა, გელა მთელი ჩვენი გვარის სიამაყეა, მაგი იქინე იყოს, ქალაქში იმედად გვეგულება, ოღონდ ხშირად ჩამევიდეს და ხეებს ჩვენ დავრგავთო და ერთი ნინადადება ნამოაყენა, ყოველ ზაფხულს, დავთქვათ დღეის დღე – 23 ივლისი და ჩვენს კუთხეში გელაობა აღვნიშნოთ, მე ჩემი ნაგრამით მოვალ, სხვებსაც შევატყობით, „ჩამოვლიენ“ და ჩვენი კუთხეც გაცოცხლდებაო. „ყველა დღეი გელაობა იქნება, როცხა გელა აქანე ჩამუაო“, – ჩაასწორა ვემალიამ.

გურულებს გვიყვარს მრავალხმიანობა და ამ საქმესაც, ალბათ, მრავალხმიანობით გადაწყვეტინ, მაგრამ ერთ რამეზე უკვე შეთანხმდნენ: გაზაფხულზე მუხაშავრიების დიდ ეზოში მუხა დაირგვება, რომელმაც იმხელა ფესვი უნდა გაიდგას, რომ სოფლიდან ქალაქს მიწვდეს. ჰოდა, ამასობაში გელას უკეთესი იდეა მოუვიდა – შევიკრიბოთ ჩვენებურები, მუხები დავრგოთ და ჩვენს ძირს და ფუძეს – მუხას მუხაშავრიებმა დღესასწაული მოვუწყოთ, ეს იყოს ჩვენი შეხვედრების საბაბი და ტრადიციად დავამკვიდროთ. აბა, ყველაი მუხის დარგვაზე გაზაფხულზე, მუხაშავრიებში!!!



2011 წელი. ელგუჯა და ბადრი მუხაშავრიებთან ერთად, ძიმითში, ლავრენტი ბაბუას, თებრონე ნენას და ქეთო მამიდას საფლავზე.



1955 წელი. მუხრანის ხიდი

ქალაქი

მამა პატიმრობიდან გაათავისუფლეს. შინ დაბრუნებულს გელა 17 წლის დახვდა – გაზრდილი, შეცვლილი, თმებმოშვებული, არეული. ფილმი „ტარზანი“ ახალგამოსული იყო კინოთეატრებში და ქალაქის ბიჭები ზოგი თმის მოშვებით იყო „გამოტარზანებული“, ზოგი ხეებზე ხტუნვით, ზოგი ქართველი ტარიელი თურმე ტარზანსაც ირქმევდა და ყოველდღე მოლარე გადამყიდველებს ანამუსებდა, რომ კინოს ბილეთებს კვლავ შეახვედრებდა. მერე ბირჟაზე იდგნენ ავლაბარში, სომხურ თეატრთან და ჰელიკონი, ხორხოცებდნენ, განიხილავდნენ, გოგოებს ათვალიერებდნენ, ონბაზობდნენ. ბირჟაზე დგომამ მერე და მერე შეიძინა უარყოფითი კონტექსტი, თორემ იმ თაობისთვის შეხვედრების, ერთად ყოფნის ისეთივე ადგილი იყო, როგორიც ახლა „შარდენია“ ან ლიტერატურული კაფე, – ამბობს გელა და იხსენებს რეზო ჭარხალაშვილს, მირანგულ ავსაჯანიშვილს, ალმასხან გუგუშვილს, ზიგმუნდ ჩხაიძეს, ნოდარ მესტვირიშვილს, ნოდარ ფრანგულაშვილს, ჯემალ ფარცვანიას, ჯამბულ სულაძეს და მხიარულ თავ-გადასავლებს, რომლებსაც ახლა მათი არყოფნის სევდაც ახლავს. თურმე რამდენჯერ ყოფილა სომხური თეატრის ადმინისტრატორს ბიჭებისთვის ბირჟიდან ამფითეატრში გადანაცვლება და ადგილების შევსება უთხოვია. ასეთი თხოვნების წყალობით გელას მთელი რეპ-ერტუარი ზეპირად სცოდნია.

ერთ ნარმოდგენაში სომხური ქორწილის სცენა თამაშდებოდა. ნასვამი ავლაბრელი ნაბადო მაზმანოვი დაგვიანებით შესულა და დოლ-გარმონი რომ დაუნახავს, პირდაპირ სცენაზე აყოლია მუსიკის ხმას, მექორწილებს შეერთებია, მეფეც ჯიქურ გვერდზე გაუწევია, პატარძალი გამოუცევია და ისეთი დიმპიტაური აუტეხავს, რომ დარბაზს ტაში და ოვაციები დაუქუხებია.

ერთხელაც ნარმოდგენაზე პიესის მიხედვით კამო ლენინს ხვდებოდა და ესალმებოდა:

– ბარევ, ლენინ!

ამ დროს კი ლენინის ნაცვლად ვილაცამ დარბაზიდან დაიძახა:

– ბაროვც კამო, ბაროვც.

ახლა სცენიდან მსახიობი დარბაზისაკენ შემობრუნებულა და გა-ბრაზებულს მაყურებლისთვის მიუმართავს:

– ეეე, ლენინი მე ვარ, შენ ვინ გეკითხება? – და აქაც ისეთი ტაში შემოუკრავთ, კარგ იმპროვიზაციას რომ შეშურდებოდა.

თეატრის წინ 18 ნომერი ტრამვაი უხვევდა, სახინკლესთან და კოლმეურნეობის მოედანზეც სახინკლესთან ჰქონდა ბოლო გაჩერება, ამიტომ ამ მარშრუტს „ოტ ხინკალი-დო ხინკალი“ დაარქვეს.

ბარათაშვილის დალმართზე, მუხრანის ხიდთან სიჩქარეაკრეფილი ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტომა თბილისურ-ავლაბრული ილეთი ყოფილა, ვისაც „ზადნით“ ჩამოხტომაც შეეძლო, ეს უმაღლეს პილოტაჟად ფასდებოდა. გელას დღეს კი ეცინება, მაგრამ მაშინ საკუთარ თავს გმირობად უთვლიდა ვატმანის ნერვიულობისა და პირადი რისკის ფასად რომ ხტებოდა ტრამვაიდან. მუხრანის ხიდი გელასთვის „საგარეო“ ქალაქთან დამაკავშირებელი საშუალება იყო, რადგან ხიდის აქეთ სახლში იყო, იქით კი განსაკუთრებით გაპრიალებულ-გამოწყობილი გადადიოდა. ამ ადგილზე შემდეგ ბარათაშვილის დიდი, ლამაზი ხიდი ააგეს, რომელზეც გელა ყოველლიურად ახლაც გადადის, სამუშაო კაბინეტში კედელზე კი მაინც მუხრანის ხიდის სურათი უკიდია და ისეთი ნოსტალგიით ყვება ამ ხიდის ამბებს, ხვდები, მის-თვის მუხრანის ხიდი სიყმანვილის სიმბოლოა. ძველი ქალაქის გაახ-ალგაზრდავებზე ზრუნვამ მტკვარი შებორკა, ჯებირებში მოაქცია, დაამდორა, თორუმ მეტების დაბლა სუნთქვადა გაშლილი მდინარე და ზაფხულის სიცხით გათანგულებს აგრილებდა, ბევრს ცურვასაც ასწავლიდა. იქვე რიყეზე კი ლოდები საუკეთესო საშუალება იყო, ბი-ჭებს თავი სიმბიმების ანუკაბი გამოეცადათ, თუმცა არა მარტო ეს. ერთხელ გელას მეგობართან კამათი მოსვლია, ხალხს გარიდებიან და რიყეზე ჩასულან, ისე უჩერებიათ, რომ ერთმანეთი დაუსიებიათ. რი-ყეზე ქვას რა გამოლევდა, მაგრამ არცერთი არ დახრილა ქვის ასალებად, – ჩვენი იარაღი მუშტები იყო, სხვა იარაღს ვინ იყადრებდა, – ეს იყო, ტოო, თბილისელობა, უკადრებლობა, თავმდაბლობა, ქალის პატივისცემა, მოკრძალება. თუ მართალი არ იყო, მარტო მეგობრობის ხათრით არავის დავუდგებოდი, იმიტომ, რომ სიმართლე ყველაფერზე მაღლა იდგა და არავინ დამიჩაგრავსო, – იგონებს გელა.

მამის რეპრესიის გამო თვითონ მთელი ბიჭობა უსამართლობით გულგატეხილმა გაატარა და ლვთის ნებით, სწორედ ისეთ დროს დაუბრუნდა მამა, მამის ხელი რომ სქირდებოდა. უკვე გელასაც მამის გვერდით ყოფნა და მისი მოსმენა ერჩივნა, მას ხომ კარგი მეხსიერება და ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა.

– არ მახსოვს, მამასთვის რამე მეკითხა და უპასუხოდ დავეტოვებინე. რომ გეთქვათ, მარქსს რა ზომის ფეხი აქციო, უცებ ისე იტყოდა – ორმოცდასამი, ბატონოო, თითქოს ნინა დღეს ჰქონდა ნაყიდი მისთვის ფეხსაცმელი. სიტუაციური იუმორი ჰქონდა, ჰორზია უცვარდა და მისი თამადობის ყურებაც ერთი სანახაობა იყო, – იხსენებს გელა.


მამის დაბრუნებამ შეცვალა ოჯახის ცხოვრების რიტმი და ახლა გელას სახლი გახდა მეგობრების თავშეყრის ადგილი, სუფრა სუ-



1939 წელი



1947 წელი



1956 წელი

ფრაზე იშლებოდა, სადაც უკვე დიდი მასპინძელი კაკო ძია და დეიდა თამარა ეგულებოდათ.

გელამ ფიზულტურის ინსტიტუტში ჩააბარა, ბევრს მეცადინეობდა, კითხულობდა, მაგრამ მამამ რამდენჯერმე გააგონა, როგორ გადარჩა ექიმების წყალობით, ნატვრით იტყოდა ხოლმე, ადამიანისთვის მაგაზე კარგი სპეციალობა რა უნდა იყოსო, გელას უკვე ჰყავდა სამაგალითოდ რაჟდენ ციხისელი და ამ მოწადინებით სტუდენტობდა, განსაკუთრებით ადამიანის ანატომიითა და ფიზიოლოგიით იყო დაინტერესებული, – ლექცია კი არა პრაქტიკული არ გამიცდენია, ამბობს. გელა დღემდე ლვთის საჩუქრად მიიჩნევს ფიზიოლოგის ინსტიტუტის დირექტორ სერგო ნარიკაშვილთან და პროფესორ გიგუშა თვალაძესთან გატარებულ დღეებს, რომლებმაც დაინტერესებულ სტუდენტს კიდევ უფრო გაუღვივა ჰიპოკრატეს ფიცამდე მისვლის სურვილი. ფიზულტურის ინსტიტუტის მამინდელი რექტორი ალექსანდრე ფალავანდიშვილი გელას მხსენელად მოევ-



1959 წელი



1979 წელი



2011 წელი

ლინა, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით მამამთავრიშვილთან უშუალდებულია, იმან კიდევ საკავშირო ჯანდაცვის მინისტრი კავრიგინა დაარწმუნა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი პრეცედენტის დაშვება და მალე ქალბატონმა კავრიგინამ სპეციალური ბრძანება გამოსცა, მესამეკურსელი გელა მუხაშავრია პირველკურსელი ხდებოდა სამედიცინო ინსტიტუტში.

სასიხარულო სხვაც პერიოდა ოჯახს – ეს ის დრო იყო, როცა გელას მარცხენა ხელის შუა თითზე უკვე „ნაკოლეა“ პერიოდა გაკეთებული და „ნელი“ ეწერა. 21 წლის ასაკში გელა მუხაშავრიამ თავისი რჩეული ნელი სხირტლაძე მუხაშავრიების ოჯახში შემოიყვანა. გაიზარდა ოჯახი, პატარა აივანიც მიაშენ-მოაშენეს, მაგრამ რა აივანი ეყოფოდა კუთხეში მიკეცილ „ლეზანკებს“. გურიიდან თუ იმერეთიდან, დედულეთიდან თუ მამულეთიდან ქალაქში სამკურნალოდ ჩამოსულ ნათესავს თუ სტუდენტს, დიდს თუ პატარას, ყველას თავშესაფრად და გულლია მასპინძლად მუხაშავრიები რომ ეგულებოდათ.

ფოტოისტორია



* * *

1961 წელი. თბილისში ახალი უბანი, საბურთალო ჩნდება. კომინტერნის ქუჩას ვაჟა-ფშაველას სახელი დაერქვა. აქვე დაიწყო მედიკოსთა ქალაქის მშენებლობა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ზაფხულის არდადეგებს შრომით სემესტრში მშენებლობებზე ატარებდნენ.

მომავალი ექიმები: გელა მუხაშავრია, ვილგელმ ცინცაძე, გურამ ვასაძე, ნური კომახიძე, დათო კახიანი „საბურთალოს“ მშენებლობაზე.



060PC

სტუდენტობის ოდისეის ბედნიერი დასასრულის დამადასტურებელ დოკუმენტში – დიპლომში ჩაწერილი „სპეციალობა ექიმი“ ექიმობას რომ არ ნიშნავდა, გელა მაშინ მიხვდა, როცა აგარის საავადმყოფოში მიავლინეს სამუშაოდ. საავადმყოფო ცენტრალურ ავტომაგისტრალ-თან იყო ახლოს და ამიტომ ავარიებისას დაშავებული ადამიანები ხშირად მიჰყავდათ. სიკედილ-სიცოცხლის პასუხისმგებლობის პირისპირ დარჩენილმა ახალბედა ექიმმა გადაწყვიტა, სპეციალიზაცია ზოგ-ად ქირურგიაში გაევლო და თბილისში დაბრუნდა. ქალაქის პირველ საავადმყოფოში, აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელაგასთან კლინიკაში 45 დღე და ღამე გაატარა, ისე, რომ საჭმელიც სახლიდან ნელის მიჰქონდა, ეს იყო თავგამეტების და ნებისყოფის გამოცდის უდიდესი ეტაპი. ამ თვენახევარში 102 ასისტენცია მოასწრო და 15 პენდექტომია და-მოუკიდებლად გააკეთა. იქიდან ქარელის რაიონულ საავადმყოფოში ზოგად ქირურგად გადაიყვანეს. ქარელში მასწავლებლად მამობრივი მზრუნველობით ხუტა ბერაია დახვდა. რაიონში გატარებულმა ექვსმა ნელმა დიდი გამოცდილება დაუგროვა, ქირურგ გელა ექიმს ექსტრემ-ალურ სიტუაციებში ყველა ტკივილით „აწუხებდნენ“, ერთხელ მშობი-არც მიიღო და ახალდაბადებულს მშობლებმა მაღლიერების ნიშნად მისი სახელი დაარქევეს. თუმცა მერე „შემწუხებელი“ სხვაც გამოჩენდა – ახალგაზრდა კაცის აქტიურობა და გამორჩეულობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაშინდელ პარტიულ ფუნქციონერებს და დაწინაურებების მოტივით პარტიაში შესვლას სთავაზობდნენ მანამ, ვიდრე გელამ დაჟინებული უარის არგუმენტად მამის პოლიტპატიმრობა არ გამოიყენა. უპარტიობას ხელი არასოდეს შეუშლია მის პროფესიულ ნინსვლაში. პირველად 1969 წელს ქარელის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ, არტემ ქუტიძემ მოსკოვში მიავლინა სადის-ერტაციო თემაზე („ოპერაციის შემდგომი პარეზების და პარალიტიური გაუვალობის მკურნალობა ელექტრო სტიმულატორით“) სამუშაოდ, მაშინ ეს ელექტრო სტიმულატორიც თვითონ შეიძინა, მაგრამ, ახალ-გაზრდა ექიმი მიხვდა, თემა მისთვის უინტერესო იყო, დისერტაციას დისერტაციისთვის ხომ არ გავაკეთებდიო, სამეცნიერო საქმიანობაც ნაადრევად ჩათვალა და მხოლოდ მას შემდეგ მიუბრუნდა კვლევას, როცა დარწმუნდა, მედიცინაში თავისი პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე სიახლეს დანერგავდა. 1992 წელს პირადი გამოცდილებისა და ავადმყოფთა დაკვირვების მაგალითებზე დაწერა თემა და ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ეს იყო სრულიად ახალი ოპერაციული მკურნალობის მეთოდი პროქტოლოგიაში, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა დაავადების განმეორების შესაძლებლობას. ამიტომ მოიწონეს უცხოელმა კოლეგებმაც.



1999 წელს ოპაიოს შტატში, კლივლენდის სამედიცინო უნივერსიტეტის კოლოპროქტოლოგიის სამსახურში, კლინიკის ხელმძღვანელმა ვიტორ ფაციომ მიინვია გამოცდილების გასაზიარებლად. ამერიკულ უურნალში გამოქვეყნებული ვრცელი სტატიით მკურნალობის მუხაშ-ავრიასეული ეს მეთოდი მედიცინაში ნოვაციად შეაფასეს. ამ აღიარებას წინ უძღვოდა ექიმობის მრავალწლიანი სტაუი, საოპერაციოებში გატარებული დღეები და გამორჩეული პროფესიონალების: ეგნატე ფიფიას, ოთარ მამამთავრიშვილის, გიორგი ხუნდაძის, საშა ბეთანელის, თენგიზ ახმეტელის თანადგომა და გამოცდილება.

პროქტოლოგიაში გელა მასწავლებლებად რუსული სამედიცინო სკოლის ისეთ კორიფეებს მოიხსენიებს, როგორებიც იყვნენ ალექსან-დრე რიუიხი, ვლადიმერ ალექსანდროვი, ვლადიმერ ფიოდოროვი. ჩვენს ქვეყანაში მედიცინის ამ დარგის განვითარება მათ სახელებსაც უკავშირდება. საქართველოში პროქტოლოგიური ცენტრის შექმნის დღიდან, 27 წელია მისი უცვლელი ხელმძღვანელი გელა მუხაშავრია. თუმცა მისი ყველაზე დიდი თანამდებობა საოპერაციო მაგიდასთან დგომაა. არასოდეს მიუტოვებია პროფესიული საქმიანობა. ათი ათასზე მეტი ოპერაცია აქვს გაკეთებული, მაგრამ ყველა ახალ კონკრეტულ შემთხვევას დაბეჭითებით აანალიზებს, ემზადება, ფიქრობს... დაწვრილებით გამოკითხავს პაციენტს და აგროვებს ანამნეზს: საცხოვრებელი პირობები, სამუშაო გარემო, შეძენილი და გენეტიკური დაავადებები – ეს ის საკითხებია, რომელიც შეიძლება ტკივილთან თქვენ არც დააკავშიროთ, მაგრამ ექიმს, სამედიცინო გამოკვლევებთან ერთად, სჭირდება ოპერაციის წინ პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად. და გელა თუ თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობასაც გამოკითხავს, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს ჯიბუში იხედება. არასწორი კვების რეჟიმი და სოციალური გარემო ბევრი დაავადების წინაპირობაა, თორემ უსახსრობის გამო გელა ექიმს კლინიკიდან არავინ გაუბრუნებია, არც ზედმეტი გარანტიების ძებნა დასჭირებია საქუთარი გასამრჯველოს მისაღებად. – დალხენილი აქ ვინ მოვა? ხშირად გაუსაძლისი ტკივილებით მაკითხავენ და ფულზე ლაპარაკი უზნებაა, ამიტომ გამოვაკარი კლინიკაში ფასები, მაგრამ ნახეთ, იქვეა მინაწერი – „თუ არა გაქვთ, რამდენიც შეგიძლიათ, ისე გადაიხადეთ“. არავის სჭირდება ისე თანადგომა და დახმარება, როგორც ავადმყოფს, მით უფრო, როცა ეს შენი არჩევანიცაა. პაციენტი ჩემთვის ყველაფერია, მე ვარ შუამავალი ავადმყოფსა და ღმერთს შორისო, – ამბობს გელა ექიმი და ყველა ოპერაციის წინ სანთელს ანთებს და პირჯვარს იწერს – ოპერაციის დაწყება არაფერია, მთავარია როგორ დასრულდება და როგორ გამოხვალ მდგომარეობიდან. ამიტომ ყველა მოსალოდნელი გართულებისთვის ემზადება, ადამი-

ანი სიცოცხლეს ანდობს და იცის, არ არსებობს დიდი და პატარა ოპერა-ცია, რადგან წებისმიერი – არაპროფესიულად და უპასუხისმგებლოდ გაკეთებული მანისულაცია, შეიძლება გართულდეს. ამიტომაც ამბობს: „ექიმი პასუხისმგებელი უნდა იყოს თავისი მოქმედების სისწორეზე და არა დაავადების გამოსავალზე. ექსტრემალური სიტუაციები უფრო განინასწორებულს და მობილიზებულს მხდის. არასოდეს, არცერთი, თუნდაც წარმატებული მონაფისათვის არ მიმიცია უფლება ჩემი დაწყებული ოპერაცია დაესრულებინა, როცა პაციენტმა იცის, ოპერაციას მე ვაკეთებ, მართლა ბოლომდე ვაკეთებ და დაძინებულ ავადმყოფს არასოდეს მოვატყუებ. ჩემმა მოწაფებმა იმდენი კი დაიმსახურეს, რომ საკუთარი ავადმყოფები ჰყავდეთ“. როგორც მასწავლებელი და ხელმძღვანელი, საკუთარ თავს „რბილ ეკალს“ უწოდებს და თითოეულისაგან მოითხოვს იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც პაციენტის ინტერესებისთვის აქვთ დაკისრებული, ყველაფერი ეს ერთ წინადადებად ჩამოაყალიბა და მათვის კლინიკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრა – „სამსახურში გასართობად ნუ ივლით!“, რადგან ფიქრობს, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის რეფორმამ შეისრუტა დაუტკირთავი თანამშრომლის შენახვის და დაფინანსების შესაძლებლობა. ამ რეფორმამ ბევრი რამ დაალაგა და წესრიგში მოიყვანა. „არასოდეს ვიყავი იმაზე უფრო შეურაცხყოფილი, როცა ვინმე გასამრჯელოს მექისესავით ჯიბეში მიდებდა, ახლა ყველაფერი გამჭვირვალეა და თითოეული კაპიკი აღირიცხება. წარმატებული ექიმის შემოსავალი კი ლეგალურად უფრო მეტი გახდა, ვიდრე იყო, თუმცა ასეთი ოპერაციები რეალურად სხვა ქვეყნებში გაცილებით ძვირი ღირს“, – გელა ექიმს იმედი აქვს, რომ ოდესმე საქართველოშიც გაუმჯობესდება სოციალური გარემო და ექიმის შრომა აქაც ადეკვატურად შეფასდება. ახლა კი დანანებით იხსენებს იმ დროს, როცა ქვეყანას უფრო უჭირდა, საავადმყოფოები განადგურების პირას იყო, საოპერაციოები მოთუხურებული გენერატორებზე მუშაობდა, ზოგიერთები სასახლეებს იშენებდნენ, ათასებს ხარჯავდნენ მოგზაურიებებსა და გართობებში, გელა კი ყველას გასაგონად ინტერვიუებში ამბობდა, ერთი სოციალური საავადმყოფო აშენეთ, თქვენი გვარი და სახელი დააწერეთ, მეტი უკვდავება რა გინდათო და ამერიკელი ქირურგის დებეიკის მაგალითი მოჰყავდა, მადლიერმა პაციენტებმა კლინიკა რომ აუგეს. ასევე მოქცეულა ცნობილი ფეხბურთელის ბობი მურის მეუღლე, რომელმაც გარდაცვლილი ქმრის პატივსაცემად სოლიდური თანხა გაიღო და დღეს ინგლისში კიბოს ლაბორატორიული კვლევების ერთ-ერთი ცენტრი ბობი მურის სახელს ატარებს.

გელას სამსახურის კარებს კი ჯერვერობით ასე ანერია – „საქართველოს პროექტოლოგიის ცენტრი, გელა მუხაშავრიას კლინიკა“. ესაა

მისი სახელოსნოც, მუზეუმიც, საგამოფენო დარბაზიც და ბედნიერია, როცა აქედან კმაყოფილი პაციენტები გადიან, არასოდეს, არასოდეს უნანია, რომ მრავალ პროფესიათა შორის, უქიმობა ყველაფერს არ-ჩია!!!

1996-98 წლებში ჯანდაცვის მართვის ნაციონალურმა ცენტრმა საკუთარი სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მონაცემები გა-მოაქვეყნა და სამიცვე წელს გამოკითხულთა უმრავლესობამ ქვეყნის პირველ პროეტოლოგად გელა მუხაშავრია დაასახელა.

დღეს გელა ექიმს აქვს ერთი რჩევა მათთვის, ვინც ჰიპოკრატეს ფიცის დადებას გადაწყვეტს: ექიმს საქმე აქვს ბუნებაში ყველაზე რთულ მექანიზმთან – ადამიანის ორგანიზმთან. დრო მკურნალისათვის უდიდესი და მკაცრი მასწავლებელია. მედიცინის სფეროში და-ოსტატება პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია. წარმატების მისაღწე-ვად ექიმს ცხოვრების განსაკუთრებული რიტმი და დროის მუდმივად გონივრული გამოყენება სჭირდება.

* * *

აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის წერილი სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე!

ბატონი გელა მუხაშავრია დღეს „ფორმდება“ როგორც დოქტორი, არსებითად კი ის დიდი ხანია არის პროეტოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის პროფესორიცა და დოქტორიც. ვიცნობ მის სადოქტორო დისერტაციას და ყველა მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს, ისინი სრულად აქმაყოფილებს სეს-ის მოთხოვნებს. ბევრი, ვრცლად მსურდა მეთქვა გელასთვის, მაგრამ რა გაეწყობა. ყოველ შემთხვევაში აღვნიშ-ნავ, რომ მას ყველა თვისება – მოქალაქის, ექიმის, მკვლევრის, მეგო-ბრის – აყვანილი აქვს უმაღლეს ხარისხში. ამიტომაც საზოგადოებას ბატონი გელას დიდ პროფესიონალიზმთან ერთად დიდი კაცობაც ახ-არებს.

25.04.2004 წელი

გელა მუხაშვილის გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. Гела Мухашавриа. Иссечение анальной трещины с восстановлением слизистой оболочки и кожи. Материалы Научно-практической конференции; Тула, 1986; ст. 78.
2. მუხაშვილი გელა. ქრონიკული ანალური ნაპრალის რადიკალური ქირურგიული მცურნალობა. საქართველოს სამედიცინო მოამბე. 1992, 2:29-32.
3. მუხაშვილი გელა. ქრონიკული ანალური ნაპრალის პათოგენეზი და რადიკალური ქირურგიული მცურნალობა. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსამოვალად. 1992, 106 გვ.
4. Мухашавриа Гела, Карабаки Майя. Одновременное и постепенное иссечение наружных и внутренних геморроидальных узлов с фиксацией слизистой оболочки к перианальной коже. Российский журнал гастроэнтерологии, гепатологии, колопроктологии. 1995, 3:87-9.
5. მუხაშვილი გელა, ქარაბაკი მაია, მუხაშვილი გია. ჰემოროიდექტომიის ახალი მეთოდი. საქართველოს სამედიცინო მოამბე. 1994, 3-4:52-6.
6. მუხაშვილი გელა. ჰემოროიდექტომიის ახალი მეთოდის შესახებ. მესამე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 1995, 39-40.
7. მუხაშვილი გელა, გრიგალაშვილი მამუკა. ანალური ნაპრალის ქირურგიული მცურნალობის ორი ახალი მეთოდის შესახებ. მესამე რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 1995, 27-8.
8. მუხაშვილი გელა, მუხაშვილი გია, ქარაბაკი მაია. კუდუსუნის ეპითელური გზის მცურნალობა. თსსუ, ქირურგის აქტუალური საკითხები. 1995, 164-7.
9. Мухашавриа Гела, Карабаки Майя. Оригинальный метод геморроидэктомии. Проблемы колопроктологии. Москва, 1996, 15:143-4.
10. ქარაბაკი მაია, მუხაშვილი გელა. უიშვიათესი ლოკალიზაციის ელეფანტიაზი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 1997, 121-2.
11. მუხაშვილი გელა, ქარაბაკი მაია. შესაძლებელია თუ არა ჰემოროიდული დაავადების რეციდივის აღკვეთა? საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 1997, 73-4.
12. Мухашавриа Гела. Пластический хирургический метод лечения геморроидальной болезни. International Symposium On Reconstructive And Plastic Surgery. Black Sea Economic Cooperation. 1997, p.50.

13. მუხაშვილია გელა, ქარაბაკი მაია. ჰემოროიდექტომიის ორიგინალური მე-თოდი. თსსუ, ქირურგიის აქტუალური საკითხები, 1997, 116-8.
14. მუხაშვილია გელა, მუხაშვილია გია, ტლაშვაძე ვალიკო. ადამიანის პაპ-ილომავირუსით გამოწვეული პერიანალური კონდილომების ქირურგიული მკურნალობის თავისებურება. თსსუ, ქირურგიის აქტუალური საკითხები, 1997, 94-6.
15. Мухашвири Гела, Карабаки Майя. Оценка нового метода альтернативного вмешательства при запущенных формах геморроя. *Georgian Medical News*, 1998, 5:49-51.
16. მუხაშვილია გელა, ქარაბაკი მაია. პროქტოლოგია. სახელმწიფო ანელი; 1998, 238 გვ.
17. მუხაშვილია გელა, ქარაბაკი მაია, მუხაშვილია გია, ტლაშვაძე ვალიკო, ნითლიძე დიანა. ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა მწვავე პარაპროქ-ტიტის დროს. თსსუ, ქირურგიის აქტუალური საკითხები, 1998, 81-4.
18. ქარაბაკი მაია, მუხაშვილია გელა, ტატიშვილი გიორგი. უიშვიათესი ლო-კალიზაციის ელეფანტიაზი. თსსუ, ქირურგიის აქტუალური საკითხები, 1998, 85-8.
19. მუხაშვილია გელა, ქარაბაკი მაია. ალტერნატიული ქირურგიული ჩარევა ბუასილის შორსნასული ფორმების დროს. თსსუ, ქირურგიის აქტუალური საკითხები, 1998, 89-94.
20. Карабаки Майя, Мухашвири Гела. Клинико-макроморфологическая классификация геморроидальной болезни. Актуальные проблемы колопроктологии. Иркутск, 1999, 57-9.
21. Мухашвири Гела, Карабаки Майя. Новый метод геморроидэктомии. Актуальные проблемы колопроктологии. Иркутск, 1999, 59-60.
22. Мухашвири Гела, Мухашвири Гия, Кевлишвили Бека, Мицишвили Николоз. Некоторые аспекты этиологии и комплексного лечения анаэробных флегмон промежности и таза. *Georgian Medical News*. 1999, 10:68-9.
23. Мухашвири Гела, Карабаки Майя. Ускоренная активная подготовка больших острый геморроем к радикальной геморроидэктомии. *International Medical Journal*. Москва, 2000, 3:234-5.
24. მუხაშვილია გელა, ქარაბაკი მაია. ექიმთა სასერტიფიკაციო ტესტ-კითხ-ვარი კოლოპროქტოლოგიაში. 2001
25. Мухашвири Гела, Карабаки Майя. Модификация радикальной геморроидэктомии. *International Medical Journal*. Москва, 2001, 4:358-9.

26. Мухашавриа Гела, Карабаки Майя. Подход к проблеме предотвращения рецидива геморроидальной болезни. Проблемы колопроктологии. Москва, 2002, 18:164-7.
27. Мухашавриа Гела, Карабаки Майя. Стратегия радикального лечения запущенных форм геморроя. Georgian medical News. 2002, 10:7-13.
28. Карабаки Майя, Мухашавриа Гела. Эффективность малоинвазивных методов лечения геморроидальной болезни в зависимости от ее стадии. Georgian Medical News. 2002, 11:10-3.
29. მუხაშავრია გელა. ჰემოროიდული დაავადების ქირურგიული მკურნალობა. მონოგრაფია. 2002, 180 გვ.
30. Карабаки Майя, Мухашавриа Гела. Технико-тактические вопросы рецидивирования геморроидальной болезни. Georgian Medical News. 2003, 3:38-41.
31. Ривкин В.Л., Мухашавриа Г.А., Карабаки М.А. Геморрой и Запор. Глава в книге «Руководство По Колопроктологии», 2004, Москва.
32. მუხაშავრია გელა. ჰემოროიდული დაავადების ქირურგიული მკურნალობა. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 2004, 190 გვ.
33. Mukhashavria Gela A., Qarabaki M.A. Surgical Technique Tailored to Advanced Hemorrhoids. Techniques in Coloproctology (Italy). 2009, 13(2):151-5.
34. Mukhashavria Gela A., Qarabaki M.A. Circumferential excisional hemorrhoidectomy for extensive acute thrombosis. Disease of the Colon and Rectum (USA). 2011, 54(9):1162-9.

რეცენზია გელა მუხაშავრიასა და მაია ქარაბავის წიგნზე „პროქტოლოგია“ (ამონარიდი)


სარეცენზიონ წიგნი პროქტოლოგიის პირველი სახელმძღვანელოა. მისი ავტორები რესპუბლიკური პროქტოლოგიური ცენტრის პიონერები და დამაარსებლები არიან. 15 წლის მანძილზე 10 000-მა ავადმყოფმა გაიარა ამ მზრუნველი, უანგარო სპეციალისტების ხელში, რომლებმაც არა მხოლოდ განკურნეს ისინი, არამედ შეძლეს თავისი გამოცდილების განზოგადება, წიგნიდ ქცევა. წიგნი კი ცოდნის გაზიარების წყაროა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმაღლესი გამოვლინება; ხალხს უზიარებს ყველაზე ძვირფასს – ცოდნას. საზოგადოებისაგან კი ყურადღების გარდა სამაგიეროდ არაფერს ითხოვს.

პროქტოლოგიური დაავადებები არა მხოლოდ დისკომფორტის, არამედ ხშირად პიროვნული ტრაგედიის მიზეზი ხდება. ადამიანებს სიცოცხლეს უმნარებს. გავიხსენოთ, რომ გენიალურ კოპერნიკს ჰემორიოდულმა სისხლდენამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

წიგნის თვრამეტი თავში პრაქტიკოსი პროქტოლოგისათვის საკმაო მოცულობით განხილულია სწორი ნაწლავის ანატომია და სწორი ნაწლავის უზშირესი, შედარებით კეთილთვისებიანი დაავადებების ეტი-ოპათოგენეზი, კლინიკა, მკურნალობა. დასანანია, რომ არაფერია ნათევამი ყითა ნაწლავის ატრეზიის, მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზის, უცხო სხეულების პირშსპრუნგის დაავადების და განსაკუთრებით სწორი ნაწლავის სიმსივნეების შესახებ. მკურნალობის მეთოდთა გადმოცემის დროს, ავტორები არ ამძიმებენ ტექსტს ყველა არსებული მეთოდის ჩამოთვლით, არამედ გადმოგვცემენ მკურნალობის უახლესს მეთოდებს, რომლებიც საკუთრივ აქვთ გამოცდილი და გამომუშავებული.

წიგნი შესანიშნავი საჩუქარია არამხოლოდ პროქტოლოგისათვის, არამედ ყველა ექიმისთვის და ალბათ, ბევრი პროქტოლოგიური ავადმყოფისთვისაც, რადგან იგი კარგი ქართულით არის დაწერილი და იო-ლად იკითხება. წიგნი ახლახან გამოქვეყნდა და უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. სასურველია მისი განმეორებითი, გაფართოებული გამოცემა კოლოპროქტოლოგიის სახელმძღვანელოს გრიფით.

პროფესორი ალექსანდრე ბეთანელი
1998 წელი



მხატვარი შოთა შანიძე

სახლი

55 წელია გელა მუხაშავრია ამ მისამართზე ცხოვრობს – თბილისი, გურჯაანის ქუჩა №14. აქ მისი პატარა, ავლაბრული ეზოს სიძველეშე-პარული შუბაბანდიანი სახლია. თუმცა აქაურობა მისთვის ამქვეყნად გადგმული ფესვებია, ესაა მშობლების, ახალგაზრდობის ყველაზე ბედ-ნიერი წლების და იმ ადამიანების მოსაგონარი, რომლებიც დაჩარჩოებულ ფოტოებად თუ ნახატებად მიეკრა ამ კედლებს და ვერასდროს წავლენ გელას ხსოვნიდან. ამ პატარა სახლში ყოველთვის ყველასთვის იყო ადგილი, იმიტომ, რომ სიყვარული იყო დიდი. მერე შვილები ცალკე დაბინავდნენ, მაგრამ დღე არ გავიდოდა ვინმეს ნელის ზრუნვა და დაუცველებელი ყურადღება არ დასჭირვებოდა. – ხედავ, ყველა სითბო და სინათლე ცივი და ბნელია, თუკი იგი ადამიანისაგან და ადამიანებისთვის არ მოდისო, – ამბობს გელა, კარადიდან ჭიქას იღებს, ღვინით ავსებს და სვამს – წასულებს კი არა მისულებს გაუმარჯოთ, ეგენი მივიდნენ, ჩვენ გზაში ვართო და გარდაცვალებას მარადიულ დაბადების დღეს არქმევს. ფულის სადლეგრძელოც პირველად მისგან მოვისმინე – ფული ხელის ჭუჭყი არაა, იგი მისი მფლობელის ხასიათის, შნოს და აზროვნების გამომხატველია. ფულთან დამოკიდებულებაში ბევრის დანახვა შეიძლება და ფულიანი ლირსეულიც მაშინ ხარ, თუკი შენს გვერდით მყოფ ადამიანებს უფულობას არ აგრძნობინებ. ლირსეული ფულის ლირსეულ პატრონს გაუმარჯოს! – თქვა გელამ და მისი მეგობრის სიტყვები გამახსენდა, ეგ ფულის შემნახვი კაცი არ არის, მთელი ცხოვრება თუკი რამე ჰქონდა, სხვებს ეხმარებოდა, აბაზს შოულობდა და მანეთის ხარჯავდაო. გელას სიტყვას ფიცის ფასი აქვს. თუ რამეს დაგპირდა, იმას არ გადავა. ერთხელ მეგობარს ქუჩაში უნდა შეხვედროდა, არადა მისვლას ველარ ახერხებდა. მაშინ მობილური ტელეფონი არ არსებობდა, ტაქსი დაუქირავებდა და ბოდიში შეუთვლია. პირგატეხილ და ტყუილში „გამოჭრილ“ ადამიანებს დღესაც ალმაცერად უყურებს და ამბობს, გულწრფელობისთვის კაცს ყველაფერს ვაპატიებ! ბუნებით ალტრუისტია და ქვაზე დადებული – შეფუთულ სიკეთეს ურჩევნია.

სუფრები ყოველთვის უყვარდა, ოღონდ პატარა, კამერული, ერთმანეთის ხმაც რომ ესმოდათ და გულისთვის „ახლაბრის“ ადგილზე იყო, რესტორანი „ისანი“. ბიჭები მედუქნის გამო „წიკრიკოლას“ ეძახდნენ, იქ სპარტაკა უკრავდა აკორდეონზე, ბრმა იყო, მაგრამ ხელის ცეცებით არჩევდა კუპიურებს, გელას ემეგობრებოდა და ფეხის ხმაზეც ცნობდა.

მოგვიანებით გელამ სასტუმრო „საქართველოს“ რესტორანში დასარტყამ ინსტრუმენტებზე სლავა კარჩი რომ ნახა, „გლივვავსო“ ასე შეაფასა და იქ დაყავდა ბიჭები საქეიფოდ. უყვარს ქართული მრავალხმიანობა, ხან რომელიმე ხმას დაიჭერს, გაყვება, გაყვება, შეეპარება სიმღერას და

კარგადაც გამოსდის, თუმცა გელა მაინც სპარტაკას აკორდეონის და თბილისური მეზურნეების დასტის ერთგული დარჩა, რადგან ეს მუსიკა მისთვის ყველაზე ახლობელია. იგი ბუნებით ესთეტიკა. ექსტრავაგანტულობით ყოველთვის გამოირჩეოდა და ეს გარეგნულადაც ეტყობოდა. პირველად ახალთახალი პიჯაკი ატელიეში რომ მიიტანა და სახელობის მოქრა მოითხოვა, მკერავს გაკვირვებია და უთქვამს, აქამდე სახელოს ვაკერებდი და ვამთელებდი, რას აღარ მოიფიქრებს კაციო. მას მერე გელა უფრო ხშირად უსახელო პიჯაკს ატარებს და ამბობს – ეს ჩემი სტილია. ტრადიციული ჰალსტუხი არასოდეს კეთებია. პერანგის შიგნით, შიშველ კისერზე გამოკვანძულ ფერად-ფერად ყელსაბამებს ატარებს. უყვარს მაისურები და შეუძლია ყველა აკადემიური სამოსი თავის გემოზე „გადაასპორტულოს“, ამიტომ უყვარს მერავი და ატელიე. არ იცის სახელობითი მაღაზიები და მის ყველა ჩასაცმელს და სტილს „გელას ბრენდი“ ჰქვია. ორმოცდაათიან წლებში, პირველად, რუსთაველზე, საბაგიროს ასასვლელთან გურამ რჩეულიშვილი დაუნახავს, უცნაური, მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, ძალიან მოეწონა და დღემდე თუკი სხვები ფეხსაცმელს სიმსუბუქის გამო ირჩევენ, გელას პირიქით, მძიმე და ყელიანი ურჩევნია. არ ეზარება ყველგან ატაროს დიდი და მძიმე, შავი საკონიაჟი და ჰატარა ხელჩანთა.

– რა დააქვს? – წიგნები, სათადარიგო კაშნები, საკუთარი ჯანმრთელობის გამოკვლევის დასკვნები, თაბახებად აკინძული ტელე-ფონის ნომრები, პირადი დღიური, მედიკამენტები, ფანარი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ნივთები, წნევის აპარატი და ერთი ბოთლი ნატურალური ღვინო. გელა ჩანთით თანამედროვე პარფიუმერიას ატარებს და ამჯერად „ნარცისო როდრიგესს“ აღიარებს, თუმცა სახლში „ერასნაია მასევას“ და „პოდაროჩინის“ ანდობს ყონსვის რეცეპტორებს. არა, აქ თურმე ნამდვილად არ ექსტრავაგანტობს. ეს ის სურნელია, მშობლებს რომ ახსნებს და ყოველდღე ცოტ-ცოტას, მხოლოდ ნესტორებთან მოისვამს ხოლმე, სხვა რომ არ გააღიზიანოს. არ უყვარს მოვარაყებული და დეკორატიული ნივთები, არასოდეს უყიდია ძვირადლირებული ფაიფური და ლარნაკები. ამბობს, რომ ნივთი იმით ფასობს, თუკი იგი ვინმეს ხსოვნას ატარებს ან გულითადობის საჩუქარია. ასეთები კი ნამდვილად მოეპოვება. სამკაულსაც ატარებს, მაგრამ არა სიმდიდრისმოყვარეობის ნიშნად. ახლახან გიორგი ღუდუშაურს საგანგებოდ ამეთვისტოს თვლიანი ბეჭედი დაამზადებინა, ორივე მხარეს მისი უპირველესი პროფესიული იარალი – საჩვენებელი თითია ამოტვიფრული. აღიარებს, რომ ვერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში პედიკურისთვის თეთრხალათიან ქალბატონს დაუკვდა. არაფრად ჩააგდო სალონიდან გამოსულს გაკვირვებული, დაეჭვებული

თვალი რომ გამოაყოლეს. მეტი სხვა საეჭვო არაფერი ჩამიდენია, ახლა მიზუსტებს და მთანხმდება იმაზე, რომ დღიურები წამაკითხოს – ძველი და ახალი. ვისთვის წერს? – მეხსიერებისთვის, ამ ფურცლებზე ალაგებს დღეებს, ემოციებს, რომელიც არცერთ ასაკში აკლდა. მაგრამ ეს შთაბეჭდილებები უფრო ადამიანური ურთიერთობებიდან მოდიოდა და არასოდეს მოგზაურობებიდან. არ იტაცებდა სტუდენტური ალპინიადები და ექსკურსიები, არ უყვარს აეროპორტები და ფრენა, ხუმრობს, რომ მსოფლიოს კარგად იცნობს წიგნებით და გადაცემა „ჟლუბ კინოპუტეშესტვით“. წერს თავისთვის და იმისთვისაც, რომ უფიქრია, რაც ერთ წელიწადში არ ხდება, ერთ წამში შეიძლება მოხდესო. რას წერს? – ყველა ასაკს თავის პოეზია აქვსო და

„ეჭვებს რომ შევეჭიდები,
ამ იდუმალ ხმას ვისმენ,
ღმერთს რაღაცაში ვჭირდები,
არ გამაჩინდა ისე“.

ერთგან გადმოუწერია, „მე არავინ გამინირავს, რომ მე გადავრჩენილიყავი, მაგრამ არც მე გამინირავს თავი, რომ სხვა გადამერჩინა დალუპვისაგან“. გველა კი აგრძელებს ამ სიტყვებს: მე კი გამინირავს თავი, მაგრამ გადავრჩი, ყველაფერი ლვთის ნებითაა... სხვაგან თვითონ მიუგნია აფორიზმებივით ფრაზებისთვის:

„ყველა კანონის მორჩილება, ეკლესიური, მართლმადიდებლური, უფლის მორჩილებით იწყება“.

„ვალი არ მიყვარს არც კაცის და არც ბანკის...“

„მე ოცნებას კი არა ღმერთს მინდობილი კაცი ვარ“

ეს ფრაზები გელას დღიურს ამ წიგნისთვის ამივარიდე. წერს, როცა მოიწყენს:

„მე გავეხვიე ფიქრის ძონძებში
ასე ყოფილა ბედსაწიერი,
კანონმორჩილი ველი მოვლენებს
რასაც ინებებს ღმერთი ძლიერი“.

დღიური გვიმხელს, რომ გელას გაზაფხული უყვარს, აპრილ-მაისის განწყობა, თუკი წერს, ხვდები, რომ დარდის მიყუჩებასაც ცდილობს და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს. მერე საკვოიაჟიდან ერთ-ერთი პაციენტის „საოპერაციო ადგილის“ სურათებს იღებს და მაჩვენებს: ნახე, რა დღემია, ისეა გადაგვარებული, შეიძლება არც დაიჯერო, რომ ეს ადამიანის ორგანო, ოპერაცია ხუთშაბათს დაკრიშნე, ამისგან იცი რას

გავაკეთებ? – დავხატავ. ამ დახატვის გამოა, რომ მოდიან ოპერაციების მერე და ეუბნებიან, შენ გაიხარე ექიმო, ტუალეტში შესვლის აღარ მეშინა, სულ თქვენ ხსენებაში ვართო. – კარგ ადგილზეც მახსენეთო, სიცილით პასუხობს გელა და მიულექსებს „ჩემი ცხოვრება ტრაგიკულია, რამეთუ ზოგჯერ ტრაკიც გულია!“ სამსახურში დრო მალე გადის. ხანდახან დღე ისე მთავრდება, რომ კაბინეტში შესვლას ვერ ახერხებს, არც ოპერაციებისთვის ზოგავს თავს, თვალიც მიჭრის და არც ხელი მიკანკალებსო, ამბობს, მაგრამ ხმა კი ბზარება და უკანკალებს, როცა მეგობრის გარდაცვალებას აგებინებენ და აცრემლებული საკუთარ თავს ეკითხება, ვინდა დავრჩით? ახლახან კოსტა წულაძე მოუკედა, ბათუმელი ძმა და მასპინძელი. გამოსამშვიდობებლად ვერ წავიდა, იდარდა... მერე ბლოკნოტში კოსტას ტელეფონის ნომერს და-აცქერდა, შემოხაზა, პატარა ჯვარი მიახატა და მიაწერა „ჯიგარი“. კალამს კი ისე უსვამდა, თითქოს ფურცელზე კი არა ქვაზე წერდა.

გელა ხსოვნის შემნახავი კი არა, უფრო გამფრთხილებული კაცია. იგონებს, როგორ დადარდიანდა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მიტოვებული საფლავები რომ ნახა, იმ წელს აღდგომა დღეს წავიდა, რასაც მოერია, ბალახები დაგლივა, გადათელა, წითელი კვერცხები გადაუგორა, უპატრონო არავის ეგონოსო. ახლა როცა თავისიანებთან, საბურთალოზე გადის, თუკი ახლო-მახლო აბალახებული ვინმეს საფლავი ნახა, მომვლელ ქალბატონს სთხოვს, ისიც განმინდოს.

სახლი ახლა გელასთვის სასთუმალია. მისთვის აქ დრო ყველაზე ნელა გადის. არაფრის შეცვლას არ აპირებს, ეს ბზარებიც ამ კედლების ნაოჭებიაო და კოსმეტიკაზეც უარს ამბობს. როგორც ყველაფერი მისი, სახლიც მას ჰგავს, უბრალოა, სუფთა, თბილი და მოწესრიგებული. მეტის სურვილი არც არასოდეს ჰქონია, ვის რა ნაულია ამ ქვეყნიდანო, ისე კითხულობს, რომ პასუხიც ზუსტად იცის. შემთხვევით, არც ეს იგავი გადაუწერია თავის დღიურში:

კაცს სამი მეგობარი ჰყავდა, პირველი ძალიან უყვარდა და მისთვის ყველაფერს აკეთებდა, მეორეც უყვარდა და ემსახურებოდა, მესამეც უყვარდა, მაგრამ იშვიათად იგონებდა. ერთხელ კაცი ხელმწიფემ დაიბარა. შეეშინდა კაცს და პირველ მეგობარს სთხოვა, გაყოლოდა, ვერსად ვერ წამოგყვებიო რომ უპასუხა, მეორეს მიადგა. მეორემ უთხრა, კარგი, წამოგყვები, ოლონდ მარტო ხელმწიფის კარამდეო. მესამე კი მაშინვე დათანხმებულა – ხელმწიფესთან კი არა, სადაც გინდა იქ წამოვალ და მე ისედაც სულ შენთან ვიქნებიო. ხელმწიფე უფალი იყო, პირველი მეგობარი – ფული და სიმდიდრე, მეორე – ოჯახი, მესამე მეგობარი კი – სიკეთე, კაცი კი კაცი იყო!

ფოტოისტორია



* * *

1959 წელი. აგვისტო. გელას საქორწილო მოგზაურობა ძიმითში. მახარაძიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ფოტოგრაფმა ლავრენტი მუხავრიას ეზოში ლამაზი პატარძლის – ნელი სხირტლაძის გასაცნობად მისულ ნათესავებს მოუხმო – აბა, აქით მოდით, ზოგი ჩამოჯექით, პატარები დადექით.... მერე ფოტოაპარატს შეკრული სამფეხი შეხსნა, გაშალა, პატარა ყუთში შეძვრა, თავზე შავი ქსოვილი გადაიფარა და დაიძახა: აბა, ყველამ აქეთ იყურეთ, ვიღებ!

დგანან: ცუცუ ანდლულაძე, ცარო მუხაშავრია, ნელი სხირტლაძე, ლილი ანდლულაძე, მაფონა მუხაშავრია.

სხედან: თებრონე დოლიძე, ქეთო, გელა, გოგი, გიზო და ნორა მუხაშავრიები.



გელას აფორიზმები

*

მთელი ცხოვრება საკუთარ ავტორიტეტზე ვმუშაობდი, ახლა ავტორიტეტი მუშაობს ჩემზე.

*

საქართველო მეძავ ქალს ჰგავს, რომელიც მდიდარ საყვარელს ეძებს.

*

ვებრძოლოთ ცოდვებს და არა ცოდვილებს.

*

როგორც განვლილი ნლები მყარნახობს, ჩემი დაცვის მექანიზმი სიმართლეა.

*

ცხოვრება დროში გაგორებული კამათელია, სადაც იშვიათად ჯდება დუ შაში.

*

ყველაფერი ბრძნული სადა და მარტივია.

*

ისწავლე ფულის კეთება და დანარჩენს ფული გასწავლის.

*

ქალზე უკეთესი ისევ ქალია.

*

ტყუილი საკუთარი ცხოვრების გაუკულმართებაა.

*

სიკედილი სიცოცხლის ნაწილია, სირცხვილი სიცოცხლეშივე საკუთარი სიკედილის ხილვაა.

*

ადამიანის პროდუქტიულობა მისივე ყოველდღიური ცხოვრების თვითანგარიში უნდა იყოს.

*

ჭეშმარიტი პასუხისმგებლობა ნიშნავს შენი ავტორიტეტის, სახელისა და გვარის ღირსეულ დამკვიდრებას.

*

ვისაც საქართველო უყვარს, საქართველოსავით შექირვებული უნდა ცხოვრობდეს.

*

რაც უფრო დიდ სკამს მოირგებს ადამიანი დაუმსახურებლად, მით უფრო პატარა ხდება თვითონ.

*

სხვის შეცდომებზე ისწავლე და შენს შეცდომებს არ მიეჩვიო.

*

ვისაც სამშობლო უყვარს, ის პირადულზე მეტად ერის და ქვეყნის ნარუმატებლობას განიცდის.

*

ნარსულის მოგონება ჩემი დარჩენილი სიცოცხლის საგზალია.

*

ჩემი პროფესია ჩემთვის სულია, მთელი შინაგანი სამყაროა და არა მდიდრული ცხოვრების თუ ფუფუნების მომტანი საშუალება; იგი ჩემი პურია და არა ტკბილეული.

*

ყველა ნარმატებულ ოპერაციას ჩემთვის დიდი დადებითი, თვითონ-მენის მუხტი მოაქვს. უარყოფითი შედეგით დამთავრებული კი მუდმივად მაწვალებს და არასოდეს მავიწყდება.

*

პროქტოლოგიავ, მე შენი მუდმივი ტყვე ვარ. ჩემი ახალგაზრდობა და ტალანტი სწორი ნაწლავის კედელში მყუდრობს და ბერდება.

*

საკუთარი თავის სწორად დანახვა შემოქმედებაა.

*

სხვისთვის მორალის კითხვას მორალურად სიარული სჯობს.

*

დრო ყველაზე კარგი შემფასებელია.

*

გაუვარჯიშებელი სხეული მოკლე გზას ირჩევს სიკედილისკენ.

*

უშეცდომო ცხოვრება არ არსებობს. სხვათა შეცდომის გაანალიზება კი საკუთარი თავდაცვის ერთგვარი ხერხი უფროა, ვიდრე სხვების განსჯა.

*

როგორი კარგიც არ უნდა იყოს ნარსული, ყოველთვის უნდა ცდილობდე მომავალი იყოს უკეთესი.

*

ნახატის ბოლო ლურსმანია.

*

ფულმა არ დაგიმონოს, კარგია, თუ ფულს შენ დაიმონებ.

*

ნახერხი ხელმეორედ არ დაიხერხება.

*

ყველა ხეს და ყვავილს თავისი მგალობელი ჰყავს.

*

ყველაზე დიდი ცენტორი შენი საკუთარი თავია.

*

შენს თავმოყვარეობას შენი თავმდაბლობა განაპირობებს.

*

[შინაბერა] იცი რაფერია? – ქალიშვილზე ქალიშვილი.

*

შენ იყავი ჩემზე კარგად, ჩემზე უკეთესად.

*

მთელი ცხოვრება იფიქრე საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე.

*

ლირსებას ვერასოდეს იყიდი, ვერც ვერავინ მოგცემს და ვერც ვერავინ წაგართმევს.

*

რადგან თვალისგან დაფარულია, ტრაკი ყოველთვის დაჩაგრულია.

*

წლების მომატებით თუ შენს პროფესიონალიზმს აქტუალობას არ უკარგავ, არ ბერდები, პირიქით – ბრძენდები.

*

გაიმარტივებ ცხოვრებას თუ მარტივად იტყვი სიმართლეს.

*

მედიცინაში უნდა დაიფერფლო, გიყვარდეს მედიცინა და არა საკუთარი თავი ამ ასპარეზზე.

*

ადამიანი ბოლომდე მაინც არასდროს იხსნება.

მარსელ პრუსტის ანკეტას ავსებს გელა მუხაშავრია

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?
- უიმედობა და სასოწარკვეთა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- საქართველოში (დაუფიქრებლად).
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- უმაღლესი ბედნიერება ჩემთვის არ არსებობს. ბედნიერი ხან ხარ, ხან არა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- დათა თუთაშია.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავითი, ცოტნე, თამარი, ერეკლე მეორე, მღვდელი თევდორე და ასე შემდეგ.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფიროსმანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- რევაზ ლალიძე.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- მამაკაცობა ბევრს მოიაზრებს, რაც, ალბათ, ჩამონათვალს ვერ დაიტევს.
- რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- სიკეთის კეთება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- რასაც ვემსახურები – ექიმიბა, კერძოდ, ქირურგია.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მოქარბებული კომპრომისი.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- გულწრფელობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ფეთქებადი ხასიათი მაცვს, როგორც გურულს.
- თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ხან რა და ხან რა, სრული ბედნიერება არ არსებობს.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- რშმენის დაკარგვა.

- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ზუსტად ისეთი, როგორიც ვარ.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ახალგაზრდობაში – ცისფერი, ახლა უფრო მუქი მწვანე მომწონს.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- იასამანი.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- შაშვი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირევაბიძე.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გალაკტიონი, მუხრანი, მურმანი, შოთა ნიშნიანიძე, ლადო ასათიანი, ტერენტი გრანელი...
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ზურიკელას ოლღა ბებია.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან წამებული.
- საყვარელი სახელები?
- ნიკა, თამარი, ცოტნე, თამთა, ლუკა, ჩემი დიდი ბაბუის სახელი ჯაინოზი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ტყუილს და მლიქენელობას.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირისი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?
- დიდგორის ომი.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ჯალალ ედ დინი, ჩვენი ამაოხრებელი...
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევთ?
- ბატონიყმობის გაუქმება საქართველოში.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ რომ ფლობდეთ?
- მხატვრობის ნიჭი.
- როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?
- შეურცხვენელი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- აფორიაქებული...
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველაფერი ღალატის და ტყუილის გარდა.
- თქვენი დევიზი?
- სიყვარული.

„დილის გაზეთი“, 1998 წ.

ଯେ ଏହି ପାଦିଲାଙ୍କରୁ
ମଧ୍ୟରେ ଉଚ୍ଚତା
ପାଇଁ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଫଳାଙ୍ଗ
ଦେଖିବା ପାଇଁ
କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

p.s.

პოლიციური ანამნეზი

ჭაბუა ამირეჯიბი, ბერი დავითი

ვაჟკაცი

ყველა სადღეგრძელოს მირჩევნია გელა მუხაშავრიას სიცოცხლისა და მომავალი ცხოვრების, უდარდელობისა და სიხარულისა – ამჯერად და მუდამ, რადგან გელა მთელი თაობის განსახიერებაა! – ეს აღდგომა დღეს ჩემს დაფაზე დაგინერე (ვერ ვლაპარაკობ და ეს დაფაა ჩემი სსნა). ახლა კი შემდეგს დავამატებ: ქართველებს ერთი კარგი სიტყვა გვაქვს „ვაჟკაცი“. „ვაჟი“ ყველამ ვიცით რაც არის, აი, „კაცი“ – ის არის, რაც ჩვენს ენაში სიტყვა „კაცობრიობას“ უდევს საფუძვლად. აქედან ერმა შექმნა ცნება „ვაჟკაცი“. ბედნიერია ის, ვისაც ამ სიტყვით მოიხსენიებენ.

ჩემო გელავ, შენ სწორედ ერთი ამათგანი ხარ, რადგან გამშვენებს შენი ღვაწლი და რაც მთავარია, გული – სიკეთითა და სიყვარულით სავსე! სიქაბუკიდანვე მოგდევს ეს თვისება, ეს ხიბლი: ნიჭი სიყვარულის, ძმობის და თანადგომის, ამიტომ უყვარხარ დიდსა და პატარას, უფროსს და უმცროსს. შენ ძალიან უყვარდი ჩემი ჭირისა და ლხინის მოზიარე სათაყვანებელ ძმაკაცს, ჩემს ამირან მორჩილებს. ლმერთმა აცხონოს! ის გაფასებდა როგორც ნიჭიერ პროფესიონალს, გულმხურვალე მამულიშვილსა და ვაჟკაცს. არაერთხელ მოუყვანიხარ ჩვენს „კატორლულ“ თავყრილობებზე, იქ ყველას არ მოესვლებოდა, შენ კი ლამაზი შეხვედრების მონაწილე ხშირად ყოფილხარ. აკი, გამახსენე ამასწინათ ამირანის დაბადების დღის ამბავი – მესამე სართულის მეზობლიდან მეექვსე სართულზე პიანინო როგორ ამოიტანე იმისთვის, რომ ცინუე დადიანს ჩვენთვის ემლერა... გამორჩეული კაცი ხარ-მეთქი, აბა, ჩვეულებრივი ვინმე ამას როგორ იზამდა?!

მადლობელი ვარ, რომ არ მივიწყებ. ორჯერ ულამაზესი ჯვარი მისახსოვრე. წმინდა ჯვრისა და ჯვარცმული იესოს მადლი გფარავდეს შენ და შენს ნაგრამს და ჩვენს ტანჯულ სამშობლოს!

2011 ნელი, 5 სექტემბერი

ირინე აბაშიძე დასტაქარი

დასტაქარი სპარსული სატყვაა და ქართულად „ოსტატს“, „დახელოვნებულ ქირურგს“ ნიშნავს. საქართველოში არაერთი დასტაქარის სახელია ცნობილი, ზოგიერთი ლეგანდადაც კი იქცა. გელა მუხაშავრია ცნობილ დასტაქართა სახელისა და საქმის ერთგული გამგრძელებელია. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში პროექტოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც ახორციელებს სამკურნალო, სადიაგნოსტიკო, სამეცნიერო და მეთოდურ-ორგანიზაციულ საქმიანობას, მაგრამ მის სახელს უპირველესად ათასობით გამოჯანმრთელებული, სიცოცხლის ხალის დაბრუნებული ადამიანი უკავშირდება. დაუღალავი შრომით, საქმისადმი ერთგულებით გელამ პაციენტთა დიდი ნდობა და სიყვარული კარგა ხანია მოიპოვა.

საქართველოში დამსახურებული დასტაქარის წოდება რომ შემოღონ, ვიცი, ეს ჯილდო გელა მუხაშავრიასთვის ზედგამოჭრილი იქნება!

ვაჟა აზარაშვილი სიყვარულის დაკვეთით

ასეა ნათევამი – სადაც მთავრდება სიტყვები, იწყება მუსიკაო. მე კომპოზიტორი ვარ და მთელი ჩემი დამოკიდებულება გელა მუხაშავრიასადმი სიმღერით გავაცნადე, როცა ამ რამდენიმე წლის წინ „ავლაბარო, ავლაბარო ჭალარა“ დავწერე და მას მივუძღვენი. გელა დიდი სიყვარულის მატარებელი და უანგაროდ გამცემია კაცია, მუდამ სალხენად და სასიკეთოდ გიწვევს. იგი ტრადიციული ავლაბრელია და ქალაქურ მოტივებზე შექმნილი ჩემი სიმღერაც ამ განწყობითაა ნაკარნახევი. ამას წინათ ერთმა უურნალისტმა მკითხა, შეკვეთით სიმღერა თუ დაგინერირიათ. რა თქმა უნდა, მე კი არა, უდიდეს კომპოზიტორებს დაკვეთით შეუქმნიათ გენიალური ნაწარმოებები-მეთქი, ვუპასუხე.

„ავლაბარო, ავლაბარო ჭალარა“-ც დაკვეთით შეიქმნა, მაგრამ დამკვეთი დიდი მეგობრული სიყვარული იყო და ამ სიყვარულს გელა მუხაშავრია ჰქვია.

მირიან ანდრიაძე

მისი ერთადერთი კანონი მარადისობის კანონია

თბილისში, ბარათაშვილისა და მშრალ ხიდებს შორის, მადათოვის კუნძულია მტკვარში შემოქმილი. იქ წლების მანძილზე ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ კორტები იყო, რომელიც თბილისში ტრადიციულად ჩოგბურთის მოყვარულთა შეკრების საყვარელი ადგილი იყო. გელაც იქ გავიცანი წლების წინ. იგი ყოველ დილას ბაზის მხრიდან გამოჩნდებოდა ხოლმე თავისი „საკვოიაუით“, შევეხუმრებოდით ერთი ქართული სიმღერის მოტივზე – „შენი მოსვლა მზის ამოსვლა მგონიაააააა“. მერე გელა „საკვოიაუიდან“ 10-კილომი ჰანტელებს ამოილებდა, თამაშის დაწყებამდე მოთელვას გადიოდა და ხმამაღლა იძახდა: მოვიგებ, წავაგებ – ვკისრულოოოობ!!! თუ არადა, ისე ომახიანად, გაგრძელებული ი-თი შემოსახებდა „აბა, მოყიდა ხაშურის გუფეტიიიიიიიი“, ძველ მატარებლებში მოსიარულე წვრილი მოვაჭრების ხმა გაგასხენდებოდა. როგორც წესი, ასეთი განწყობა ავლაბრის „გახტანგურში“ მიპატიუებით მთავრდებოდა. სხვა შემთხვევაში კი გელას თეთრი მერსედესის საბარგულში მუდამ ჰქონდა „მირონივით“ სუფთა ღვინო და ხშირად სახელდახელოდ, იქვე, მანქანის საბარგულზე დავილოცებოდით. ამ რიტუალის გამო გელას თეთრ მერსედესს ბიჭებმა მარანი ბორბლებზე შევარევით.

აღნაგობით ათლეტი, ძველი სპორტსმენი საოცარი სიმსუბუქით იდგა კორტებზე და ვეტერანთა შორის ერთ-ერთ ლამაზ, ტექნიკურ ჩოგბურთს თამაშობდა. ასე იყო მანამ, სანამ ამქვეყნად ერთი უნიჭიერესი ქართველი კაცი, ცნობილი ქირურგი დათო გოცაძე ცოცხლობდა. იგი კორტებზე ჩვენს სამოში გელამ მოყვანა. დათოს რამდენჯერ ზუმრობით უთქვაშს გელასთვის „ერთი მამა ქუთაისში მყავს, ტოვო და თბილისში შენ ხარ მამაჩემიონ“. დათოს გარდაცვალების შემდეგ, გელა კორტებზე აღარ მოსულა და ამით ერთგვარად გააპროტესტა დათოს მოულოდნელი წასულა ამ წუთისოფლიდან.

გელასაგან ყველანი გაქირვებაში წუგეშისცემითა და უდიდესი თანადგომით ვართ განებიერებულნი. რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სანამ მასთან მეთერთმეტე სართულზე ავიდოდი, კარისკაციდან დაწყებული ლიფტიორით დამთავრებული, მას ყველა ისე ახსენებდა და ლოცავდა, ვამაყდებოდი, რომ გელას მეც ვიცნობდი. გელა საკუთარი ტვირთთან ერთად ჩვენს ტვირთსაც აზიდავს ხოლმე და გაგრძნობინებს, რომ „მარადისობის კანონით“ აგერ, შენს გვერდითაც დგას და ცხოვრობს ადამიანი... მიუხედავად მისი შეუდრეველი, ვაჟკაცური ბუნებისა, მის თვალზე სიხარულის თუ მწუხარების დაუფარავი ცრემლიც მინახავს... ერთი სასულიერო პირის სიტყვები მასხენდება: ვის ცრემლსაც მადლი აქვს, ის ღმერთის შეილია და ნურაფრის შეეშინდებაო... გელას ცრემლსაც მადლი

აქვს, სიტყვასაც, ნუგეშისცემასაც და გატეხილ ლუქმასაც, იმიტომ, რომ არათერს აკეთებს იძულებითა და მოჩვენებით...

საქართველოს სულიერი მამა უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე თავის საშობაო ეპისტოლეში აღნიშნავს: „ადამიანებს უნდა გვახსოვდეს, რომ ლვთის გზით მავალმა კაცმა ამქვეყნად სამი საფეხური უნდა გაიაროს – მონობის, დაქირავებული მსახურის და შვილობის. მონაა ის, ვინც ემორჩილება უფალს შიშის გამო. დაქირავებულია ის, ვინც შრომობს და მორჩილებს უფალს სანაცვლო ანაზღაურების იმედითა და სურვილით. შვილია იგი, ვინც ცხოვრობს და მოქმედებს სიყვარულის კანონებით. ვფიქრობ, გელა მუხაშავრია ლვთის გზაზე დგას და თავისი ცხოვრების წესით სამივე საფეხურს ღირსეულად გადის...



გელა მუხაშავრია, აგული სოხაძე, ფელიქს ჯანაშია,
გეიდარ ფალავანდიშვილი, თამაზ გამყრელიძე, უანი გოგინაშვილი,
გრიგოლ შონია, თემურ კექესიტაძე




კორტებზე

პროფესორი ამირან ანთაძე ვოლგოგრადიდან თბილისამდე

1983 წელს ვოლგოგრადში საბჭოთა კავშირის პროექტოლოგთა შეკრება იმართებოდა. იმ დროს ამ ქალაქში ვმუშაობდი და ქართულ დელაგაციას ვმასპინძლობდი. თავიდანვე შევნიშნე გელა მუხაშავრია, მერე კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა, სადაც ამ დარგის პრობლემებზე და გადაქრის შესაძლებლობებზე ისაუბრა. ამხელა ფორუმზე სიტყვას არავინ გათემუნინებს, თუ პროფესიონალად არ მიგიჩნევენ, შენგან რაიმე ახალს და საინტერესოს თუ არ მოელინა. მასსოფს, გელას გამოსვლამ როგორი მოწონება დაიმსახურა. შეხვედრა სულ 5 დღე გაგრძელდა, მაგრამ მივხედი, რომ გელა მუხაშავრიას სახით ერთი კარგი კოლეგა და მეგობარი შევიძინე. რამდენიმე წელითადში მეც თბილისში დაკრძალდი და გელა იყო ის ადამიანი, ვანც უზრუნველყო ჩემი ადაპტაცია მაშინდელ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, როგორც კი დავმეზობლდით (იგი მეთერთმეტე სართულზე იყო, მე – მეშვიდეზე), ჩვენს შორის ახლო პროფესიული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენ ერთად საათობით ვიდეექით ოპერაციაზე და ხშირად ექსტრემალურ ვითარებაში გვიხდებოდა მუშაობა. ამ დროს კარგად ჩანდა გელას გურული ხასიათი – სიფიცე და სისწავე, რაც უპირველესად ავადმყოფის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. პაციენტი მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია და ისე ექცევა მას, როგორც მას უნდა რომ მოეცონენ პაციენტობისას. გელას აქვს არაჩეულებრივი განათლება და გამოცდილება, ამიტომ რთულ კატეგორიად შეფასებულ შემთხვევებშიც პაციენტს მინიმალური გართულებები და რეციდივი აქვს ხოლმე ოპერაციის შემდგომ. ჩვენ ერთად ხუთასზე მეტი ოპერაცია გავაკეთეთ და შემიძლია ვთქვა, გელასთან მუშაობა საინტერესოა, მან იცის მოსმენა, ანალიზი, კოლეგის აზრის გათვალისწინება და ერთი მთავარი – მას არ უქირს ექსტრემალურ სიტუაციაში პასუხისმგებლობის აღნება. მასსოფს, კლინიკაში ერთი პაციენტი ჰყავდა, შორისის ანაერობული განგრენა ჰქონდა, სულ რამდენიმე საათში შორისისა და სათესლე პარკის დანეკროზება დაეწყო, ყველაფერი გაუკეთდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა, როცა უძლური ხარ. ავადმყოფი გარდაიცალა. გელამ ეს პირად ტრაგედიად აღიქვა და ყოველ დღე უბრუნდებოდა და აანალიზებდა ამ შემთხვევას, ცდილობდა ეპოვა მიზეზი, მისი ბრადეულობა. ესაა ექიმის პასუხისმგებლობა და შინაგანი სხა, რომელიც გელას მოქარებულად აქვს. გარდა ამისა, გელა არაჩეულებრივი ადამიანური თვისებებით გამოირჩევა და ამაზე საუბრისას ნამდვილად ვერ ვიქნები რჩიგინალური, იგი ისევე მეგობრობს ჩემს შვილებთან, როგორც ჩემთან, მას შეუძლია მეგობრისათვის ყველაფერი გააკეთოს, უკან დამზევი კაცი არ არის და არასოდეს მიგატოვებს. გელა მუხაშავრია თავისი ერის საუკეთესო შეილი, მოქალაქე, პროფესიონალი, საიმედო და ერთგული კაცია, ის ღირსებებით სავსე პიროვნებაა!

იუსტინე (კიჭა) არველაძე დაუსრულებელი აბრა

გელა მუხაშავრიას ისე ვიცნობ, რომ ბევრი შემიძლია ვთქა და გავიხსენო, მასთან შეხუმრებულიც ვარ და ერთმანეთისთვის ბევრი ექსპრომტი მიგვიძლებია, ბოლო-ბოლო, ისეთ ორგანოს მუსიკალობს, რომ კაცი იუმორის საბაბს ყოველთვის იპოვო. მასაც არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს და არც პასუხს დაგივიანებს, მაგრამ ახლა თუ ვიტყვი, რომ გელა სულ სხვის ტრ....ით გახდა პოპულარული, იუმორით კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამი გამომივა. მე ვიცი, გელა როგორი თრგანიზატორია, როგორი ხელმძღვანელი, მაგრამ გელა უპირველესად არის ექიმი კლინიკისტი, ყველა საქმეს გადადებს ავადმყოფისთვის, არ შეყოვნდება, თუკი პაციენტი ელოდება. მე ვყოფილვინ მის დაბადების დღეზე, სადაც იყო ყველა – მეგობრები, ახლობლები, მუსიკოსები და იუბილარი ღამის 12 საათზე მოსულა – ავადმყოფი მყავდა და ვერ დავტოვეო. მარტო ასეთები უნდა იყენებოდეს – ავადმყოფებისთვის თავგადადებულები. გელა საოპერაციო მაგიდასთან მეორე კაცად დაუდგება სხვას და სხვასაც დაიყნებს გვერდით, სხვისგანაც ისწავლის და სხვასაც ბევრს ასწავლის იმისთვის, რომ პაციენტი გადაარჩინოს, სასურველი შედეგი მიიღოს. ჩენ ერთად 7 წელი ვიმუშავეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. არ მახსოვს მისთვის მექიონოს – როდის იქნები სამსახურში? – რადგან ვიცოდი, რომ გელა, პრაქტიკულად, სულ სამსახურშია, თოთქმის იქ ცხოვრობს, მაგრამ მოუხედავად ასეთი რეაქტია, არასოდეს დაკლებია სამეცნიეროს ჭირისა თუ ლხინს. გელამ თავისი შრომით, ერთგულებით, პასუხისმგებლობით, კაცომიყვარეობით თავის საქმეს და სახელს ყველა ეპითეტი დამსახურებულად მოარგო – აღზარდა ექიმები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის თიხმოცდაათან წლებში შექმნა საქართველოს პროეტოლოგიის ცენტრი, რომლის აბრას მარტო სამი სიტყვა უნდა დაემატოს – „გელა მუხაშავრიას სახელობის“ საქართველოს პროეტოლოგიური ცენტრი და ეს სრულიად დამსახურებული იქნება.



თენგიზ არჩევაძე

შემკული ყოველთა სიკეთითა

ჩემო გელა! შენზე რაიმეს თქმა ერთდროულად ძნელიცაა და ადვილიც. ადვილია იმიტომ, რომ ჩვენს მადლიან უნაში უამრავი სიტყვაა ისეთი, შენ რომ შეგხვერება, ჩამოვთვლიდი და შენი პორტრეტიც მზად იქნებოდა. ძნელი კი იმიტომაა, რომ შეიძლება რამე გამომრჩეს და რაღაც დაგაკლო ან ისე ვერ ვთქვა... მხოლოდ ერთს გეტყვი და ვიცი, ამითაც არ ვიქწები ორიგინალური – ძალიან მიყვარხარ და ვამაყობ შენით. ღმერთმა არ მოუშალოს ამ ქვეყანას შენი ღვთით კურთხეული მარჯვენა და სიკეთით ანთებული დიდი გული, რადგან შენა ხარ სანი-მუშო ადამიანი, კაცური კაცი, უბადლო პროფესიონალი და როგორც ადრე იტყოდნენ „შემკული ყოველთა სიკეთითა!“



ჯანმ ბაგრატიონი ჩემი საპატიო თბილისელი

ახლა ჩემი თაობა იმ ასაკშია, დღეები რომ არ ეყოფა მოგონებებს. ვინ იცის, ამ 70 წლის მანძილზე რამდენ ადამიანს შეგვახვედრა განვე-ბამ, რამდენი ლამაზი დღე შემოინახა ჩვენმა მეხსიერებამ?! გელა მუხაშავრიას როცა ახსენებენ, თვალწინ დამიდგება მასთან გატარებული მთელი ორმოცდაათწლიანი ურთიერთობა. ათლეტური აღნაგობის, მოხდენილი და კოლორიტული – ასეთი მახსოვს იგი ყმანვილკაცობიდან და ვიცი, ასეთია ახლაც, რადგან სპორტული ცხოვრებით გაატარა ნლები. ახალგაზრდობაში აკრობატიკით იყო გატაცებული და როგორც ვიცი, ამ სახეობაში პერსპექტიული იყო, საკმაოდ კარგი მიღწევები ჰქონდა, მაგრამ მერე თავი მთლიანად მედიცინას მიუძღვნა, სპორტში კი ჩოგბურთი არჩია. 40 წელი ვეტერან ჩოგბურთელთა კლუბის წევრი იყო, სანაპიროს კორტებზე თითქმის მასპინძლის პოზიცია ეკავა. თუმცა, ერთი აკრობატული ნომერი ჰქონდა, რომელიც შეეძლო მისალმების ან ხელის ჩამორთმევის მსგავსად გამოყენებინა, აი, ვთქვათ, მოდიოდა ქუჩაში და შორიდან შეგნიშნავდა, გამოქანდებოდა, ჰაერში სალტოს გააკეთებდა და უცებ წამოიმართებოდა. ერთ ხანს ქუჩაში მის შეხვედრას ყველა ამ სალტოთი ველოდით, მაგრამ გუნება-განწყობის ბიჭი იყო და არავინ იცოდა როდის ავიფრინდებოდა თვალწინ.

გელას არაჩვეულებრივი დედა ჰყავდა, ქალბატონი თამარ კახიძე, ფიზკულტურის ინსტიტუტში მიკითხავდა ლექციებს, გამოცდაც ჩავიპარე მასთან, დედობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა ყველას, ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანი იყო, გელაც დედას ჰყავს ამ თვისებებით. გარდა ამისა, გელა მუხაშავრია ნიჭიერი კაცია თავის პროფესიაში, ოხუნველობაში, ლხინში, თანადგომაში, მოკლედ, კარგი ვინმეა, მეგობრობაში – ყველაფერზე „სპასობნი“, თხემით ტერფამდე თბილისელი, ლირსებებით სავსე მოქალაქე და მე თუ მკითხავთ, ახლავე, დაუფიქრებლად შემიძლია წარვადგინო საპატიო თბილისელის წოდებაზე.

ჩემო გელა, თუ ამ წარდგენას სხვებიც მხარს დაუჭერენ, „დოკუმენტურად“ გალიარებენ, თორემ ჩემთვის და ჩვენი თაობის ბევრი ადამიანისთვის – ვინც შენი განვლილი გზა იცის, ვინც შენ კარგად გიცნობს, იმათთვის ნალდად საპატიო თბილისელი ხარ.

აკადემიკოსი ილია ბაქრაძე არასტანდარტული

არასტანდარტული – ეს ის სიტყვაა, რომელიც ყველაზე მეტად უხდება გელა მუხაშავრიას. იგი არასტანდარტულია ქცევით, ჩაცმით, საუბრით, ურთიერთობით, მეგობრობით... მე მას 50 წელზე მეტია ვიცნობ და არა ვარ გადაჭარბებული შეფასებაში – იგი ნამდვილად კოლორიტული თბილისელია.

მახსოვეს, მოსკოვში ასპირანტურაში ქსნავლობდი. საკავშირო პროექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ ფიოდოროვი იყო, სიმკაცრითა და უშედავათობით ცნობილი ქირურგი და მეცნიერი. ერთ დღესაც შევდივარ მის ოპერაციაზე და ვხედავ, გელაც იქაა. ძალიან გამიხარდა, რადგან უცხო ქალაქში გელასნაირი ადამიანი ყოველთვის სანატრელია. ფაქტობრივად, მაშინ დავმეგობრდით. თავიდან ფიოდოროვი ალმაცერად გვიყურებდა ქართველებს, მერე მიხვდა მონდო-მებულები რომ ვიყავით და ბევრსაც ვშრომობდით, ხან რას გვავალებ-და, გვაკითხებდა და ხან რას. არ მახსოვს მე და გელას რამე „გაგვეხ-ალტურებინოს“. ამ ინსტიტუტში ჩვენ პირველი ქართველები ვიყავით და მახსოვს, ფიოდოროვმა გვითხრა, თავდაპირველად მე დროისმა-ტარებელი ბიჭები მეგონეთ, მაგრამ რაჟი ამდენი იშრომეთ და უკვე გამოცდილებაც მიიღეთ, მომავალშიც ვითანამშრომლოთო. ეს მაშინ ასეთი აღიარებული ექიმისაგან უდიდესი შეფასება იყო და წლების მერე სწორედ ფიოდოროვის თაოსნობით საქართველოში პროექტოლოგიურ სამსახურს ჩაეყარა საფუძველი, რომლის ხელმძღვანელი დღემდე მისი ნამონაფარი გელა მუხაშავრიაა, მე კი ონკოპროექტოლოგიაში ვმუშა-ობ და ყმაწვილკაცობაში დაწყებული ჩვენი მეგობრობა პროფესიული კუთხითაც გრძელდება. გელა სამაგალითოა თავისი შრომისმოყვარეო-ბით, ნებისყოფითა და მიზანმიმართულებით. დიდია გელა მუხაშავრიას დამსახურება საქართველოში პროექტოლოგიის განვითარებაში. არსე-ბობს ოპერაციული მეთოდი, რომელიც მან დანერგა და მის სახელს ატარებს. მამის კვალზე ლირსეულად დგას მისი უფროსი ვაჟი გია.

გელა არასტანდარტული კაცია-მეთქი, ვთქვი და ამის დასტუ-რია მისი სამუშაო კაბინეტიც, ესაა პატარა პროექტომუზეუმი, სადაც ექსპონატებივით გამოუფენია ყველაფერი, რაც პირდაპირ თუ ირიბად მის საქმიანობას უკავშირდება.

...დღეს ძველებურად ხშირად ერთმანეთს ვეღარ ვნახულობთ, მა-გრამ გელა მუხაშავრია მუდამ მახსოვს და მეიმედება პროფესიულ საქმეშიც და მეგობრობაშიც.

უშანგი ბედიაშვილი

5 ჩვენება 60 წლის მერე

გელას კაბინეტში ერთი სურათი კიდია, რომელიც, თუ კარგად მახსოვს, 1950 წელს გადავიღეთ. მაშინ მე და გელა 42-ე სკოლის მოსწავლეები, თანაკლასელები ვიყავით და ჩვენი მეგობრობაც იმ დროს დაიწყო. ვინ მოთვლის, რამდენი თავგადასავალი დაგვიგროვა ერთად გატარებულმა 60-მა წელითადმა, რამდენის მოგონება შემიძლია, მაგრამ ახლა შენსი მომეცა და რადგან გელა მუხაშავრიას ბავშვობის და ყმანვილობის ერთ-ერთი მოწმე ვარ, მოწმის საქმეც სხვა რა არის, ჩვენება უნდა მისცეს. ჰოდა, თანახმა ვარ, მოწმის სტატუსით დავიკითხო.

ჩვენება №1

გელა ბავშვობიდან გამოირჩეოდა სპორტული აღნაგობით, იყო მოქნილი, სწრაფი, უშიშარი. ფეხბურთს თამაშობდა კარგად, მაგრამ შეუდარებელი მეკარეობა იცოდა, ახლაც მახსოვს რა თავგანწირული, ვეფხვივით ნახტომებით იცავდა კარს ქალის კაპრონის „ჩულქებისგან“ გაეეთებული ბურთის მოსაგრიებლად. „არჩევანი-არადანით“ დაკომპლექტებულ გუნდში, ყველას მასთან ყოფნა გვინდოდა, რადგან ვიცოდით, გამარჯვების მეტი შენსი გვექნებოდა.

გელამ ამ მიმართულებით აღარ ვააგრძელა კარიერა, „ჩულქის“ ბურთიდან აღარ მივიდა ტყვავის ბურთამდე, რითაც ქართულმა ფეხბურთმა დაკარგა შესანიშნავი მეკარე, რაც შემდგომში მათი ნარუმატებლობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენება №2

ჩვენს სკოლას შესანიშნავი სპორტული კომპლექსი ჰქონდა და გვყავდა ფიზკულტურის ძლიერი მასწავლებელი, კუნთმაგარი, მხარბეჭიანი შითა კაკაურიძე. სკოლა ნარმატებით გამოდიოდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო სპორტული ცხოვრებაში და არაჩევულებრივი შედეგები ჰქონდა აკრიბატიკაში, ბატუტზე ხტომიში, სიმძიმების აწევაში. საერთოდ, მიდრეკილება ჰქონდა სპორტის სხვადასხვა სახეობებისადმი – ცურვის, ჩოგბურთის... მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა მისი სალტოები, ყირმალები, გადაბმული და მრავალჯერადი „ფიფლიაკები“, აღმატრიბალები, გრძელ ტაიჭზე ტრამპლინითა და მის გარეშე ხტომები.

გელა მუხაშავრიას პასიურობით ქართველ მძლეოსანთა ანგარიშმა დაკარგა ის ქულები, რომლითაც ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები უნდა მიგვეღო. მის კისერზე ქართველების გარეშე დარჩენილი კვარცხლბეკები და გაუშლელი ქართული დროშები.

ჩვენება №3

ერთხელ, გაკვეთილებს შორის შესვენებაზე, მეცხრეკლასელი გელა უფროსკელასელ ბიჭს შეეკამათა. მოგეხსენებათ, მაშინ მანდატურები არ ჰყავდა სკოლას და ეს კამათი ჩჩუბში გადაიზარდა. მონინაალმ-დეგეს თვალი დაუზიანდა. დირექტორთან საქმის განხილვის დროს გელამ თავი იმართლა, მე ხელი მოვიქნიე, თვალი მაგან შეუშვირა და ხელს პაერში ხომ ვერ გავაჩერებდიო.

ასე რომ, გელამ არ იცოდა „პაერში გაჩერება“ და მისი მოქნეული ხელი ფიზიურ ზიანს აყენებდა მონინაალმდეგე მხარეს და „სინიაკე-ბად“ რჩებოდა სხეულზე.

ჩვენება №4

ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, დავით მეგრელიძე, რომელსაც გრძელი ცხვირის გამო „კოდალას“ ვეძახდით. ძალიან განათლებული, მყაცრი და მომთხოვნი იყო და მის გაკვეთილზე ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა, მაგრამ ხუთი-ანებს იშვიათად თუ დანერდა. ერთხელ გელა დაფასთან გაიძახა, საში-ნაო დავალება შეუმოწმა, გაკვეთილი გამოკითხა და დინჯად უთხრა, დაბრძანდი, მუხამაერია, შეფასება – 4.

გელა წამოენთო, გაბრაზებულმა მუშტი მაგიდაზე დაჰკრა და მთ-ლად განითლებულმა მასწავლებელს უთხრა:

- ხუთი მეკუთვნოდა და რატომ არ მინერთ?
- ხუთი ასე არ იწერება, ჩამობრძანდი ჩემთან კაბინეტში, ყვე-ლაფერს გამოგყითხავ და ნიშანს სხვა მასალების ცოდნით დაგინერ!

მთელი კლასი ერთი საათი კაბინეტის კართან ვიდექით და, რაღა თქმა უნდა, გელას ვეულშემატეკივრობდით. მოსწავლე-მასწავლებლის ბრძოლა ჩვენი მეგობრის გამარჯვებით დამთავრდა. მას შემდეგ ყველამ ვიცოდით, რომ თუ რამე გვჭირდებოდა „ქართულში“, გელასთვის უნდა გვეკითხა.

ასეთი კატეგორიულობით მიაღწია გელა მუხამაერიამ გამხდარიყო ხუთოსანი.

ჩვენება №5

ბავშვობიდან ხუთოსანი და წარჩინებული გელა ექიმობაშიც წარ-ჩინებულია. ერთხელ მის კაბინეტში კაცი შემოვიდა – შენი მეზობელი ვარ ელიადან, მეთევზე ტიგრანა, საქმელს ველარა ვჭამ, ყოველდღე 3 კილოსა ვიკლებ, ბიჭებმა მითხრეს, გელასთან მიდი და გიშველისო.

გელამ გასინჯა და უთხრა, მე პროექტოლოგი ვარ, შენ სხვა ექიმი გჭირდებაო.

– გელავდან, მე „პროფსოიუზი“ ვიცი და „პროფილაქტიკა“, პროე-ტოლოგი არ ვიცი და შენ უნდა მიშველო, რამე წამალი მამე შენი გამონ-ერილი, – დაუინა ტიგრანამ და წასვლას არ პპირებდა. გელა გვერდით ოთახში გავიდა და რაღაც ვარდისფერი სითხე გამოიტანა, ერთი ჭიქა

იქვე დაალევინა. ტიგრანა გაგიუდა, ვაააა, რა კაიაო. გელამ ბოთლი სახლში გაატანა და დაარიგა, ყოველდღე ნახევარი ჭიქა დალიე და რომ გათავდება, ჩემთან მოდიო. 20 დღის მერე, ტიგრანა ისევ მივიდა, მოვრჩი გელა ექიმო და სევანის თევზი და სომხური კონიაკი მოუტანა.

რითი მოარჩინე-მეთქი, ვყითხე გელას, – პანა ხვანჭკარას გაზიანი წყალი შევურიე, მაგრამ მაგან კი არა ჩემმა იმედმა მოარჩინა, ცოტა ნევროზული ამბები ჰქონდა და დაწყნარდაო.

ასე უშველა გელა მუხაშავრიამ ტიგრანას.

ესეც ჩემი მეხუთე ჩვენება და ახლა დროზე თუ არ გავჩერდი, განუცხადებლობისა და თანამონანილეობისათვის შეიძლება მოწმიდან განსასჯელის სკამზე აღმოვჩნდე.

გელა მუხაშავრიასთან ერთად გატარებული წლები ჩემი ბავშვობაცაა, სიჭაბუეც და სიბერესაც ერთად არ ვნებდებით. ოღონდ ეგაა, ნელიკოს სიკვდილმა ყველანი დაგვამწუხრა, აგვაფორიაქა და გული ჩაგვწყვიტა. მინდა, ასეთი ტკივილიანი დღეებისაგან უფალმა დაგვიფაროს და ცხოვრების ხალისი დიდბანს შემოგვინახოს.

ჩვენებები დაწერილია ჩემი ხელით და პასუხს ვაგებ ყოველ სიტყვაზე!



1956 წელი. ვაჟთა 87-ე საშუალო სკოლა

გურამ ბენაშვილი ღვანწლმოსილი

გელა მუხაშვილიას სახელი ჩვენი საზოგადოებისათვის თხემით ტერფამდე ქართველი ინტელიგენტის წარმოდგენასთან ასოცირდება. მისთვის, როგორც ლირსეული მოქალაქისა და ბრწყინვალე დასტაქარისათვის, უპირველესი და უმთავრესი პიროვნული დიდსულოვნება და მორალური სრულყოფილება.

მისი ალტრუიზმის დიაპაზონი, ანუ ადამიანებთან დამოკიდებულების ემოციური პათოსი, საოცრად მიმზიდველია თვით ურთიერთობების ტრადიციულ კულტურას გადაჩეული სოციუმისთვისაც კი...

აქედანაა მისი, როგორც დიდი პროფესიონალის მიმართ მადლიერებასთან ერთად, საერთო მონიშვნება და სიყვარული.

მე, ძველ მეგობარს, მისი სიჯაბუჟე მახსოვეს... თბილისის უნეტარესი წლების ტკბილ მოგონებებში მისი შთამბეჭდავი სილუეტიც იკვეთება... ძლიერი და ენერგიული სილუეტი, ანუ ისეთი, არასოდეს რომ არ გავიწყებს თავს და შენი მუდმივი თანამგზავრია.

მიზანმიმართული და ლოგიკურად ზეალმავალი იყო ბატონი გელას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, განონასწორებული და ამაღლებული სულის ნებით იყო გაკვალული მისი ყოფიერების ბილიკები.

რაოდენ სამწებაროა, რომ სულ ახლახან, დიდმა პირადმა ტკივილმა კიდევ შეახსენა მას ამქეცენად არსებობის წამიერება და უშუალოდ აგრძნობინა უძვირფასესი სიცოცხლის ფუნდისა და გაქრობასთან შერიგების სევდა...

საგულისხმოა, რომ ამ ოჯახური ტრაგედიის შემდეგ კიდევ უფრო იმძლავრა მასში ადამიანურ სათნოებათა გამოსხივებამ. მრავლის-მეტყველია მისი ან უკვე სევდანარევი ღიმილიცა და შუქ-ჩრდილებით „მოხატული“ სიხალისეც. გრძნობ, რა დიდია მასში საკუთარ ფიქრებთან განმარტოებისა და მისთვის საკრალურ ლანდებთან „ლაციცის“ წადილი.

ვერაფრით ასცდები და ვერც ჩამორჩები იმ დროსა და სინამდვილესაც კი, რომელიც შინაგანად ჭეშმარიტი სულიერი იმპულსები-საგანაა გამოფიტული, რომელიც თითქოს არის, ხმაურობს, ანუ მიმდინარეობს და იმავ დროს, არც არის, ანუ გაქვავებულია...

ამგვარი საყოველთაო სიბერწით შეპყრობილი უამიანობის პერიოდში კიდევ უფრო აქტუალიზდება იმ ცალკეულ ადამიანთა ყოფი-

ერების მნიშვნელობა, რომელთა გარეშე მთლად არარაობად იქცეოდა ჩვენი წუთისოფელი...

სწორედ ამ „ოაზისებად“ ქცეულ ადამიანთა შორის ვიგულისხმებ ჩემს ძვირფას გელა მუხაშავრიასაც.

დრო ვერაფრით ნაშლის და დამავიწყებს მის უსათნოეს პიროვნებას, მის ღიმილსა და დამატყვევებელ კეთილგანწყობას, რომელსაც აშკარად გრძნობ და გულწრფელი სიყვარულით ითავისებ.

P.S. „სიბერეში ისე უნდა შეხვიდე, როგორც დღესასწაულში“-ო, ასეთი რამ „უბრძანებია“ ერთ დროს დიდ მარკუს ავრელიუსს – რომის იმპერატორსა და ფილოსოფოსს.

დღესასწაულად ქცეულიყოს შენთვის, ჩემო ძვირფასო გელა, მოახლოებული „ბერიკაცობის“ ნეტარი უამი!



პროფესორი ივა ბერაძე სხვებს გადაყოლილი

თვრამეტი წლის ვიყავი, გელა რომ გავიცანი, სამედიცინო ინსტიტუტში, პირველ კურსზე. თავიდანვე გამორჩეული იყო და ზუსტად იცოდა, რომ ექიმობის გარდა სხვა პროფესია არ უნდოდა და ბეჯითობდა კიდეც. იგი სამედიცინო ინსტიტუტში ფიზკულტურის ინსტიტუტიდან გადმოვიდა და უკვე გავლილი ჰქონდა ანატომიის პრაქტიკული კურსი და თეორიაც ცნობილ პროფესორებთან, ამიტომ მე, ბიძინა მინდაძე, გია მათეშვილი და გია გოეგილი გელასთან ვმეცადინეობდით ანატომიაში. ყველამ ჩათვლა მივიღეთ, გელა კი ხელმეორედ დაიბარეს – შენ უფრო მეტი შეგიძლია, ამ ცუდლუტების ყურება არ გამოგადგებაო... გაგიუდა გელა, ეს რა სამართალიაო.

თუ ოდესმე გელაზე რაიმე უნდა ვთქვა, გვერდს ვერ ავუვლი ერთ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებიდან, როცა ყმანვილკაცობაში მეგობრის გულისთვის რაღაც უსიამოვნება შემემთხვა, გელა გვერდიდან არ მომშორებია, ლვიძლი ძმასავით დამიდგა. ერთი მხრივ, ეს იყო განსაცდელი, მაგრამ მეორე მხრივ, მეგობრობის გამოცდა და ადამიანური თანადგომის დიდი გაკვეთილი.

მერე რამდენიმე წელი კიევში ვიყავი სასწავლებლად, მაგრამ ერთი დღითაც არ გამიწყვეტია გელასთან ურთიერთობა, მაშინ არ ვიყავით განებივრებული ტელეფონით და ინტერნეტით, მაგრამ ჩვენ საკუთარი, უზარმაზარი საკომუნიკაციო ქსელი გვქონდა და ამას სიყვარული ერქვა. ერთმანეთის თვალწინ გაიარა ჩვენმა ცხოვრებამ – დავოჯახდით, გაგვიჩნდა შვილები, ერთმანეთის მთელი სანათე-საცო ვიცით და ერთად ვართ ჭირსა და ლხინში.

მე მახსოვს პატარა სახლი ავლაბარში დიდი აივნით. გამოთბებოდა თუ არა, ეს აივანი ჩვენი შეკრების ადგილი ხდებოდა. აქ ყველაფერი განსაკუთრებით გემრიელი იყო, დეიდა თამარა და ძია კაკო ჩვენი მასპინძლებიც იყვნენ და მეგობრებიც, მხიარულებისა და ქეიფების მიზეზებს კი რა გამოლევდა – ძია კაკოს დაბრუნება გადასახლებიდან, ულამაზესი ნელიკოს შემოსვლა ამ ოჯახში, გიას და კახას დაბადება, დღეობები და, ბოლო-ბოლო, ერთად ყოფნის სურვილიც საკმარისი იყო ხოლმე... ასე მოვდივართ 50 წელზე მეტია, გელამ ყველა გამოცდა პირნათლად ჩააბარა, გელას არასოდეს არსად მივუტოვებივართ, მის გვერდით ყოფნა ბედნიერებაა, ესაა ადამი-

ანი, რომელიც სხვებისთვის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე თავისთვის, მიღით მის სახლში და ნახავთ, მას სასახლეში შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ სხვებს გადაყოლილი კაცია და არასოდეს უფიქრია ფუფუნებაზე, მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სხვების გახარებაა და ესაა მისი ხელწერა, მისი ხიბლიც და საზრუნავიც.

მაღლობელი ვარ, განგებამ ასეთი ადამიანი რომ მომიცლინა ძმად და მეგობრად.



პირველ რიგში: თინა (კუკა) ბულუსაშვილი, ზაურ გიგიაძე, ბიძინა მინდაძე, უცნობი გოგონა, ლადო აბაშიძე.

მეორე რიგში: ნუნუ გეგეშიძე, გულსუნდა ქორიძე, ჩიტო გრიგორაშვილი.

მესამე რიგში: ივა ბერაძე, თამაზ (მაცე) კაციტაძე, მერაბ თვალაძე, გელა მუხაშავრია

მერაბ ბერაძე

დიახ, პროფესორი გელა მუხაშავრია რამდენჯერმე შეეცადა ჩემთვის მოეცა

ეს აღიარებითი ჩვენება დავწერე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. თუმცა აქვე უნდა გითხრათ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ სრულად ვგრძნობ ჩემი დანაშაულის სიმწვავეს, ვერ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ თუკი ცნობილი დასტაქარი, ერთი უზერსული ადგილის პროფესორი, კვლავ შეეცადება ჩემს ცდუნებას და ფულის მოცემას, მე მას ნინააღმდევ გობას გავუნწვ...»

ზემოთ ხსენებული კრიმინალური ისტორია კი ასე დაიწყო: წელიწადში ორჯერ, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად, ჩემი თითქმის უახლოესი ნათესავის, რუსუდან გუვეჯიანისა და მისი დიდებული ქალიშვილის ნესტან ნიკლაურის თაოსნობით, გავდივართ მუხათგვერდის სასაფლაოზე, ჩვენი დაუვიწყარი ანდრია ნიკლაურისთვის სანთლის დასაწებად. ერთ მშენიერ დღეს, მეგობრის ხსენებისა და აქეთურ-იქეთურის შემდეგ, ჭიქა ავწიე და ასეთი რამ ვთქვი: „მთელი ცხოვრება, არის წვალება და მერე მოდის გარდაცვალება“: უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები ბევრმა გაიგო, მაგრამ პროფესორი გელა მუხაშავრია დამაკვირდა დაუინებით, აშკარად შევეცოდე, ხელმილავი გამიკეთა, გვერდზე გამიცვანა და ჩუმად მკითხა:

- შენი ლექსია?
- კი! – ველარ დავმალე მე.
- დიდი ხანია, რაც წერ?
- არც ისე...
- რა გაგიჭირდა ასეთი?
- რა ვიცი...
- ვინმესთვის ხომ არ გაგიმზელია?
- არა! – გულწრფელად ვუპასუხე.
- ჰოდა არც უთხრა, ცოდვები არიან, თავისი გაქირვება ეყოფათ. ისე კი, წუ გეშინია, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც ეგ დაგემართა, მე მგონი ჯერ კიდევ შეიძლება შეველა... ხვალ მოდი ჩემთან საავადმყოფოში...

მინდა იცოდეთ, რომ „პროფესიონალი“ ობოლი ვარ, უმამოდ გავიზარდე და მეტისმეტად მესიამოვნა ასეთი ცნობილი პიროვნების თანაგრძნობა. ამ სიტყვების შემდეგ, პროფესორმა, ისე, რომ სხვებს არ დაენახათ, თავისი მკლავმიუკერებელი პიჯაკიდან თუ უილეტიდან, რომლის მსგავსი არ მინახავს არც ამერიკაში, არც ინგლისში და არც საბურთალოზე,

რაღაც ამოიღო და ჯიბეში ჩამიცურა. გულმა რეწი მიყო. აშერად ჩანდა, რომ დასტაქარი რაღაც შარში მხვევდა. ჩემი ჯიბიდან მისი ხელის ამო-ცურება და ჩემი ხელის ჩაცურება ურთი იყო. მოკლედ, ისარგებლა რა ჩემი გულუბრყვილობით, ბატონმა გელამ 100-დოლარიანი შემომაპარა. ისე კი, მართალი გითხრათ, შემეშინდა, რადგან ჩვეულებრივად, ასეთ დროს, ორგანოს თანამშრომლები მონაშილეობენ ხოლმე დასაქტურ ოპერა-ციაში და ფულს უნომრავენ ხალხს, მაგრამ ეტყობა, იმ დღეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დაგეგმილი და ჩემთვის ვერ მოიცალეს...

სახლში რომ მივედი, თავი მეტად ცუდად ვიგრძენი და ისლა დამრ-ჩენოდა, ლექსისთვის მიმემართა. დავვდექი და უცხმებ გამოვაცხვე:

საბედნიეროდ, ჩვენს ქელ ქალაქში
მეცენატები ისევ დადიან.
გელა, ძირფასო, გულწრფელად მითხარ,
ეს დახმარება ერთჯერადია?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად მომენტია ჩემი შემოქმედება, გულმა აღარ მომითმინა, მობილური ავერიფე და ბატონ მუხაშავრიას ნავუკითხე. მოგეხსენებათ, ტელეფონში ადამიანის სახე არ ჩანს, მაგრამ აშერად ვიგრძენი, თუ როგორ მოელრიცა ყბა ბატონ გელას და მხოლოდ ეს მითხრა: – ეტყობა, ეგ თანხა არ არის საკმარისი შენს გონიერება-ნად და ხვალ აუცილებლად მოდი ჩემთან!

მე კარგ ოჯახში ვარ გაზრდილი და როცა პროფესორი გიბარებს სამურნალოდ, ამაზე უარს როგორ ვეტყვი; ნავედი და თან გზაში იმას ვფიქრობდი, რადგან სერიოზულად ვარ ავად, ალბათ, უფრო დიდ ფოს-ტას გამოვა-თქო, მაგრამ ვაი შენ, ჩემო თავო უბედურო... მედიცინის დამსახურებულმა მუშაკმა, რომელმაც თურმე ელემენტარული არითმე-ტიკა არ იცის, გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ასი დოლარის ნაცვლად, ყოვ-ლად უსინდისოდ, ასი ლარი ამოიღო და ვითომ აქ არაფერიო, მაგიდაზე დამიდო (ესეც შენი პროფესორი. იმ დროის კურსით, – „ნაგლად“ მომი-ტეხა მინიმუმ 75-80 ლარი!). გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა... უარის თემას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ამისაც დავკარგავდი და...

გამოგიტყდებით, იმ დღიდან მოყოლებული, ასეთი რეციდივები, საკ-მაოდ ხშირი იყო, რადგან როგორც ჩემი, ისე ბატონი პროექოლოგის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა....

აი, აქ მთავრდება ჩემი კრიმინალური ისტორია და ვისაც როგორ უნდა, ისე განსაჯოს...

ჩემო გელა! ბოლოს ჩვენი საერთო მეგობრის, მართალაც განუმეორე-ბელი მიშიკო შენგელიას დაკრძალვაზე შევხვდით ერთმანეთს. თვალები

ცრემლით გქონდა სავსე. ბავშვობა და ყრმობა ამ უნიქტერეს, კოლორიტულ კაცთან გქონდა გატარებული და იმდენად ცუდად გრძნობდი თავს, ქელებზე წასვლა არც გიფიქრია. მეც არ ვიყავი ხასიათზე. ხელი გადამხვიდვე და დამემშვიდობებული: აბა, კარგ ამბავში მენახეო! – მაგის ჩიტი ვიყავი, ვერ მივხვდებოდი, რომ შენი ნელის საფლავისკენ გექაჩებოდა გული. გთხოვე, მეც მინდა წამოსვლა და უარი არ მითხრა-მეთქი... ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საფლავი დიდებულად იქნებდა მოვლილი... იქ კიდევ ერთხელ დაიტირე შენი არაჩეულებრივი მეუღლე და ძლიერ გამოსცერი კბილებბი: – მერაბ, დამიჯერე, ყველაფერმა დაკარგა ფასი ჩემს ცხოვრებაში და სიცოცხლე ალარ მინდაო!

სასაფლაოზე არაფერი გითხარი, მაგრამ შენ რომ დაგშორდი, ჩემთვის ვიფიქრე: ეს ჭკვიანი კაცი რამხელა ცოდვას აწერს-მეთქი ხელს.

დიახ, ცოდვას, ჩემო გელა, რადგან ეტყობა, არ გიფიქრია იმაზე, რა ლამაზად დადიხარ ამ ქვეყანაზე, რამდენ ადამიანს უყვარხარ, რამდენი გაჭირვებულისთვის გაგინვდია ხელი, რამდენი კაცია შენს იმედად, როგორ დიდი სკოლის თავკაცი ხარ, ქალაქელობის მუხტის შემნახავი კაცი ხარ, ჩემო და ბევრი ადამიანის საყვარელო, მუხაშავრია. შენ დიდხანს, დიდხანს უნდა იცხოვრო, რომ აქ შვილებმა იამაყონ შენით და იქ – მშობლებმა!

ისე, რომ იცოდე, ეს თხოვნა კი არა, მოთხოვნაა. აი, მაშინ იყო, ნელის სასაფლაოდან დაბრუნებულმა, კიდევ ერთ კრიმინალზე რომ მოვაწერე ხელი და შენ მოგიძლვენი:

სიკვდილო, არ მომაკითხო, ვერ არ მცალია შენთვის,
გადავდოთ ეს პროცესია, პატივცემულო, მერმის.
ჩემი იმედის შემყურე, გრძელი დავწერე სია,
ზოგს მეტისმეტად სწყურია, ზოგს მეტისმეტად შია.
გაჭირვებული ბევრია, ვიცი ყველას ვერ შევწყდები,
მაგრამ იცოდე, ოხერო, აუცილებლად ვეცდები.
და თუ შევთანხმდით კაცურად და არჩევანსაც მარგუნებ,
როცა ყველაფერს მოვრჩები, მე თვითონ მოგიკაუნებ!

ცნობისათვის: ამ სტრიქონების პონორარი, ბატონ გელას უკვე გადახდილი აქვს, ოღონდ ლარებში!

იცოცხლე და გაიხარე!

თბილისი, აპრილი, 2011 წელი

პაატა ბურჭულაძე ღონე ქვეყნისა

ჩემი ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ – ქართველსაც და უცხოელსაც, მაგრამ იშვიათად მინახავს ისეთი ყურადღებიანი, გულისხმიერი და უშუალო ადამიანი, როგორიც გელა მუხაშავრიაა. მასთან ერთი შეხვედრაც საკმარისია, რომ თავი დაგამახსოვროს. არა აქვს მნიშვნელობა ეს შეხვედრა რა მიზეზით იქნება გამოწვეული. თუკი მისი დახმარება დაგჭირდათ, დარწმუნდებით, რომ მართლაც პროფესიონალთან მოხვდით. წლებია მას ვიცნობ და ვიცი, ეს ავტორიტეტი ექიმობასთან ერთად გულისხმიერებით, კაცომოყვარეობითა და ქველმოქმედებით აქვს მოპოვებული. ამიტომაც გამახსენდა სიტყვები: ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანთა ურთიერთობებიაო. ილია ჭავჭავაძე წერდა, ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაციაო, გელა მუხაშავრიას კი არცერთი არ აკლია... ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი მამულიშვილები.



არმინე გალუსტიანი გურჯაანის ქუჩა #14

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ პატარა, ავლაბრულ ეზოში, ეს იცით, რას ნიშნავს? – ეზოში ტრადიციულად სომხები და ქართველები ვართ, მაგრამ ჩვენს ეზოში რვა ოჯახია და აქედან ქართველი მარტო მუხ-აშავრიების ოჯახია, მაგათ სახლში ყველა კარგად ლაპარაკობს სომხურად, ქართული კი ჩვენ მაგათგან ვისწავლეთ. აი, მართალს გეუბნებით, ესაა განსაკუთრებული ოჯახი, აქ უკეთობილესი ხალხი ცხოვრობდა – ძია კაკო, დეიდა თამარა, ნელიკო... ამ ეზოში ოჯახი არაა, ვისაც მაგათი სითბო არ ახსოვს. მე პატარა ვიყავი, ვიღაცამ ქუჩიდან ანთებული სიგარეტი ფანჯარაში გადმოაგდო, ხანძარი გაჩნდა და სახლი დაგვეწვა. დავრჩით ქუჩაში. იმ წელს პირველ კლასში მივდიოდი, დეიდა ნელიმ წამიყვანა, ფორმის კაბა, თეთრი წინსაფარი, ჩანთა, წიგნები, რვეულები მიყიდა, უბედნიერესი ვიყავი და დღესაც მახსოვს ის სიხარული. მაშინ ძია გელა ოჯახს მატერიალურად დაეხმარა და ახლიდან დავიწყეთ ცხოვრება.

მუხაშავრიებს თავიდან პატარა ბინა ჰქონდათ, მაგრამ დიდი, ღია აივნით, ხშირად დავდიოდი დეიდა თამარასთან ქიმია-ბიოლოგიაში სამეცადინოდ. მაგათ ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავდათ და სამზარეულოდან სულ გემრიელი სუნი გამოდიოდა. ბავშვებს ხშირად დაგვიძახებდნენ ხოლმე და გვიმასპინძლდებოდნენ ხილით, ტკბილეულით... კაცები ნარდის თამაშით ერთობოდნენ, ქალები ერთმანეთის გარეშე „კოფეს“ არ ადულებდნენ, დილით ვინც ადრე დარეცხავდა, სარეცხის თოკის რიგიც პირველი მისი იყო და არასოდეს არავის უჩხუბია, ამ ეზოში არავინ კეტავდა კარს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმრავალ ადგილზე, მეტროს უკან არის ჩვენი ეზო. იცით, ახლა უკვე სხვანაირადაა, კარებიც იკეტება, ჭიშკარიც, „უალუზებიც“, თითქოს სიყვარული აღარ ყოფნის უბანს... აი, ძია გელა კი ყოველ დილით ისევ ისე დაგვიძახებს, გვესალმება, მოგვიკითხავს – ვონცეს, არმინე? მერე საღამოს სამსახურიდან მოდის და ისევ ახმაურდება ეზო, ხუმრობს, გვმასპინძლობს, ჩვენც გვიხარია და ველოდებით, ბავშვს ვეტყვი ხოლ-მე, გაიხედე, ფანჯარაში შუქი თუ აინთო, ესე იგი, გელა მოვიდა და ვიდრე ჩვენ ეს მოლოდინი გვაქვს და ამ ეზოში გელა შემოდის, ჩვენი პატარა ავლაბრული ეზოც, გურჯაანის ქუჩის №14, სიკეთით სავსე იქნება.

ნუნე გვეშიძე ჩვეულებრივად არაჩვეულებრივი

1959 წელს როსტოკიდან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გადმოვედი და მოვხვდი ჯგუფში, რომელსაც პროფესორების ჯგუფს ეძახდნენ, რადგან ბევრი პროფესორის შვილი სწავლობდა – გია მათეშვილი, მერაბ თვალაძე, ბიძინა მინდაძე, ივა ბერაძე, ნუცა ტატიშვილი. გელა მუხაშავრიაც ამ ჯგუფში დამხვდა და რომ გამიცნო, მითხრა – ოთოო, შენც ჩემსავით ჩვეულებრივი (არა პროფესორის ოჯახისშვილი) ყოფილხარო, თუმცა გელა ჩვეულებრივი კი არა, მართლაც არაჩვეულებრივი ბიჭი იყო თავისი გარეგნობით, იუმორით, გამოხატული ყურადღებითა და უშეუალობით. ძალიან მაღე დაემეგობრდით, ერთად ვემზადებოდით სესიებისთვის. გელას არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა ახსნის, გადმოცემის, თან დაუზარელი იყო და ყველა „ვეტუზებოდით“, გვიხაროდა მის აივანზე მეცადინეობა. ავლაბრის ბაზარი იქვე იყო და დეიდა თამარა არაფერს გვაკლებდა, ოლონდ გვემეცადინა. ჩემს ოჯახში გელას გამოჩენა უსათუოდ მეცადინეობასთან იყო გაიგივებული და დედაჩემისთვის გელას ფასი არავინ იყო. ჯგუფში ყველაზე ადრე გელა დაქორწინდა, ისეთი ნელიკო შეირთო, რომ ჩვენთვის კიდევ უფრო ხალისიანი და სასურველი გახდა მუხაშავრიების ოჯახი. მერე გია – ჩვენი ჯგუფის პირველი შვილი – დაიბადა, დაიწყო ჩვენი დედობა-მამობის ხანა და ერთმანეთს მერე ნათელმირონობითაც დაკუკავშირდით – ჩემი ნინიკო გელას ნათლულია... ორმოცდაათ წელზე მეტია ერთად მოვყებით ცხოვრებას და დღეს გელა, ისე დამიძახებს ხოლმე – ნუნუია, რომ ის წლები დამიდგება თვალწინ, საგამოცდოდ რომ ვემზადებოდით, გადაღლილობისგან ნავთვლემდი თუ არა, რომ შემოსძახებდა, მეც პასუხს ახლაც ისევე ვუბრუნებ, როგორც მაშინ – რა იყო, გელაია? – და ამ სიტყვებში განსაკუთრებული სითბო, სიყვარული და მოგონებაა.

გივი გელაძე ქველმოქმედი

გელა მუხაშავრიასადმი მიძღვნილ წიგნში ვიცი, ბევრი დაინტერება იმაზე, თუ როგორი ქირურგია გელა, როგორი მოქალაქე, როგორი მამა და მეგობარი.

მე გიამბობთ ერთ ტიპურ ეპიზოდს გელას ცხოვრებიდან.

ეს იყო ჩვენი სამშობლოსთვის და კერძოდ თბილისელებისათვის იმ ავადსახსნებელ ოთხმოცდათან წლებში. შეგახსენებთ, არ გვქონდა ელექტროენერგია და საწვავი, თითქმის არ მუშაობდა ტრანსპორტი, სამსახურები მეტწილად არ ფუნქციონირებდნენ, სამოქალაქო ომის შემდეგ დათარეშობდნენ დამნაშავები, მუდმივად ისმოდა სროლის ხმა, ხელფასებს თუ იძლეოდნენ, დიდი დაგვაინებით, ფულმა ფასი დაკარგა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩაცვიდა ინტელიგენცია. სწორედ ასეთ ვითარებაში დამირექა ჩემმა კოლეგამ და მითხრა, რომ ერთ ჩვენს მეგობარს დახმარება სქირდებოდა, მას გადაუდებელი ოპერაცია გელა მუხაშავრიას კლინიკაში უნდა გაეკუთებინა.

ნავედი ავლაბარში, ვენვიე მუხაშავრიებს. გელა და ნელი პატარა სამზარეულოში დამხვდნენ შეცუულები, მბჟუტავი ნავთის ლამბა ენთოთ.

ნელი გამასპინძლების სამზადისს შეუდგა. მეძლევა შესაძლებლობა და უნდა ვთქვა, რომ ნელი სხირტლაძე, პროფესიით პედაგოგი, უაღრესად სათნო მანდილოსანი გახლდათ. მას შესანიშნავი ზოგადი განათლება ჰქონდა. შეეძლო ჩაწერდომოდა საერთო საჭიროოროტო საკითხებს, ამიტომაც ნებისმიერ შეკრებას მისი დასწრებით ხიბლი ემატებოდა. სუფრასთან სამნი შეეკრიბეთ. გელამ ასეთ დროს მისვლის მიზეზი მყითხა. ავუხსენი, რომ ოპერაცია სქირდებოდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, რომელიც სრულიად უსახსრობის გამო, ვერ შეძლებდა შეეძინა საპერაციო მასალები, გადაეხადა ის თანხა, რაც კლინიკაში მკურნალობას სქირდებოდა, ბევრი აღარ გავაგრძელე, მშერი ბრძენია, ვუთხარი და გელამაც ზუსტად გამიგო.

მეორე დღესვე პაციენტი მიუჟევანეთ, მას იმდენად მძიმე მდგომარეობა აღმოაჩინდა, რომ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და ორ თვეზე მეტი კლინიკაში გაატარა. ამ ხნის მანძილზე გელამ სრულიად უსასყიდლოდ ისე მოუხარა და გამოავგანმრთელა, რომ თავი თბილ, უხვ ოჯახში ეგონა, აღტაცებას ვერ მალავდა, ეს რა ხალხი შემახვედრეო.

ეს შემთხვევა გელას საექიმო პრაქტიკაში არც პირველი იყო და არც ერთადერთი. იგი ბუნებით, თავისი საქმიანობით ქველმოქმედი კაცის სახეა და თავს არ ზოგავს ადამიანების ტკიცილებთან გასამკლავებლად.

პროფესორი გია გოკიელი კიდევ ბევრს მოველით

გელა მუხაშავრია სიცეარულისთვის და ადამიანური ურთიერთობებისთვის გაჩენილი კაცია. გულისხმიურება, გვერდში დგომა და თანაგრძობაა მისი ცხოვრების კრედიტი. გულებრვობა და უშურველობა მას ყველასაგან გამოარჩევს და საერთოდ, ღვთისგან ადამიანური თვისებებით განებივრებული დადის ამ კვეყანაზე. ჩვენ ერთად ყოფნის ორმოცდაათ წელზე მეტი გვაკავშირებს და მოსაგონარიც ბევრი მაქვს, მაგრამ ბევრს არ ემახსოვრება, გელა იმდენად მონადინებული და მოტივირებული იყო ექიმობისთვის, რომ 1959 წელს საკავშირო ჯანდაცვის მინისტრმა კავრიგინმა საგანგებო ბრძანება გამოსცა და გელა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაქულტეტზე ჩაირიცხა. ასე რომ, კავრიგინას დამსახურებაცაა გელას ექიმობა და ჩვენი მეგობრობა.

გელა სხვებზე მზრუნველი და გამორჩეულად ყურადღებიანი ადამიანია და ვფიქრობ, მას ეს დედისგან, თამარა დედიდასაგან უნდა მოსდგამდეს. მუხაშავრიები ჩემს ახალგაზრდობაშიც აელაპარში ცხოვრობდნენ, ბაზართან ახლოს. მახსოვს დედია თამარა სამსახურიდან რომ მოვიდოდა, საგანგებოდ ჩემთვის თევზს მოიტანდა – „შამაიას“, იცოდა, ძალიან მიყვარდა და იტყოდა, ეს გიას მოვუტანე, გოკიელს და შეუნახეთო...

კაკო ბიძია თუ სახლში იყო, ვინ მოგანყენდა, ეს ტყვეობაში ნამყოფი კაცი ოუმორით გვიყვებოდა ყველა ამბავს, ერთხელ ტყვეობაში ყოფნისას გერმანულად გადაუთარებინა „სამი ძმანი გურულები მუშაობდნენ ყანასაო“... და ლამის მთელი ბანაკი აუმღერებია. კაკო ბიძია შესანიშნავი თამადა და მჭევრმეტყველი იყო და ჩვენც გვიყვარდა მასთან ქიფი, მოლხენა. დიდი ბედნიერება იყო, ამ ოჯახში წელი სხირტლაძე რომ შემოვიდა – ყოველმხრივ შემკული უმშევნიერესი გოგო, შემოვიდა და 50 წელი ამ ოჯახის ქუდი დაიხურა და უპრეტენზიოდ, ღირსეულად ატარა. მე არასოდეს მინახავს იგი წარსშეკრული და ვინმეზე აუგის მთემელი. ამ ფუქსეს ორი შესანიშნავი ვაჟაცი – გია და კახა გაუზარდა და შვილიშვილებსაც თავი კდემამოსილებითა და ზრუნვით დამახსოვრა. გელასთვის წელი გაუნელებელ ტკივილად იქცა...

გელას ცხოვრებაში მორთმეული არაფერი ჰქონია – ყველაფერს დიდა შრომითა და მონდომებით მიაღწია, დიდი გამოცდილება დააუნჯა. მე სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე მისი ოპონენტი ვიყავი და მახსოვს, როგორი სერიოზული ნამუშევრით წარსდგა იგი სამედიცინო საზოგადოების წინაშე, ყველაზე აღიარება, რომ თემა იყო საკუთარ, ნოვაციურ მეთოდოლოგიაზე აგებული და უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა. დღეს გელა მუხაშავრია თავისი პროფესიონალიზმით დარგის განვითარებას უდგას სათავეში და მისგან კიდევ ბევრს მოველით.

რუსულან გუჯევიანი იმედიანი ადამიანი

იგი ამ ოცი წლის წინ გავიცანი, ჩემი ახლობლის ოპერაციას დამასწრო. საკუთარი მეთოდით ჩატარებული ოპერაციის შედეგი იმდენად წარმატებული იყო, რომ დავრწმუნდი, თამამად შემეძლო სხვა დროსაც მეშეამდგომლა ახლობლებისთვის. მერე მახსოვს, რამდენი ისტორია მოვისმინე გელას ყურადღებისა და გულისხმიერების შესახებ, რამდენს უფასოდ გაუკეთა ოპერაცია და წამალიც თვითონ უყიდა, დააპურა, მოუარა... ყველაფერ ამას იგი დიდი გულწრფელობით და უანგაროდ აკეთებს. ბევრი ლაპარაკი არ სჩვევია, მაგრამ მისი გამოჩენა ყოველთვის იმედით გავსებს.

გელა ჩემი მეულლის, ანდრო წიკლაურის მეგობარი იყო და დღემდე ამ მეგობრობის ერთგული და დამფასებელი დარჩა. მას სამუშაო ოთახში ახლაც უკიდია ანდროს სურათი და ყოველ წელს დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეს ამოდის საფლავზე, გულისხმიერია ჩვენს მიმართაც. როგორც გავიგე, ეს გელას თვისება ყოფილა – განსაკუთრებული სიყვარულით ინახავს და უფრთხილდება მეგობრების ხსოვნას.

გელა მუხაშავრია ლირსებებით სავსე ადამიანია, იგი ქართველი კაცის შესანიშნავი სახეა თავისი კაცომიყვარეობით, ერთგულებით, სილალით და უანგარობით, ასეთი ადამიანი ჭირში გამაგრებს, ლხინს გიხანგრძლივებს და ყოველდღიურობას გილამაზებს. ღმერთმა ამრავლოს გელას მსგავსი ადამიანები ჩემს ქვეყანაში.

სოსო ებრალიძე „რა დაგიშავე“ - ეძღვნება „მუხას“

ჩვენი ნაცნობობა 50 წლის წინ დაიწყო – მერე დავმეგობრდით და ახლა ერთად გატარებული ბევრი ლამაზი დღე მაგონდება.

გელას ყველაზე დიდი და განუმეორებელი სიყვარული მისი მეუღლე – ნელიკო სხირტლაძე იყო. ჩვენ ერთ დღეს გვქონდა დაბადების დღე და მახსოვს, გელამ რამდენჯერ მოგვიწყო არაჩეულებრივი დღესასნაული, საერთოდაც, გელა ზეიმების, სხვების გახარების დიდოსტატია... მხიბლავს მისი მასშტაბურობა, გულუხვობა, ნიჭიერება, ეს კაცი ერთდროულად მკაცრიცაა და გულჩვილიც – კარგი ლექსის, სიმღერის მოსმენის ან ახლობლის მოგონებისას ცრემლით ევსება თვალი, თუმცა ზოგიერთები მისი ახალგაზრდობის მუშტი-კრივის „საგმირო“ ამბებსაც ყვებიან... საოცრად თბილი, მოსიყვარულე ბუნების ბიჭია. კარგი სიმღერის ფასიც იცის და თავადაც შეუძლია მოგიმღეროს. მართალია, ეს დაახლოებით 40 წლის წინ იყო, მაგრამ კარგად მახსოვს, გელა ერთხელ ოჯახში მესტუმრა შამპანურებით, დავსხედით, ვისაუბრეთ, რა არ გავიხსენეთ, მერე გელამ თავისი სიყვარულის ამბავი ისეთი გულითადობით მომიყვა, რომ როიალთან დავჯექი და მაშინ დაიბადა ჩემი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა „რა დაგიშავე ქალო“, რომელიც ჩემს „მუხას“ (ასე ვეძახდი გელას ახალგაზრდობიდან) სიყვარულმა შთამაგონა და მას მივუძღვენი. სიმღერა ისეთი ლამაზი და გულწრფელი იყო, რომ დღემდე პოპულარულია საქართველოში, ბევრი მღერის, ბევრს უყვარს და ჩემო „მუხას“, მომავალი თაობებიც ისევ იმღერებენ, მე და შენ ერთად რომ ვუძღვენით სიყვარულს, ვიცი, აუცილებლად იმღერებენ და მჯერა, ჩვენც სულ მათთან ერთად ვიქნებით ...

იური ელიაშვილი მუხა გელას!

ამ წერილის გულისთვემას გელას ტელეფონით შეხმიანება უძლოდა ნინ, დამირეკა და მითხრა, ჩემზე ნიგნი იწერება, თუ გინდა „ისტორიაში შეხვიდე“, რამე დაწერე ჩვენი მეგობრული ურთიერთობიდანო... გამეცინა, „ისტორიაში შესვლის“ ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებ-მეთქი...

ადამიანს სიბერე რომ გიახლოვდება, მოგონებები გიმძაფრდება. ჩემი ძალზედ მძიმე და რთული ცხოვრებიდან გამომდინარე, ვცდილობ, ნარ-სული გონებაში დაგბინდო...

გელას ზარის შემდეგ მოგონებები სხვაგვარად, კეთილად მომედალა. გელა არა მარტო ცნობილი ქირურგი და ავტორიტეტული პიროვნებაა, არამედ მეგობრობაშიც გამორჩეული და ადამიანურ ურთიერთობაშიც განსაკუთრებული ფენომენია. ჩვენი მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის და მადლობა განგებას, რომ იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას შემახვედრა, შემდგომში კი ძისტოლ მეგობრად გამიხადა.

გელა მუხამავრია არაორდინარული პიროვნებაა, ბუნებით რაინდი მკაცრად იცავს კაცობის კოდექსს, არასოდეს ღალატობს თავის ცხოვრების წესს, უაღრესად გულწრფელია ურთიერთობაში და მისი პიროვნული არსის განმსაზღვრელია ადამიანის სულიერი ფასეულობები და არა მატერიალური კეთილდღეობა. მისი ცხოვრების კრედოა სიკეთისა და სიყვარულის უშურველად გაცემა, სხვისი ტკივილის გულთან მიტანა და გაჭირვებულის ნუგეშისცემა. შემართება და რწმენა ეზმარებოდა გელას ცხოვრებაში ნამოქრილ კითხვებზე სწორი პასუხები გაეცა. პიროვნულად ძლიერი, არასოდეს დაეჭვებულა თავისი მოქმედების სისწორეში, მუდამ ენდობოდა შინაგან ხმას. მეტამორფოზებით შექმნილ რთულ სიტუაციებშიც არ უდალატა მას ინტუიციამ და შეაძლებინა, გადაერჩინა და შეენარჩუნებინა ის, რაც დაუღალავი შრომითა და საკუთარი მარჯვენით შეემნა წლების განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, ამას ჯეროვნად აფასებს გელა მუხაშავრიას მიერ გამოზრდილი უაღრესად კვალიფიციური, პროფესიონალ მედიკოსთა თაობა.

გელა ბუნებით ქრისტიანია – მიმტევებელი. სულ სხვაა ჩვენი დამოკიდებულება, ერთმანეთთან შეხუმრებული ვიყავით ყოველთვის, ნერგა არასოდეს გაგვივლია გულში, ხინჯადაც არაფერი დაგვრჩინა.

თუ ვინმესგან ცხოვრებაში სითბო და სიყვარული მახსოვს – განსაკუთრებულად გელას დედისაგან, ქალბატონი თამარ კახიძისაგან. უკეთოლშობილესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო – ჩვენ საძმოს დამრიგებელი და დამპურებელი. ლექტორი და პედაგოგი ქიმიასაც გვასწავლიდა და კაცობასაც. ყველას გვიყვარდა სტუმრობა მის ოჯახში, სა-

დაც, ფაქტობრივად, მთელი სტუდენტური წლები გავატარეთ. დღე არ გავიდოდა, გელასთან 5-6 ბიჭი არ მივსულიყავით. პედაგოგებისა და მეცნიერების ოჯახს თავზე არასდროს გადასდიოდა, მაგრამ როგორც წესი, ჩვენთვის სუფრა ყოველთვის გამლილი იყო. არ მახსოვს, როდესმე შებლშეკრული დაგვხვედროდეს ქალბატონი თამარი. ლექციებიდან მისულებს ჩვენს დანახვაზე სახე უნათდებოდა. ქალბატონი თამარი ჩემს მეხსიერებაში დედობის განსახიერებად დარჩა.

ოჯახის თავეკაცის, გელას მამის, ბატონი კაკო მუხაშავრიას განვლილი ცხოვრება მაგალითი იყო ჩემთვის ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში. იგი საოცარი ომორით გვიყვებოდა იმ ტანვეცა-წამებაზე, რაც მან გადაიტანა, თავისი ბედით უკმაყოფილებას არასოდეს გამოთქვამდა და სადაც შედიოდა, სიხარული და სითბო შეჰქონდა მუდამ, ლხინი უყვარდა და უებრო თამადა გახლდათ.

მუხაშავრიების ამ ცნობილი და ტრადიციული ოჯახის შშვენება და გვირგვინი იყო გელას მეულლე ნელი სხირტლაძე.

ნელი სრულიად ახალგაზრდა შევიდა ამ ოჯახში. ფერიასავით ნაზი და სათონ, საოცრად ლამაზი, უალრესად მშვიდი იყო, რაღაც განსაკუთრებული შინაგანი ძალის მქონეს შეეძლო უდიდესი ზემოქმედება მოეხდინა ადამიინებზე. ყოველთვის იგრძნობოდა მისი უსაზღვრო სიყვარული მეულლისა და შვილების მიმართ. მოუხდავათ გელას ამაყი, მომთხოვნი და ბოჰემური ცხოვრებისა, ნელი ყოველთვის ახერხებდა მასთან მშვიდი ურთიერთობის შენარჩუნებას, თვითონ არასდროს ყოფილა პრეტენზიული და უშურველად გასცემდა სითბოს და სიყვარულს. ნელი იყო ოჯახის ინტერესების გამაერთიანებელი და თითოეული წევრის პასუხისმგებლიანი ურთიერთობით დაამკიდრა კიდეც ოჯაზური ცხოვრების განსაკუთრებული კულტურა.

ისე მშვიდად წავიდა მარადიულობაში, როგორი მშვიდიც თავად იყო ცხოვრებაში...

გელამ ცხოვრებაში უამრავი მეგობარი შეიძინა, ყოველთვის კარგი კაცის მძებნელი და დამფასებელია, საოცრად პოპულარულია მთელ საქართველოში.

ახალი ჩასული ვიყავი თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად გვამზადებდა ქალბატონი თამარი. აელაბარში, სადაც გელა ცხოვრობდა, სომხური თეატრის წინ ბირჟა იყო, იქ ძალიან ბევრი „ქველი ბიჭი“ და ყორი იყრიდა თაეს, როცა გელა ბირჟაზე გადიოდა და მეც მივყვებოდი, მიკვირდა, როგორი რიდითა და პატივისცემით ექცეოდნენ. მუდამ კარგად ჩაცმული გელა, ერთი შეხედვით „დვდიკოს ბიჭის“ შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, თურმე არა მარტო კარგი სპორტსმენი, კარგი დამრტყმელიც იყო, მაგრამ ჩხები არ უყვარდა. აელაბარში მას „მუხა გელას“ ეძახდნენ.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩვენი სამეცნიერო სამედიცინო ინსტიტუტიდან. ყველანი ცნობილი ოჯახის შეილები იყვნენ. განათლებული, ზრდილობიანი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერებული. განსაკუთრებული მოწინებით ექცეოდნენ ქალს და უფროს თაობას.

გელა ჩემთვის უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანია.

საამაყო შენი გავლილი გზა, ჩემო გელა. ტკივილის და მწუხარების მოუხედავად, მაინც ბედნიერი კაცი ხარ, რადგანაც უმეცობროდ ერთი დღეც ვერ ნარმოგიდგენია და მეც ბედნიერად ვგრძნობ თავს შენს დიდ სამეცნიეროში.

ანზორ ერქომაიშვილი

ჩემი სასურველი სტუმარი!

მე და გელა ერთი თაობის ადამიანები ვართ და ერთმანეთი კარგა ხნის წინ აღმოვაჩინეთ. ჩვენს მეცნიერობას შუაკაცი და შუამავალი არ ჰყოლია, ერთმანეთთან მისასვლელი გზა თვითონ გვაპოვნინა იმ ადამიანურმა გრძნობამ „გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე“ რომ ჰქვია. იგი გამორჩეული კაცია თავისი კეთილშობილებით, ალა-ლმართლობით, უანგარობით. მას დიდი სამეცნიერო ჰქავს და ანდამა-ტივით იზიდავს ყველას, გელა ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი და თავკაცია, ყველაფერს გულითადობით აკეთებს და კარგადაც ამი-ტომ გამოსდის. მე იშვიათად მინახავს ქართული ტრადიციების ასეთი დამცველი და ერთგული პიროვნება – საუკეთესო თამადა, მომლზენი, კარგი ლექსის და სიმღერის მოტრფიალე, იუმორის ნიჭით დაჯილ-დოებული. როცა მის გვერდით ხარ, გრძნობ, სიცვარულით და სიცო-ცხლით ავსებს იქაურობას, დადებითად გმუხტავს, პირადად მეც არა-სოდეს მომკლებია მისი სითბო, გულისხმიერება და კეთილგანწყობა, როცა შემხვდება, იმ დღეს კარგ გუნებაზე ვდგები, მეამაყება, რომ მისი მეცნიერო ვარ. გელა მუხაშავრია ჩემი იჯახის მუდამ სასურველი და საყვარელი სტუმარია!

ლაშა თაბუკაშვილი როცა ახლოა მზე შემოდგომის!

ათლეტის გემრიელად ჩატყვიებული სხეული, ლონიერი ტორები, მრგვალი, უნაოჭო სახე და თაფლისფერი თვალები, ხან მოცინარი და ალერსიანი, ხან გაკეირვებული, ხან რისტვით საქსე... მეტწილად ფიქრიანი! განწყობილებებს არ მაღავს, მიუხედავად ბუნებრივი სიდარბაის-ლისა, ანდა რა აქვს დასამალი, არდამალვის ფუფუნება გელა მუხაშავრიამ მთელი თავისი უზადოდ განვლილი ცხოვრებით მოიპოვა!

ომისშემდგომი შშიერი, მაგრამ ბედნიერი წლები, პოლიტპატიმარი მამის ოჯახში დაბრუნება, ქუჩა, სადაც მხოლოდ ჯანით და სიმამაცით ვერ გაიტან თავს, სხვა თვისებებიცაა საჭირო... სკოლის შემდეგ ალექსანდროვთან, ფიოდოროვთან მიღებული გამოცდილება, წარმატებული ოპერაციები...

დღეს კი სამედიცინო პროფილის ამერიკულ თუ ევროპულ ჟურნალებში წერენ „მუხაშავრიას მეთოდზე“, როგორც საკუთარი გამოცდილებით მიღწეულ წარმატებაზე და ამ მეთოდის უპირატესობას უკვე სპეციალისტები აღიარებენ.

გელას სამუშაო ოთახში გვარიანი ეკლექტიკაა, კონცეპტუალისტ მხატვრებს ტონინო გუერას „ჩიტები“ ენაცვლებან, კედელზე გაკრულ ლექსებს, ფანტასტიკური კარიკატურა უმშვენებს მხარს. თვითონ გელას აფორიზმები კლინიკის დერეფნიდან შემოგიძლვებიან კაბინეტში, სადაც გალერეა სახეებისა, რომელთა გარეშე, მეოცე საუკუნის თბილის ვერც წარმოიდგენ კაცი... კლასიკოსებს არ ვგულისხმობ (ფიროსმანი, ვაჟა, გალაკტიონი) არამედ სხვადასხვა თაობის ქეშმარიტ პირვნებებს, ვის ცხოვრებასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. რამდენიმე ახალგაზრდა კოლეგის ფოტოცაა, ლექსები, ნახატები, ხატები, მაგრამ ამ გადატვირთული კედლების ყველა კუთხე-კუნჭულიდან უმშვენიერესი ქალბატონი წელი შემოგვცერის ლმობიერი, დიდრონი თვალებით. კედელზე განფენილი ხატებიდან კი კანდელი არ ქრება. გელასაც, ამ ბუბუნა, უებრო ვაჟაცს, მხოლოდ მეუღლის ხსენებაზე მოეხრება ხოლმე ოდნავ ლონიერი ქედი და ფართო ბეჭები.

არსებობენ ადამიანები, ვინც დარდა და სევდას თვითონვე ფუთავენ საკუთარ თავში და არავის აყვედრიან ამ ტვირთს – არც გამჩენს, არც გარშემომყოფთ, არც ბედისწერას. დარტყმა მიღებულია, ცხოვრება გრძელდება და რაც მტკივა, ჩემია და ჩემი სატარებელი!...

ლომები ასაქში შედიან, მაგრამ არ ბერდებიან, ჩემო ალერსიანო, ვაჟკაცო ძმა! შენ გამხნევება არ გჭირდება, აქეთ გვამხნევება...

გელა მუხაშავრია გრდემლზე ურის დარტყმასავით უღერს, გრდემლზე, რომელზეც ქართული სული იქედება!

Հայութ շամա ցիւծիցիս իւր Տիկչուն, այսու-
մով Տիկչուն, ածաշուղիքուն Տիկչուն, աշու պետ Տիկչուն,
բարեւ պատկշուն, Երանե, Երանե ի գիւռ յանձնելու, Կամունչ
քանդակ Տիկչուն ի յանձնելուն.

Այսպէս յարա մէ յիւր օջախուն Եշուն,
ևս մու Հոգուն-
ն, այս կանաչն, այս կանաչն ին ի Մատուցուն այս առ
Հոգուն հու, Կամունչ Տիկչուն ժամանակ ի յանձնելու, Կամունչ ԿԿ-
Յանի հայութ ի ուղարք անուն. ու, անցաւ, իս կանաչն
կամունչ, կամունչ առաջինն ան, Կամունչ Կամունչ, և անցաւ մը-
ան ԿԿ-Յանի առաջինն անունը, կամունչ Շաբաթ է, և անցաւ
կամունչ ի եղան ան, և ի յանձնելուն.

Այսկա Հոգուն Ժամա պէտ Տիկչուն! Ինունչ Կամունչ
Յան, Կամունչ Կամունչ, ուղարք. Բայտ Կամունչ պէտ Հոգուն
կամունչուն, Եզր Հոգուն պէտ Հոգուն, Ժամա ի յանձնելու
Կամունչ կամունչ պէտ Հոգուն անունն. Հայութ Կամունչ
կամունչ պէտ Հոգուն կամունչ ի Տիկչուն ան, կամունչ Հոգուն
ի ան.

Հոգուն Պատրիք ի Վայցայ անցիւն, և Կամունչ
կամունչ ի յանձնելուն.

Կամունչ կամունչ Տիկչուն, Այս կամունչ ի Հոգուն
կամունչ, պէտ ան Կամունչ. 10.18.97.

პროფესორი ილია თავშარაშვილი უბრალოდ, გელა მუხაშვილია

კოლოცროქტოლოგია მედიცინის ერთ-ერთი რთული დარგია და, ალბათ, ამიტომაც ამ მიმართულებით მაღალპროფესიონალ ექიმიად ჩამოყალიბება დიდ ცოდნას, გამოცდილებას, პასუხისმგებლობას და განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას მოითხოვს. ქართულ სამედიცინო სკოლას კი ამ დარგში შესანიშნავი წარმომადგენელი, გელა მუხაშვილია ჰყავს. უფრო მეტიც, იგი შემოქმედებითად მიუდგა ამ დარგის განვითარებას – საკუთარი ოპერაციული მეთოდი შექმნა და დაამკიდრა, რომელსაც გამოიხმაურა საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება და საყოველთაოდ მოიწონეს იგი.

მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად გელა შესანიშნავი მასწავლებელია, ყოველთვის მზრუნველობითა და გულისხმიერებით ხვდება ახალგაზრდებს, მომავალ თაობას, ვინც ამ დარგით დაინტერესდება. ასე აღიზარდა მის კლინიკაში ბევრი ექიმი პროქტოლოგი. უფროსი ვაჟი გიაც, დღეს მის გვერდით დგას და ლირსეულად მიჰყვება მამის პროფესიას.

გელასთან ურთიერთობა რთული არაა, თუკი შენში გულწრფელობას, პროფესიონალსა და ინტელექტუალს დაინახავს. ჩემთვის იგი უაღრესად პატივცემული და ანგარიშგასაწევი ადამიანია, როგორც სამედიცინო სფეროში, ასევე ყოველდღიურ ურთიერთობაში. მის დასახასიათებლად ბევრი შედარება და ეპითეტი მეგულება, მაგრამ მის პიროვნებაზე ყველაზე მეტად მისი სახელი და გვარი ლაპარაკობს – უბრალოდ, გელა მუხაშვილია.

გოგი თოფაძე ჩემი ქალაქის ბრენდი

დღეს საქართველოში რამდენიმე ისეთი დასტაქარია, რომელთა არ-სებობაც უფლებას არ გაძლევს, უცხოეთის კლინიკებში სამკურნალოდ წასვლაზე იფიქრო. ერთ-ერთ ასეთად გელა მუხაშავრია მიმაჩნია. მართალია, პირადად არასოდეს დამჭირვებია, მაგრამ ბევრის შუამავალი და მეგზური კი ვყოფილვარ. გელა მიგიღებს, გულისყურით მოგისმენს და დაგაკვალიანებს, კონკრეტულ დახმარებას გაგიწევს. გელა საიმედო კაცია პროფესიაშიც და მეგობრობაშიც. იგი ჩვენი ქალაქის ბრენდია.

ჩვენ ერთი თაობის ხალხი ვართ და მეამაყება, რომ გელა მუხაშავრია დღეს ჩემს საახლობლოში მეგულება. ადრე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველთვის ხალისი, იუმორი და კარგი განწყობა მოჰქონდა მის გამოჩენას, ახლა ცრემლი მოეძალა – მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ძველებურად ვეღარ ხმაურობს. გელა, სადაც კი მახსოვს, ყველგან გამორჩეულია – სუფრაზე, ლხინში, თავყრილობაზე, ვინც მას კარგად იცნობს იცის, რომ იგი სიკეთით გატენილი კაცია.



მანანა კარტოზია ადამიანთა ურთიერთობის მონოპოლისტი

ყველაზე ტრივიალური განაცხადი იქნება, თუ ვიტყვი, რომ გელა მუხაშავრიასთან ახლობლების ჩარევით მივედი. საქართველოში, აღბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც მასთან მისასვლელად ახლობლის მოძებნა გაუჭირდეს, გელა მუხაშავრია საახლობლოდ დაბადებული კაცია. მასთან მისვლამდე ქირურგებთან ურთიერთობის მწარე გამოცდილება მქონდა და ოპერაციისთვის თავის არიდებას ვაპირებდი, მაგრამ გელასთან შეხვედრისთანავე ეს გულში კი არა, თავშიც აღარ გამივლია... რომ გაიგეს გელასთან წევსო, მნახველები არ დამკეულებია. გელა მუხაშავრიას „სალონში“ სტუმრობა არავის დაზარებია. გელას საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე, თითქოს გარკვეულ უხერხულობებს უკავშირდება მისი პაციენტების მონახულება, მაგრამ გელა იმის დიდოსტატიცაა, რომ ეს უხერხულობები თავისი იუმირითა და სილალით მოხსნას და პიროვნული ქარიზმით მაქსიმალური კომფორტი შეგიქმნიას. გელა ის კაცია, ვინც ერთ რიგით პაციენტად არავის აღიქვამს, თავს არ ზოგავს, რომ მიიღო, დაინახო, მიენდო.

კარგად ვიცი სიტყვა „მოლვანის“ მნიშვნელობა და ჰაიპარად ამ სიტყვის გამოყენების წინააღმდეგი ვარ. გელა მუხაშავრიას დასახასიათებლად კი მინდა სწორედ ეს სიტყვა მოვიშველიო და ვთქვა, რომ მისი საქმიანობა, მოლვანის რანგში აიყვანა მისმა პიროვნულმა თვისებებმა, მისმა მოქალაქეობრივმა სულისკვეთებამ, მისმა არტისტიზმა და კეთილშობილებამ.

მივესალმები ამ წიგნის შექმნის იდეას, რადგან სიამოვნებით გავეცნობი იმ დეტალებსა და ნიუანსებს, რომლითაც თავის ცხოვრებას ქარგავდა და ქარგავს გელა მუხაშავრია.

ფოტოისტორია



* * *

1945 წელი. ვაჟთა VII სკოლა ბარნოვის ქუჩაზე (ახლანდელი 53-ე სკოლა). მასწავლებელმა პირველკლასელები სკოლის კედელთან ჩაამნიჭრივა და დირექტორ პარმენ ქაჯაიასთან სურათი გადაიღო. კუთხეში გელა დგას. გვერდით ერთი თანაკლასელი ბიჭი უდგას.

ამ სურათის გადაღებიდან 60 წლის მერე ეს ბიჭი აკროსტიხს მიუძღვნის გელას და ავლაბრის ჰიმნი გახდება. „ეს ბიჭი“ და ამ ლექსის ავტორი ალკაზარ კაკულიაა.

ალექს (ალკაზარ) და ეთერ კაჯულიები ჩვენი მეგობარი გელა!

ერთმანეთთან ქალაქურმა ცხოვრებამ დაგვაკავშირა და თამამ-ად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღემდე მეგობრებად ვრჩებით. შეხედე, რაცაა, ესაა რაცაა! – ვინც გელა მუხაშავრიას კარგად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ეს ფრაზა ზუსტად შეეფერება მის პიროვნებას.

ახლოს თუ გაიცნობთ, დარწმუნდებით რომ კეთილშობილი სულის კაცია – საკუთარი ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების მოსიყვარულე, გვერდში მდგომი, სხვისი გამარჯვებით გახარებული...

მოხდა ისე, რომ ჩვენ, და-ძმა კაჯულიები და კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ბატონი გელას დაბადების დღეზე შევიკრიბეთ. ეს იყო დაუვინწყარი სალამო, ისეთი სითბოთი და სიყვარულით სავსე, რომ გადავწყვიტეთ მისთვის სიმღერა მიგვეძლვნა. სურვილიც მალე განვახორციელეთ და სულ რამდენიმე დღეში დაიბადა ახალი სიმღერა – „ავლაბარო, ავლაბარო ჭალარავ!“ ტექსტი აკროსტიზია და გელა მუხაშავრია იკითხება.

მას შემდეგ თითემის თხუთმეტი წელი გავიდა, სიმღერა ისეთი გულ-ნრფელი და თბილი გამოვიდა, რომ ალბათ, კიდევ დიდხანს იმღერებენ და დღეს, როცა გელა მუხაშავრიაზე წიგნი იქმნება, ვფიქრობთ, იქვე უნდა იყოს ტექსტი და ნოტები იმ სიმღერისა, რომელიც მას მეგობრებმა დიდი სიყვარულით და ერთგულებით მივუძღვენით.

ჩვენ, როგორც საზოგადოების ერთ რიგით წევრებს, თბილისზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებს, თუკი გვეითხავდნენ, საპატიო თბილისელის წოდებას ვინ იმსახურებსო, დაუფიქრებლად დავასახელებდით გელა მუხაშავრიას და ეს მისთვის ყველაზე ლირსეული და შესაფერისი ჯილდო იქნებოდა.

გალა ეჭხესვთის

ს ვლაბერო, ს ვლაბერო

შექ. ვაჟა აზერუშვილი

ეჭხე

კარავაშვილი

Allegro

ავლაბარო, ავლაბარო ჭალარავ!

გ აზაფხული ჩემს ქალაქში ნავარდობს,
 ე ფერება და სიყვარულს უმღერის,
 ლ ხინის სუფრას საიათნოვა თამადობს –
 ა მ ცხოვრებით ხარობს ძველი უბნები.

მ იყვარს ჩემი მტკვრის დუდუნი მეტეხთან,
 უ ბნელ ბიჭებს ხელის გულზე ვატარებ,
 ხ ან ნარსულის ნაცნობ ჰანგებს ვეძებ და
 ა ვლაბრისკენ ავუყვები აღმართებს.
 მისამღერი:
 ავლაბარო, ავლაბარო ჭალარავ!

შ ენ თბილისის ძველისძველო ფიქრებო,
 ა ზარფეშად ქება მითქვამს, შარი-შური შენი მიყვარს,
 ვ იდრე შენ ხარ, მოდი ერთად ვიმღეროთ;
 რ ოგორ მინდა გაგახარო, ჭარმავო და ამაგდარო,
 ი დღეგრძელეთ, ავლაბრელო ბიჭებო!
 ა ნდამატის ხმებით გლოცავს ხარფუხი,
 ორთაჭალა მუხამბაზით აგავსებს,
 შენ ხომ სომეხს შეაყვარე ქართული,
 ქართველ კაცს კი „ცავატანებ“ ასწავლე.
 დილის საარს დაუბყრია თბილისი,
 ქუჩაბანდებს გადაურბენს ხანდახან,
 ყარაჩოლელ იეთიმ გურჯის ხმა ისმის,
 ჩვენ ვერასდროს შეველევით ავლაბარს!

მისამღერი:

ავლაბარო, ავლაბარო ჭალარავ!

1 - 2 - 3 - 4 - 5 - 6 - 7 - 8 - 9 - 10 - 11 - 12 - 13 - 14 - 15 - 16 - 17 - 18 - 19 - 20 - 21 - 22 - 23 - 24 - 25 - 26 - 27 - 28 - 29 - 30 - 31 - 32 - 33 - 34 - 35 - 36 - 37 - 38 - 39 - 40 - 41 - 42 - 43 - 44 - 45 - 46 - 47 - 48 - 49 - 50 - 51 - 52 - 53 - 54 - 55 - 56 - 57 - 58 - 59 - 60 - 61 - 62 - 63 - 64 - 65 - 66 - 67 - 68 - 69 - 70 - 71 - 72 - 73 - 74 - 75 - 76 - 77 - 78 - 79 - 80 - 81 - 82 - 83 - 84 - 85 - 86 - 87 - 88 - 89 - 90 - 91 - 92 - 93 - 94 - 95 - 96 - 97 - 98 - 99 - 100 - 101 - 102 - 103 - 104 - 105 - 106 - 107 - 108 - 109 - 110 - 111 - 112 - 113 - 114 - 115 - 116 - 117 - 118 - 119 - 120 - 121 - 122 - 123 - 124 - 125 - 126 - 127 - 128 - 129 - 130 - 131 - 132 - 133 - 134 - 135 - 136 - 137 - 138 - 139 - 140 - 141 - 142 - 143 - 144 - 145 - 146 - 147 - 148 - 149 - 150 - 151 - 152 - 153 - 154 - 155 - 156 - 157 - 158 - 159 - 160 - 161 - 162 - 163 - 164 - 165 - 166 - 167 - 168 - 169 - 170 - 171 - 172 - 173 - 174 - 175 - 176 - 177 - 178 - 179 - 180 - 181 - 182 - 183 - 184 - 185 - 186 - 187 - 188 - 189 - 190 - 191 - 192 - 193 - 194 - 195 - 196 - 197 - 198 - 199 - 200 - 201 - 202 - 203 - 204 - 205 - 206 - 207 - 208 - 209 - 210 - 211 - 212 - 213 - 214 - 215 - 216 - 217 - 218 - 219 - 220 - 221 - 222 - 223 - 224 - 225 - 226 - 227 - 228 - 229 - 230 - 231 - 232 - 233 - 234 - 235 - 236 - 237 - 238 - 239 - 240 - 241 - 242 - 243 - 244 - 245 - 246 - 247 - 248 - 249 - 250 - 251 - 252 - 253 - 254 - 255 - 256 - 257 - 258 - 259 - 260 - 261 - 262 - 263 - 264 - 265 - 266 - 267 - 268 - 269 - 270 - 271 - 272 - 273 - 274 - 275 - 276 - 277 - 278 - 279 - 280 - 281 - 282 - 283 - 284 - 285 - 286 - 287 - 288 - 289 - 290 - 291 - 292 - 293 - 294 - 295 - 296 - 297 - 298 - 299 - 300 - 301 - 302 - 303 - 304 - 305 - 306 - 307 - 308 - 309 - 310 - 311 - 312 - 313 - 314 - 315 - 316 - 317 - 318 - 319 - 320 - 321 - 322 - 323 - 324 - 325 - 326 - 327 - 328 - 329 - 330 - 331 - 332 - 333 - 334 - 335 - 336 - 337 - 338 - 339 - 340 - 341 - 342 - 343 - 344 - 345 - 346 - 347 - 348 - 349 - 350 - 351 - 352 - 353 - 354 - 355 - 356 - 357 - 358 - 359 - 360 - 361 - 362 - 363 - 364 - 365 - 366 - 367 - 368 - 369 - 370 - 371 - 372 - 373 - 374 - 375 - 376 - 377 - 378 - 379 - 380 - 381 - 382 - 383 - 384 - 385 - 386 - 387 - 388 - 389 - 390 - 391 - 392 - 393 - 394 - 395 - 396 - 397 - 398 - 399 - 400 - 401 - 402 - 403 - 404 - 405 - 406 - 407 - 408 - 409 - 410 - 411 - 412 - 413 - 414 - 415 - 416 - 417 - 418 - 419 - 420 - 421 - 422 - 423 - 424 - 425 - 426 - 427 - 428 - 429 - 430 - 431 - 432 - 433 - 434 - 435 - 436 - 437 - 438 - 439 - 440 - 441 - 442 - 443 - 444 - 445 - 446 - 447 - 448 - 449 - 450 - 451 - 452 - 453 - 454 - 455 - 456 - 457 - 458 - 459 - 460 - 461 - 462 - 463 - 464 - 465 - 466 - 467 - 468 - 469 - 470 - 471 - 472 - 473 - 474 - 475 - 476 - 477 - 478 - 479 - 480 - 481 - 482 - 483 - 484 - 485 - 486 - 487 - 488 - 489 - 490 - 491 - 492 - 493 - 494 - 495 - 496 - 497 - 498 - 499 - 500 - 501 - 502 - 503 - 504 - 505 - 506 - 507 - 508 - 509 - 510 - 511 - 512 - 513 - 514 - 515 - 516 - 517 - 518 - 519 - 520 - 521 - 522 - 523 - 524 - 525 - 526 - 527 - 528 - 529 - 530 - 531 - 532 - 533 - 534 - 535 - 536 - 537 - 538 - 539 - 540 - 541 - 542 - 543 - 544 - 545 - 546 - 547 - 548 - 549 - 550 - 551 - 552 - 553 - 554 - 555 - 556 - 557 - 558 - 559 - 560 - 561 - 562 - 563 - 564 - 565 - 566 - 567 - 568 - 569 - 570 - 571 - 572 - 573 - 574 - 575 - 576 - 577 - 578 - 579 - 580 - 581 - 582 - 583 - 584 - 585 - 586 - 587 - 588 - 589 - 589 - 590 - 591 - 592 - 593 - 594 - 595 - 596 - 597 - 598 - 599 - 600 - 601 - 602 - 603 - 604 - 605 - 606 - 607 - 608 - 609 - 610 - 611 - 612 - 613 - 614 - 615 - 616 - 617 - 618 - 619 - 620 - 621 - 622 - 623 - 624 - 625 - 626 - 627 - 628 - 629 - 630 - 631 - 632 - 633 - 634 - 635 - 636 - 637 - 638 - 639 - 640 - 641 - 642 - 643 - 644 - 645 - 646 - 647 - 648 - 649 - 650 - 651 - 652 - 653 - 654 - 655 - 656 - 657 - 658 - 659 - 660 - 661 - 662 - 663 - 664 - 665 - 666 - 667 - 668 - 669 - 669 - 670 - 671 - 672 - 673 - 674 - 675 - 676 - 677 - 678 - 679 - 680 - 681 - 682 - 683 - 684 - 685 - 686 - 687 - 688 - 689 - 689 - 690 - 691 - 692 - 693 - 694 - 695 - 696 - 697 - 698 - 699 - 700 - 701 - 702 - 703 - 704 - 705 - 706 - 707 - 708 - 709 - 709 - 710 - 711 - 712 - 713 - 714 - 715 - 716 - 717 - 718 - 719 - 719 - 720 - 721 - 722 - 723 - 724 - 725 - 726 - 727 - 728 - 729 - 729 - 730 - 731 - 732 - 733 - 734 - 735 - 736 - 737 - 738 - 739 - 739 - 740 - 741 - 742 - 743 - 744 - 745 - 746 - 747 - 748 - 749 - 749 - 750 - 751 - 752 - 753 - 754 - 755 - 756 - 757 - 758 - 759 - 759 - 760 - 761 - 762 - 763 - 764 - 765 - 766 - 767 - 768 - 769 - 769 - 770 - 771 - 772 - 773 - 774 - 775 - 776 - 777 - 778 - 778 - 779 - 779 - 780 - 781 - 782 - 783 - 784 - 785 - 786 - 787 - 788 - 789 - 789 - 790 - 791 - 792 - 793 - 794 - 795 - 796 - 797 - 798 - 799 - 799 - 800 - 801 - 802 - 803 - 804 - 805 - 806 - 807 - 808 - 809 - 809 - 810 - 811 - 812 - 813 - 814 - 815 - 816 - 817 - 818 - 819 - 819 - 820 - 821 - 822 - 823 - 824 - 825 - 826 - 827 - 828 - 829 - 829 - 830 - 831 - 832 - 833 - 834 - 835 - 836 - 837 - 838 - 839 - 839 - 840 - 841 - 842 - 843 - 844 - 845 - 846 - 847 - 848 - 849 - 849 - 850 - 851 - 852 - 853 - 854 - 855 - 856 - 857 - 858 - 859 - 859 - 860 - 861 - 862 - 863 - 864 - 865 - 866 - 867 - 868 - 869 - 869 - 870 - 871 - 872 - 873 - 874 - 875 - 876 - 877 - 878 - 878 - 879 - 879 - 880 - 881 - 882 - 883 - 884 - 885 - 886 - 887 - 888 - 889 - 889 - 890 - 891 - 892 - 893 - 894 - 895 - 896 - 897 - 898 - 898 - 899 - 899 - 900 - 901 - 902 - 903 - 904 - 905 - 906 - 907 - 908 - 909 - 909 - 910 - 911 - 912 - 913 - 914 - 915 - 916 - 917 - 918 - 919 - 919 - 920 - 921 - 922 - 923 - 924 - 925 - 926 - 927 - 928 - 929 - 929 - 930 - 931 - 932 - 933 - 934 - 935 - 936 - 937 - 938 - 939 - 939 - 940 - 941 - 942 - 943 - 944 - 945 - 946 - 947 - 948 - 949 - 949 - 950 - 951 - 952 - 953 - 954 - 955 - 956 - 957 - 958 - 959 - 959 - 960 - 961 - 962 - 963 - 964 - 965 - 966 - 967 - 968 - 969 - 969 - 970 - 971 - 972 - 973 - 974 - 975 - 976 - 977 - 978 - 978 - 979 - 979 - 980 - 981 - 982 - 983 - 984 - 985 - 986 - 987 - 988 - 989 - 989 - 990 - 991 - 992 - 993 - 994 - 995 - 995 - 996 - 996 - 997 - 997 - 998 - 998 - 999 - 999 - 1000

მედიკო კარტოზია ჩემი გზის თანაზიარი

ცხოვრება გზაა, რომლის გასავლელადაც მოვდივართ ამქვეყნად. ეს გზა განიერი შარაა, ზოგან კი ოკრო-ბოკრო და დიდი სიფრთხილით გასავლელი – ფეხი რომ არ გადავიპრუნდეს... უნდა მიაგნო იმ ერთადერთ მიმართულებას, რომელიც ტაძართან მიგიყვანს. ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეებიც ხომ ამ გზას ალამაზებს და ხშირად, მერე უკვე სხვას უადვილებს გავლას...

ამ გზაზე სხვადასხვანაირი ადამიანები გვხვდებიან – ზოგი ძალიან სწრაფად ქრება ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ ხან განგება დაგასაჩუქრებს და ისეთ ადამიანს შეგახვედრებს, რომელიც ცხოვრებას გაგილამაზებს, შენს ტკივილს გაიზიარებს და შენი სიხარულით გაიხარებს. ყველაფერ ამას კი ნიჭი, ერთგულება და სულიერი სისადავე სქირდება. ასეთი ადამიანია გელა მუხაშავრია – ჩემი ქვეყნის, ჩემი ქალაქის გამორჩეული ვაჟეაცი, კარგი ოჯახის შვილი, კარგი მამა, ბაბუა და არაჩვეულებრივი მეგობარი.

აგერ უკვე მესამე ათეულმა წიირბინა, რაც ჩემი სიმღერებისა და ლექსების ერთ-ერთი პირველი შემფასებელი ჩემი გელაა. მისი აზრი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვიცი, ზედმინევნით პირდაპირი ადამიანია, ამიტომ არამარტო შემოქმედებაში, არამედ ცხოვრებისეულ საკითხებშიც მისი აზრი ჩემთვის ძალიან ფასეულია. ვლოცავ ყველა დღეს ერთად გატარებულს და გასატარებელსაც, ღმერთმა შენი თავი არ მომიშალოს, ჩემო გელა, ტაძრისკენ მიმავალ გზაზე.

თენგიზ კიკალიშვილი ყველაზე დიდი ქონება

ჩვენ ერთად გავაცილეთ ბავშვობის ხანა, ყველაზე გულწრფელი და ბედნიერი დღეები, რომლის გახსენებითაც დღესაც საზრდოობს ჩვენი ყველა დღესასწაული. დიდი მაღლობა დათიურ საჩუქარს – მეხ-სიერებას! ერთ უბანში ვცხოვრობდით და იმ სკოლაში ვსწავლობდით, დღემდე რომ კობახიძის სახელით იცნობენ. ეს იყო დისციპლინითა და სწავლების ხარისხით ცნობილი სკოლა – საუკეთესო პედაგოგებითა და პირობებით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით და დიდი სპორტული კომპლექსით. ჩვენი გელა ამ სკოლის კარგი მოსწავლე იყო და ასევე საუკეთესო სპორტსმენი აკრობატი გახლდათ, მეხუთე სართულიდან რომ გადმოვარდნილიყო, ზურგზე არ დავარდებოდა. უნდა გენახათ, ასეთი აკრობატი, მექარეც როგორი იყო და მას საერთოდ, მწვრთნელები დიდ სპორტულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ბედისწერა ყურთან თვლებს და წინასწარ არავინ იცის, საით წაგიყვანს. თვალდახელშუა გადიოდა ნლები, თვალები უკვე ქალთა სკოლისკენ გაგვირბოდა, მაგრამ ამ „ყურუმსალ“ (როგორც ჩვენი დირექტორი გვეძახდა ხოლმე) გელას უკვე ელიელი ცისფერთვალება ნელიკო სხირტლაძე შეყვარებოდა, რომელსაც ბევრი უთვალთვალებდა თურმე და ერთ დღესაც გზაზე გადადგომიან ნელის უბნელი ბიჭები და მუშტი-კრივი გამართულა, არც გელას მიუშვერია სახე, „რადგან არ იყო ჯაბანი“ ... სიყვარულს როგორ დასთმობდა, ქალიშვილს რაინდ კოლია სხირტლაძისასა... მუხაშავრიების კერას ნელი შეედუღაბა, რომელიც მთელი სამეცნიეროსთვის თვალისწინი და სიხარული იყო... და ის დღესაც ჩვენთანაა. ამქვეყნად არც მოსვლას გვეკითხებიან და არც წასვლას გვიკითხავენ. მაგრამ ბედნიერი ხარ, თუკი ნამდვილი სიყვარული განიცადე... კიდევ ერთ ზეიმს გაჩუქებს განგება, თუკი შეპყრობილი იქნები იმ საქმით, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარს. ჩვენი გელა ორივე შემთხვევაში დათის რჩეული აღმოჩნდა. მისი დიდოსტატობა და ავტორიტეტი საქვეყნოდ ცნობილია.

გელა თვითნაბადი კეთილშობილებაა. ყოველთვის წინააღმდეგი იყო რამე ნიშნით დაპირისპირებისა, რაც სამშობლოს საკეთილ-დღეოდ არ იყო მიმართული. მართალია, გელა პროექტოლოგის დიდოსტატია, მაგრამ ვინც თავისი საქციელით ამ ორგანოს სახელით მოიხსენიება, მისგან უარყოფილია.

გელა მუხაშავრია მარტო გვარით კი არა, ცხოვრების წესითაც ნამდვილი ქართველია – უყვარს კამერული სუფრა, ლექსითა და სიმ-დერით შემკული, სადაც ერთმანეთს ყურადღებით უსმენენ... მახსოვს,

ერთ სუფრაზე სიკვდილ-სიცოცხლეზე ვსაუბრობდით. გელამ მუხრან მაჭავარიანის ლექსი თქვა:

სულ რამდენიმე – ორი თუ სამი –
იმედად ჩემდა არსებობს სახლი,
სადაც მე ძალმიძს, ყოველთვის ძალმიძს
მოულოდნელად დავრეკო ზარი.
ერთ-ერთი მათგან, სახლია შენი,
რომელიც მელის, ყოველთვის მელის.
და ერთხელ, როცა
და ერთხელ, როცა
ეს სახლი შეწყვეტს ჩემდამი ლოდინს,
მე ისევ მოვალ,
კვლავ შენთან მოვალ
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით.

...ყველა ისეთი დამაჯერებლობით საუბრობდა იმქეყნიურობაზე,
თითქოს ერთხელ უკვე იქით ნამყოფებიც კი იყვნენ. მერე გელა შემო-
მიწყრა, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღო. მაცადე, ლექსად ვამზადებ
სათქმელს-მეთქი და ექსპრომტად წარმოვთქვი:

წვათასოფელი განვლიე,
წამების დარჩა წილია,
ერთ საიდუმლოს მივაგნე,
სათქმელად ცოტა ძვირია –
ყველაზე დიდი სიმართლე
კარგად ნათქვამი ტყვილია!

დრო და მეხსიერება არის ადამიანის ყველაზე დიდი ქონება და თუ
ამას ღირსეულად იყენებ, ესე იგი, ღირსეულად გიცხოვრია. ღირსეული
ცხოვრება უმეგობროდ აზრს მოკლებულია. გელა მუხაშავრია დღემდე
მეგობრობით ცხოვრობს და ერთი ხალხური ლექსიც ჩემი პასუხი იყოს
მის სიყვარულზე:

შირაქში ვიყავ, ძმობილო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს
შენი ხმა არ მამდიოდა!

პროფესორი გია მათეშვილი დიაგნოზი გადამოწმების გარეშე

ადამიანთან მეგობრობაში ნახევარ საუკუნეზე მეტს რომ გაატარებ, დამეტანხმებით, გასახსენებელი და მოსაყოლი ბევრი იქნება. ჩვენ სამედიცინო ინსტიტუტში დაგვაჯავშირა და სტუდენტობით დაწყებული ურთიერთობა დღემდე გრძელდება. მოგეხსენებათ, ახლანგაზრდობას რა ხალისი და თავგადასავლები ახლავს და არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისები. თავი იმითიც მოგვწონდა, რომ იმ დროს ქალაქში სულ რამდენიმე „პოპედა“ დადიოდა და აქედან ერთი ჩემი, ანუ ჩვენი სამეგობროსი იყო. გელა მუხამავრიაც ამ სამეგობროს წევრი გახლდათ ავლაბრიდან. აი, ახლა ვიტყვე, რომ სწავლაში ხომ ბეჯითობდა და ბეჯითობდა, მაგრამ ფიზიკურადაც ვარჯიშობდა, აკრიბატობდა და სულ ამ თავისი ფიზიკური ძალის დემონსტრირება უყვარდა და გვჯაბნიდა კიდეც. გადავწყვიტეთ სამაგიურო გადაგვეხადა. ერთხელ, კუს ტბაზე ავედით ბიჭები ჩემი ცისფერი „პობედით.“ უკან გზაზე გელას ვუთხარი, შენ ყველაზე ღონიერი ხარ, მანქანა ან იქოქება და მოაწექი-მეთქი. გელას ყურადღებაც არ მიუქცევა, რომ მანქანა დაღმართში იდგა და ეჭვიც არ შეპარვია ჩვენს გასაჭირები. ტრუსებისამარა გადმოხტა მანქანიდან და მოაწვა, მეც სიტუაციის დასაძაბად მუხრუქს ვაწვებოდი, გელას რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავს არ ზოგვდა, მანქანა დაღმართზე დაუშვა, ფანჯრიდან თავი გამოვყავი – დიდი მადლობა, მანქანას ველარ ვაჩერებ-მეთქი და დაბლა დავეშვით. მალევე მოსახვევში მივიმალეთ და დაველიდეთ გელა რას იზამდა. ცოტა ხანში დავინახეთ, ტრუსებიან გელა დაღმართზე ისეთი სახით ჩარბოდა, თითქოს ყოველდღე აქ, ასე ევარჯიშოს. ვაკის პარკან ქუჩა გადაჭრა და კორპუსში სირბილით შევიდა. იქ ჩვენი მეგობარი თამაზ შუბლაძე ცხოვრობდა და მივხვდით, იქ მივიდოდა, მაგრამ იცით რა მოხდა? – დეიდა თამარა, რომელიც იქვე, ფიზიკულტურის ინსტიტუტში მუშაობდა, შესვენებაზე ხშირად მიდიოდა შუბლაძეებთან. აი, სწორედ ასეთ დროს გელამ დააკაუჭნა და ტრუსეკისამარა შეილი რომ დაუნახავს კართან, გაოგნებულა თამარა დეიდა, მშვიდობა ხომაა, დედა, მშვიდობა ხომაა? მარტო ამას კითხულობდა თურმე.

გელა ჩვენს შორის პირველი დაოჯახდა. სახლში რომ მივიყვანდი, მანქანიდან თავს გადმოვყოფი და სომხურად ვიძახდი „ფეხეს გალისაა, ფეხეს გალისა“ (სიძე მოვიყვანე) ძია აკაკი, გელას მამა ტრადიციული ქართველი კაცი იყო და რამდენჯერმე გაგვაფრთხილა, სირცხვილია, ნუ ყვირიხართ, ხალხს ნუ ანუხებთო. ერთხელაც რომ მივედი და კიდევ დავიყვირე, მოვარდა მანქანასთან, მათეშვილი, ან ნუ ყვირიხარ და ან აქ შენი ფეხი აღარ ვნახო.

ამ რამდენიმე წლის წინ მე და გელა სტამბულში ვიყავით, გელას გულის კონტროლი დასჭირდა და მე მანდო ეს შემოწმება. ერთი კვირა გავატარეთ ერთად, რამდენი ვინმე გავიხსენეთ, რამდენი რამ მოვიგონეთ, მოკლედ, ჩვენმა ორმოცდაათნლიანმა მეგობრობამ კონტროლი კვლავ წარმატებით გაიარა, მისხალიც კი არ დაკლებია და არ გახუნებულა ჩვენი ურთიერთობა და შემიძლია გითხრათ, რომ გელას ისევ უჯანმრთელესი გული აქვს, სიყვარულით და სიკეთით სავსე, ესაა დიაგნოზი, რომელსაც გადამოწმება არ სჭირდება.



გია მათეშვილი, გია გოკიელი, გელა მუხაშავრია, ივა ბერაძე, მერაბ თვალაძე, ნუნუ გეგეშიძე, გულსუნდა ქორიძე, კუკა ბულუსაშვილი

პროფესორი გურამ მენოშაშვილი სიკეთე, უპირველეს ყოვლისა!

გელა მუხაშავრია – ამ გვარსახელის შემდეგ აღარც ოფიციალური და არც არაოფიციალური რეგალიების მოხსენიება არ არის საჭირო. დუნიაზე ბევრი მუხაშავრია და უფრო მეტი გელაა, მაგრამ გელა მუხაშავრია ერთადერთი და განუმეორებელია. ბატონი გელა მართლაც ორიგინალურია ყველაფერში. პროფესორი გელა მუხაშავრია უდიდესი ექიმი და ვირტუოზი დასტაქარია, მაგრამ აქაც ყველასაგან გამორჩეული და თვითმყოფადია, დიაგნოსტიკიდან და მკურნალობიდან დაწყებული, პაციენტთან ურთიერთობით დამთავრებული. არავისთან ფამილიარული არ არის, მაგრამ ყველა საკუთარ მეგობრად მიიჩნევს.

გელას მეგობრების ასაკი 15-დან 100 წლამდე მერყეობს, მას შეუძლია დიდთან დიდი იყოს და პატარასთან – პატარა. ალბათ, ამ თვისებაში იმაღლება გელას დიდი სიბრძნის, დაუშრეტელი ახალგაზრდული შემართების და ენერგიის წყარო. გელა 25-30 წლის წინ გავიცანი მამაწემის მეგობრების წრეში, მაგრამ მერე დათო გოცაძის დახმარებით დაემიტებრდით, დათო მას მეორე მამას ეძახდა – „ქუთაისში ტოგო მყავს, თბილისში კი შენ ხარ ჩემი მამაო“. ხომ უნდა წარმოიდგინო, რამხელა სითბო და სიყვარული უნდა იგრძნოს ზრდასრულმა, ბევრის მნახველმა და გადამტანმა ადამიანმა, ასეთი გრძნობა რომ გაუჩინდეს თითქმის 40 წლის ასაკში გაცნობილი ადამიანის მიმართ. დიახ, გელა ასეთ სითბოს და სიყვარულს ასხივებს დღესაც, ასხივებს ძალდაუტანებლად, ეს ხომ მისი სულიერებიდან, მისი ცხოვრების წესიდან მოდის. გელასთვის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერებაა მთავარი, საკუთარი მატერიალური თითქმის არ აინტერესებს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც პირველად მოვზვდი გელას ბინაში, გაოცებული დავრჩი, რაოდენ მოკრძალებულად ცხოვრობდა კლინიკის ხელმძღვანელი, ჩვენი ქვეყნის ექიმებში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, თავის საქმეში ნომერ პირველი სპეციალისტი. შემდგომში, როდესაც უფრო ახლოს გავიცანი, ყველაფერს ნათელი მოეფინა – გელა ყველთვის ყველაზე მეტს გასცემდა – გასცემდა უშურველად, ისევე, როგორც დღესაც ყველწუთიერად გასცემს სითბოს და სიყვარულს.

გელა ყველასათვის მაგალითია ერთგულებისა – სამშობლოს, ოჯახის, საქმის, მეგობრობის მიმართ. გელას პროფესიულმა ალლომ, მისმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ საშუალება მისცა განევითარებინა თავისი საქმე და ჩამოეყალიბებინა პროქტოლოგიური ცენტრი,

რომელიც დღეს ნამდვილად არის ფლაგმანი, „მოდის“ კანონმდებლი და განსაზღვრავს დარგის განვითარების სტრატეგიას. ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის შედეგები ასახულია მრავალ ათეულ სტატიაში, გამოქვეყნებულია ორი სქელტანიანი მონოგრაფია. გელას დარგის ლი-დერობის აღიარების მკაფიო მაგალითია მისი ინიციატივით დაფუძნებული პროექტოლოგთა ასოციაცია. ეს ყველაფერი, რაღაც თქმა უნდა, დიდი ნარმატებაა, მაგრამ მთავარი შედეგი და სიამაყე სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლის ჩამოყალიბებაა. დღეს პროექტოლოგის ცენტრში გელას გაზრდილი ახალგაზრდები ისეთ კვლევებს და მკურნალობის მეთოდებს ნერგავენ, რომელთაც ევროპის წამყვან კლინიკებშიც არ მოეძებნება ანალოგი. ეს გელას დაწყებული და აწყობილი საქმის სანატრელი გაგრძელებაა.

გელა ის კაცია, ვისთან მეგობრობით, ახლობლობით და ნაცნობობით ყველა ამაყობს, მისი მეგობრები არიან დიდი მეცნიერები და ხელოვნების კორიფეები, ახალგაზრდა ექიმები და ხანდაზმული გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და მუშები. ის ყველასთან ახერხებს საერთო ენის გამონახვას, ურთიერთობის ტონის შერჩევას, სულში ჩანვდომას და სიყვარულის ჩანერგვას. მეც მეამაყება ის, რომ გელა მუხაშავრიას ახლოს ვიცნობ, მის გვერდით მიმუშავია, მისგან ქება დამიმსახურებია (რაც პროფესიონალისაგან განსაკუთრებით სასიამოვნოა), მეამაყება, რომ გელამ პატარა ძმის და მეგობრის სტატუსი მომანიჭა.

ბედნიერია ის ქვეყანა, ის ერი, რომელსაც გელასნაირი კაცები ჰყავს.